საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია

პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ვალერიანე კეკენაძე

ზემო იმერეთის ისტორიული გეოგრაფია

(საჩხერის მუნიციპალიტეტი)

ხელმძღვანელები: კობა ხარაძე, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვახტანგ გურული, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2022

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი----------6-9

თავი I. გეოგრაფიული მდებარეობა----------10-13

თავი II. იმერეთისა და ქართლის სამეფოების საზღვარი საჩხერის მონაკვეთზე--14-18

თავი III. ისტორიული გზები, უღელტეხილები----------19-46

თავი IV. საჩხერის მუნიციპალიტეტის ისტორიული ტოპონიმია----------47-69

თავი V. საარქეოლოგიო გეოგრაფია----------70-78

თავი VI. ისტორიული დემოგრაფია----------79-89

თავი VII. ეთნიკურ–რელიგიური შედგენილობა----------90-94

თავი VIII. პოლიტიკური გეოგრაფია----------95-101

თავი IX. სათავადოები----------102-107

თავი X. იმერეთის მეფის დომენი საჩხერეში----------108-110

თავი XI. საფორტიფიკაციო ქსელი----------111-114

თავი XII. საეკლესიო გეოგრაფია----------115-126

დასკვნა----------127-130

გამოყენებული ლიტერატურა----------131-136

დანართი----------137

ანოტაცია

ლოკალური რეგიონების ისტორიული გეოგრაფიის სისტემური კვლევა მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. იგი ნათელს ფენს და ხსნის მრავალ ბუნდოვან ფაქტს ისტორიაში. ისტორიის კვლევა ისტორიული გეოგრაფიის გვერდის ავლით სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს და საკითხიც მეტწილად გაუგებარი დარჩება.

რეტროსპექტული სურათის აღდგენა პრაქტიკულ გამოყენებად ხასიათსაც იღებს. მაგალითად ნაშრომში განხილული ძველი გზების აღდგენა რიგ შემთხვევაში ძალზედ ხელსაყრელ ვითარებას უქმნის მოსახლეობას, როგორც ეკონომიკური ახალი შესაძლებლობების გახსნის მხრივ, აგრეთვე, საგზაო მანძილის შემოკლების თვალსაზრისით, რაც დროის და თანხების დაზოგვაზე პირდაპირ აისახება; ამის მაგალითად ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ რამდენიმე ძველი საგზაო მონაკვეთი, რომელთა აღდგენასა და კეთილმოწყობის შემთხვევაში სახელმწიფო და, აქედან გამომდინარე, მოსახლეობაც დიდ შეღავათს იგრძნობს.

ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის შემდეგ რაჭაში მიმავალი საგზაო მონაკვეთი ბლოკირებულ იქნა; ამის გამო შეირჩა შემოვლითი მარშრუტი, რამაც ძალზედ გაზარდა მანძილი; ესაა შემდეგი მიმართულება: ხაშური–ზესტაფონი–ტყიბული–ამბროლაური–ონი. ძველად რაჭაში გადასასვლელი გზა არსებობდა საჩხერე–უზუნთა–ონის მიმართულებით, რომელიც ამ დრომდე უფუნქციო იყო, მისი აღდგენით გზა ერთიორად შემოკლდა. აღნიშნული მონაკვეთის რეაბილიტაციით გზა 72 კილომეტრით შემცირდა, რაც თითქმის ძველი, ცხინვალის მიმართულების გზის

იდენტურია. აქედან გამომდინარე, ამ ისტორიული გზის აღდგენა ძალზედ ხელსაყრელი იყო. იგივე მდგომარეობაა დღეისათვის საჩხერის ისტორიული გზების არაერთ მონაკვეთზე, მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საჩხერის მუნიციპალიტეტის ისტორიული გზა ხარაგაულის მუნიციპალიტეტისაკენ. ისტორიულად საჩხერიდან ხარაგაულისაკენ გზა გადიოდა ძირულის ხეობით (საჩხერე-კორბოული-ხვანი-ჭალოვანი-ვაკისა) აღნიშნული გზის რეაბილიტაციის შემთხვევაში მგზავრს აღარ მოუწევს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გავლით მოძრაობა და მანძილი დაახლოებით ერთი საათით შემცირდება.

იგივე შეიძლება ითქვას საარქეოლოგიო გეოგრაფიის შემთხვევაშიც, ჩვენს ნაშრომში მოცემულია ჩვენს მიერ აღნუსხული შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების ადგილები და გაფორმებულია კარტოგრაფიულად, რაც მხარეში მომუშავე არქეოლოგს დიდ დახმარებას გაუწევს. არქეოლოგს დიდ დახმარებას გაუწევს აგრეთვე ნასოფლარი, ნაეკლესიარი და საფორტიფიკაციო ქსელის ფიქსირებული ადგილები მოცემულ რუკაზე. მეცნიერს გასათხრელი ძეგლის ძიების გარეშე, პირდაპირ ჩვენი რუკიდან გამომდინარე შეუძლია მონიშნოს საკვარაუდო გასათხრელი ობიექტები.

შესაბამისი ანალიზისა და პირადი დაკვირვებების შემდეგ ჩვენ შევეცადეთ მოგვეხდინა ნაშრომის კარტოგრაფიული გაფორმება, რომელიც ამომწურავად წარმოაჩენს საჩხერის მუნიციპალიტეტის ისტორიულ გეოგრაფიას. რუკაზე რეტროსპექტული კარტოგრაფირების გზით დატანილია: სოფელი, ნასოფლარი, მიკროტოპონიმი, სათავადოების ცენტრი, ჯრუჭის მონასტრის მამული, ციხესიმაგრე, სათვალთვალო კოშკი, თავადისა და აზნაურის სასახლე, არქეოლოგიური ძეგლი, ეკლესია, ნაეკლესიარი, სომხურ–გრიგორიანული ეკლესია, სინაგოგა, გზა, ისტორიული გზა, სათავადოების საზღვრები სხვადასხვა პერიოდებში, ქართლისა და იმერეთის სამეფოების საზღვარი, საუფლისწულოს საზღვარი, ხეფინიხევი,

უღელტეხილები (როგორც მოქმედი ისე ისტორიული), ტბები, მთები, მღვიმეები, სასარგებლო წიაღისეული, ბანლეოლოგიური კურორტები, ჰიდროგრაფიული ქსელი.

დაგროვილმა მასალამ შესაძლებლობა მოგვცა შეგვედგინა სამეცნიერო ნაშრომი და მეტი თვალსაჩინოებისათვის დაგვერთო შესაბამისი რუკები, რაც გარკვეულწილად შევძელით კიდეც. კვლევაში მოცემული მასალები დიდ დახმარებას გაუწევს ზემო იმერეთის ისტორიული გეოგრაფიით დაინტერესებულ მკვლევარებს.

Annotation

A very important factor is the systematic study of the historical geography of local regions. It sheds light and reveals many obscure facts in history. The study of history will not give us the desired result by bypassing historical geography, and the question will remain largely unclear.

Retrospective restoration of images is also applied. For example, the restoration of old roads considered in the article in some cases creates a very favorable situation for the population, both in terms of opening up new economic opportunities, and in terms of reducing the length of roads, which has a direct impact on saving time and money; As an example, we can name several old sections of roads, the restoration and improvement of which will benefit the state, and, consequently, the population.

After the occupation of the Tskhinvali region, the road to Racha was blocked; Because of this, a detour was chosen, greatly increasing the distance; This is the next direction: Khashuri-Zestafoni-Tkibuli-Ambrolauri-Oni. In ancient times, there was a road to Racha in the direction of Sachkhere-Uzunta-Oni, which was not yet functioning, with its restoration the road was shortened. With the rehabilitation of this section, the road has shortened by 72 kilometers, which is almost identical to the old Tskhinvali road. Therefore, the restoration of this historic road was very beneficial. The situation is the same today on many sections of the historical roads of Sachkhere, for example, we can name the historical road of the Sachkhere municipality to the Kharagauli municipality. Historically, the road from Sachkhere to Kharagauli passed through the Dziruli gorge (Sachkhere-Korbuli-Khvani-Chalovani-Vake). If this road is restored, the passenger will no longer have to pass through the Zestaponi municipality, and the distance will be reduced by about one hour.

The same can be said about archaeological geography.

The fixed locations of the village, church, and network of fortifications on this map will also be of great help to the archaeologist. The scientist can mark likely sites of excavation directly from our map without searching for the excavated monument.

After proper analysis and personal observations, we tried to make a cartographic design of the article, which comprehensively presents the historical geography of the municipality of Sachkhere. The map shows retrospective cartography: a village, a microtoponym, a noble center, the monastery estate of Jruchi, a castle, a watchtower, a palace of a prince and an aznauri, an archaeological monument, a church, an Armenian-Gregorian church, Synagogue, a historical road, the border of the kingdoms of Kartli and Imereti. border of the principality, Khepinikhevi, passes (both active and historical), lakes, mountains, caves, minerals, balneological resorts, hydrographic network.

The accumulated material allowed us to compile a scientific article and provide relevant maps for more visuals, which we were able to do to some extent. The materials presented in the study will be of great help to researchers interested in the historical geography of Upper Imereti.

შესავალი

საჩხერის მუნიციპალიტეტს მეტად მდიდარი ისტორიული წარსული გააჩნია, რასაც ადასტურებს მის ტერიტორიაზე მრავლად გამოვლენილი არქეოლოგიური თუ მატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. მუნიციპალიტეტის ტერიტორია უწყვეტადაა დასახლებული ჯერ კიდევ ზედა პალეოლითის დროიდან. აღნიშნული პერიოდების კვლევის სფეროში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარსულის შესწავლას ისტორიული გეოგრაფიის კუთხით, რაც ერთიან სისტემაში მოიყვანს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ისტორიული განვითარების ძირითად ეტაპებს. ნაშრომში წარმოდგენილია ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკვანძო საკითხები: ისტორიული ტოპონიმები, გზები, სათავადოები, სამეფო დომენი, საუფლისწულო მამულები, სამონასტრო მამულები, ხუროთმოძღვრული ძეგლები და სხვ.

სადისერტაციო ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო. ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო მეტად ვრცელ პერიოდს მოიცავს; იგი იწყება უძველესი დროიდან (ძვ.წ. VIII საუკუნე - მოდინახისა და საირხის არქეოლოგიური ძეგლები) და სრულდება XX საუკუნის ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხებით. განსხვავებით ტექსტისაგან, რუკაზე წარმოდგენილია თანამედროვე გეოგრაფიული მონაცემებიც: სოფლები, გზები, უღელტეხილები და სხვ.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს და აღწეროს საჩხერის მუნიციპალიტეტის ისტორიული გეოგრაფია. ჩვენ შევეცადეთ დეტალურად გამოგვეკვლია მუნიციპალიტეტის ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარება, რაც გარკვეულწილად შევძელით კიდეც. ნაშრომის დასრულების შემდეგ შევეცადეთ შეგვედგინა შესაბამისი თემატიკის რუკები, რომელიც დისერტაციის დანართშია წარმოდგენილი და მოიცავს ექვს თემატურ კარტოგრაფიულ გამოსახულებას.

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობა და პრაქტიკული მნიშვნელობა. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში მეტად მცირეა ისტორიულ-

გეოგრაფიული მონოგრაფიები და სტატიები, ისტორიული რუკები, რაც ხელისშემშლელი ფაქტორია ისტორიკოსისათვის, რადგანაც ისტორიული გეოგრაფია ერთგვარ თვალსაჩინოებას სძენს რიგ საკითხებს. გარდა უშუალოდ წარმოდგენილი კვლევისა იგი საზოგადოებას თავაზობს მეტ თვალსაჩინოებას შესაბამისი თემატური რუკების მიწოდებით.

ნაშრომში წარმოდგენილი მასალები ძალზედ აქტუალური და მნიშვნელოვანია. საჩხერის მუნიციპალიტეტი ესაზღვრება ჯავის რაიონს, რომელიც დღეისათვის ოკუპირებულია; ოკუპირებულია საჩხერის სოფლები: თედელეთი, ჯალაბეთი, სინაგური, ქვემო და ზემო ქარძმანი. ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა აღნიშნული მხარის ტოპონიმია, რუკაზე წარმოვადგინეთ როგორც სოფლები, ნასოფლარები, აგრეთვე მიკროტოპონიმები, ისტორიული გზები და უღელტეხილები, მოვიძიეთ ოროგრაფიული ერთეულების რუსული და ოსური სახელწოდებების ქართული ანალოგი.

ძირეულად შევისწავლეთ მუნიციპალიტეტის ისტორიული ტოპონიმია, ისტორიული გზები და უღელტეხილები, საფორტიფიკაციო ქსელი, ეკლესიები (მათ შორის ნაეკლესიარი ადგილები), არქეოლოგიური ძეგლები (მათ შორის შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების ადგილები), საზღვრები სხვადასხვა პერიოდებში და სხვ. ეს ყველაფერი კი გავაფორმეთ სხვადასხვა თემატიკის რუკაზე. ნაშრომი მეტად აქტუალურია და დიდ დახმარებას გაუწევს ზემო იმერეთის ისტორიული გეოგრაფიით დაინტერესებულ მკვლევარებს.

კვლევის მეთოდოლოგია. სამეცნიერო ლიტერატურა და წყაროები. კვლევისას პირველ რიგში მიზნად დავისახეთ ზემო იმერეთზე, საჩხერეზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებისა და რუკების დამუშავება, გავეცანით საჩხერის მუნიციპალური არქივის მასალებს (საკომლო აღწერები და სხვ.), შესაბამისი დოკუმენტები მოვიძიეთ თბილისში მდებარე ეროვნულ არქივში. კაბინეტური სამუშაოების შემდეგ კვლევა გაგრძელდა უშუალოდ ველზე, ჩვენ ვიმყოფებოდით საჩხერის მუნიციპალიტეტში,

სადაც ადგილზე გავეცანით და გამოვიკვლიეთ სოფლები, ნასოფლარები, ციხეები, სათვალთვალო კოშკები, ეკლესიები, ნაეკლესიარები, ისტორიული გზები, აღვნუსხეთ ადგილობრივი მოსახლეობაში არსებული ლეგენდები, ჩავიწერეთ წინაპართა მიერ გადმოცემული ისტორიები ტოპონიმიის შესახებ და სხვ.

საჩხერის მუნიციპალიტეტის ისტორიულ გეოგრაფიაში არ არსებობს ცალკე მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც წარმოდგენას შეგვიქმნიდა მისი ტერიტორიის ისტორიულ ცვალებადობაზე. თუმცა ცალკეული საკითხები მოხვდა ისეთი მეცნიერების ყურადღების ქვეშ, როგორებიც არიან: ვახუშტი ბაგრატიონი (1997), ნიკო ბერძენიშვილი (1964), ოლღა სოსელია (1981), ელდარ ნადირაძე (2001), კონსტანტინე ანთაძე, ვახტანგ ჯაოშვილი (1960), კობა ხარაძე (2003), თაილი ღვინიანიძე, მარი შარაშიძე, რომან კვერენჩხილაძე (1959). ცალკეული ისტორიული ცნობა გაბნეულია აგრეთვე საკუთრივ საჩხერეზე მიძღვნილ სხვადასხვა თემატიკის ნაშრომში: მერაბ კეზევაძე (2008), ქეთევან მუშკუდიანი (2009), ჯურხა ნადირაძე (1975), ვალერი კეკენაძე (2013, 2014, 2015, 2016, 2017, 2018, 2019, 2020, 2021, 2022).

გარდა ქართველი ავტორებისა, აღნიშნულ თემაზე მეტად საინტერესო ცნობებს ვაწყდებით ევროპელი დიპლომატების, მოგზაურების ჩანაწერებში, რომელთაც გაიარეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გარკვეულწილად აღწერეს თავიანთი მარშრუტები, ესენი იყვნენ ჟან შარდენი (1672), იოჰან ანტონ გიულდენშტედტი (1771–1772) და სხვ.

ისტორიული ტოპონიმიის აღდგენასა და ტერიტორიული ლოკალიზაციის მხრივ მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია ძველმა კარტოგრაფიულმა მასალებმაც, მაგალითად, ვახუშტი ბაგრატიონის ატლასი (1997) და რუსული ვერსიანი რუკები (მაგ. карта кавкаского края) და სხვა.

ზემოთ მოცემული თეორიული მასალის გაცნობისა და დამუშავების შემდეგ, დაახლოებით ორი თვის განმავლობაში (2017-2018 წწ.), თსუ გეოგრაფიის ინსტიტუტის

სამეცნიერო ექსპედიციის ფარგლებში უშუალოდ საველე სამუშაოების დროს შესწავლილი და დაზუსტებული იქნა მოპოვებული მასალები, ექსპედიციამ კიდევ უფრო გაამდიდრა და მნიშვნელოვანი სიახლეები შესძინა მუნიციპალიტეტის ისტორიული გეოგრაფიის რიგ საკითხებს. სწორედ ზემოთ მოყვანილ მასალებსა და ადგილზე ჩატარებულ სამეცნიერო საველე სამუშაოებს ეყრდნობა მოცემული ნაშრომი. მასალების ფიქსაციისა და შესაბამისი ანალიზის შემდეგ შევეცადეთ შეგვედგინა მუნიციპალიტეტის სათავდოების საზღვრების, ისტორიული გზებისა (საერთაშორისო, შიდა ქსელი, უღელტეხილები) და ტოპონიმიის (მათ შორის სახეცვლილი) რეტროსპექტული კარტოგრაფირება, რომელიც წარმოადგენს სამეცნიერო სიახლეს და დიდ დახმარებას გაუწევს ზემო იმერეთის ისტორიული გეოგრაფიით დაინტერესებულ მკვლევარებს.

საკვლევ ობიექტად მცირე ტერიტორიის აღება გადაგვაწყვეტია ნიკო ბერძენიშვილის ხედვებმაც ისტორიულ გეოგრაფიაში. იგი მიუთითებდა, რომ ისტორიულმა გეოგრაფმა საქართველოს ისტორიული მხარეების კვლევა უნდა დაიწყოს არა დიდ გეოგრაფიულ არეალში, არამედ ლოკალური რეგიონებიდან, სადაც სისტემური, დაწვრილებითი კვლევების მეშვეობით უნდა ამოწუროს მხარის ისტორიულ–გეოგრაფიული შესწავლა, რაც დიდ თვალსაწიერს გაუხსნის მკვლევარს სხვადასხვა ისტორიული მოვლენის კვლევის პრობლემატიკაში გარკვევისათვის, მისცევს მას საშენ მასალას ისტორიული მსჯელობისათვის და გააშუქებს ჯერ შეუსწავლელ ისტორიულ პროცესებს.

ამისათვის საჭიროა არა მარტო კაბინეტური მუშაობა ისტორიულ წყაროებზე, არამედ კონკრეტული გეოგრაფიული არეალის მონახულება – შესაბამისი საველე სამუშაოების წარმოება, რაც კვლევის სრულფასოვნებას დიდად განაპირობებს.

წინამდებარე ნაშრომი ნათელი მაგალითია, იმისა, რომ ლოკალური ისტორიული მხარეების კვლევა ისტორიული გეოგრაფიის კუთხით დიდ სიახლეებს

სძენს ისტორიას და მრავალ ბუნდოვან, ზოგადად გაშუქებულ ისტორიულ მოვლენებს ნათელს ფენს.

თავი I

გეოგრაფიული მდებარეობა

გეოგრაფიული არეალი დიდ გავლენას ახდენს ამა თუ იმ საზოგადოების ცხოვრებაზე, მის განვითარებაზე, ეკონომიკასა და თავდაცვის უნარიანობაზე. აქედან გამომდინარე ისტორიული ხევის, მხარის, სათავადოს გეოგრაფიულ განფენილობას ერთ-ერთი გადამწყვეტი ადგილი უკავია, რაც აისახება კიდეც საქართველოს ძველი ისტორიული მხარეების ისტორიასა და ეკონომიკურ განვითარებაზე. სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში გეოგრაფიული მდგომარეობა დიდ ცვლილებებს განიცდის: ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ ერს სხვა ცვლის, სოფელი ნასოფლარად იქცევა, დაბა ნადაბურად, ტყე ნატყეურად და პირიქით, ძველი დაუსახლებელი ადგილები ახალ სიცოცხლეს იძენენ, სწორედ ამიტომ მათ ისტორიულ-გეოგრაფიულ შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ისტორიული გეოგრაფია ერთიან სისტემაში განიხილავს ყოველი მხარის ისტორიასა და გეოგრაფიას, რაც დიდ სიახლეებს სძენს საქართველოს ისტორიის რიგ საკითხებს.

გეოგრაფიული განფენილობის როლი ეკონომიკაში. მხარის გეოლოგიური აგებულება, მისი რელიეფი, ლანდშაფტი პირდაპირ ზეგავლენას ახდენდა ყოველი ერისა თუ მცირე პოლიტიკური ერთეულის სოციალურ ყოფაში. აღნიშნულ ფაქტორებზე იყო დამოკიდებული სოფლის მეურნეობის განვითარება, მარცვლეული კულტურების მოყვანის ტიპი, ბოსტნეული, ხეხილი. თუ ტერიტორიის სიახლოვეს მდინარე არ ჩამოედინებოდა, ირიგაციის გარეშე მოსავლიანობა ერთი-ორად

მცირდებოდა. ისტორიულ პერიოდში კი სოფლის მეურნეობას ეკონომიკაში უპირველესი ადგილი ეკავა. მხარის რელიეფი ბევრად განაპირობებდა იმას, თუ მეურნეობის რა ტიპს მისდევდა მოსახლეობა, თუ მხარე მთაგორიანი იყო და სახნავი სავარგულები მცირე, მაშინ ამ მხარის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი მეცხოველეობას ეკავა, თუმცა მათთვის არც მიწადმოქმედება იყო უცხო საგანგებოდ მოწყობილ ტერასებზე. ეკონომიკური კეთილდღეობა კი სწორედ ამ დარგების განვითარებაზე იყო დამოკიდებული, აღნიშნული დარგების დაწინაურებული მდგომარეობა კი თითქმის მთლიანად გეოგრაფიულ მდებარეობაზე იყო დამოკიდებული. აქედან გამომდინარე გეოგრაფიულ მდებარეობას აგრარული ეკონომიკის მქონე ძველი ისტორიული პროვინციებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

გეოგრაფიული მდებარეობა და თავდაცვისუნარიანობა. თუ ეკონომიკისათვის მდინარეებით მდიდარი ვაკე-დაბლობები ხელსაყრელ ფაქტორს წარმოადგენდა, ამ შემთხვევაში აღნიშნული მიდგომა მუდმივი ომიანობით გამორჩეულ ისტორიულ პერიოდში აბსოლიტურად იცვლება. მხარე გეოგრაფიულად რაც უფრო მიუდგომელი და დაცული იყო, მით უფრო უსაფრთხოდ გრძნობდა ადგილობრივი მოსახლეობა თავს, და სწორედ ამიტომ, საქართველოში ძველად მიუვალ ადგილებს ირჩევდნენ დასახლებისათვის, მშვიდობიანობის დროს კი დაბლობში არსებულ სახნავ-სავარგულებს აქტიურად ამუშავებდნენ. მაგრამ ჩვენ კარგდ მოგვეხსენება, რომ ასეთი მშვიდობიანი პერიოდები საქართველოს მეტად მცირე ჰქონდა, ამიტომაც ქართული პროვინციების მოსახლეობა დასასახლებელ ადგილს პირველ რიგში თავდაცვის უნარიანობის ხელსაყრელობის მიხედვით ირჩევდა. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მხარე ქვეყნის რა ტერიტორიულ სივრცეში მდებარეობდა, თუ ის მონაპირე (საზღვარზე მდებარე) ქვეყანა იყო, მაშინ მას შემოსეული მტრის პირველი დარტყმების მოგერიება უხდებოდა, ხოლო შიდა ქართული პროვინციების მოსახლეობა უფრო მშვიდობიან ვითარებაში იქნებოდნენ. აღმოსავლეთ საქართველოში შემოჭრილი

მტერისათვის ხშირად სწორედ გეოგრაფიული ბარიერი – ლიხის ქედი შექმნილა გადაულახავ წინაღობად დასავლეთ საქართველოში შეჭრისათვის, რამაც დასავლეთ საქართველო ბევრჯერ იხსნა შემოსეული მტრის თარეშისაგან.

თანამედროვე **საჩხერის მუნიციპალიტეტის** ტერიტორია გეოგრაფიულად მეტად მრავალფეროვან სივრცეშია წარმოდგენილი, აქ შეხვდებით როგორც რთულ რელიეფსა და მთაგორიან ადგილებს ისე მდინარის ჭალებსა და ფართოდ გაშლილ ვაკეებს. მუნიციპალიტეტის დაცვას აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებებით ისტორიულ პერიოდში განაპირობებდა აქ მდებარე უხვი ორთოგრაფიული ობიექტები.

აღმოსავლეთიდან მხარეს ლიხის ქედის მთათა სისტემა ემიჯნება, რაც ხელს უწყობდა მის შედარებით უკეთ დაცულობას. ისტორიულად ცნობილი ფაქტია, თუ რაოდენ დიდი წინაღობა იყო აღმოსავლეთ საქართველოში შემოსეული მტრისათვის დასავლეთ საქართველოში გადასვლისათვის ლიხის ქედი. მუნიციპალიტეტის აღმოსავლეთ ხაზს გასდევს რთული გეოგრაფიული აგებულების შემდეგი მთათა სისტემა: ალხაშენდა, რიბისი (თანამედროვე ლებეური), ბილიურთა (ობოლისი), კარდანახუმი, რუსთავი, შახარადეტი, ლოხონი, პერანგა, მშვილდაური (შვილდისი), ძირი, კორტოხი, ედისჯვარი და მთა ვაკისა. აღნიშნული მთები პრაქტიკულად გადაულახავ ბარიერს წარმოადგენდა აღმოსავლეთიდან დასავლეთ საქართველოსაკენ დაძრული მტრისათვის. აქ მდებარე სამი უღელტეხილის გამაგრებაც საჭიროების შემთხვევაში, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე მეტად მოსახერხებელი იყო, და დამხვდური მტერის წინააღმდეგ დიდი უპირატესობა.

იგივე შეიძლება ითქვას მუნიციპალიტეტის ჩრდილოეთ მხარეზეც, რომელიც კიდევ უფრო რთული გეოგრაფიული აგებულებით გამოირჩევა თავისი მთაგორიანობის გამო. აქ მთელ სასაზღვრო ხაზზე რაჭის მიმართულებით მდებარეობს შემდეგი მთები: ველტყევი, კეცები, დიდგორა, ხიხამთა, საბვი, ფხონი, პეპელეთი

(საბუღრაო), დაღვერილა, სირხლაბირტი (წითელიკლდე). აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალში იყო ექვსი ძნელად გადასალახი უღელტეხილი, რომელთა დაცულობაც შესაბამისი გამაგრების შემთხვევაში მეტად ხელსაყრელ სტრატეგიულ უპირატესობას ქმნიდა მომხვდური მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

იგივეს ვერ ვიტყვით მუნიციპალიტეტის დასავლეთ და სამხრეთ მხარეებზე, სადაც გაშლილი ვაკე–დაბლობებია, რაც ამ მიმართულებიდან მოძრავ მტერს სწრაფ მანევრირებას უადვილებდა.

საჩხერის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობის შესწავლისას ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ძველ და ახალ რუკებზე, სადაც საჩხერე მისი ოროგრაფიული და ჰიდროგრაფიული ტოპონიმიით მეტ-ნაკლებადაა წარმოდგენილი. ჩვენი გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ მუნიციპალიტეტის მთებს, რომელიც მას საზღვრავს ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით სხვადასხვა რუკასა თუ ლიტერატურაში სხვადასხვა სახელით აღნიშნავენ, აგრეთვე, ხშირად საჩხერის რუკებზე არ წერია ყველა მთის სახელწოდება, როცა ისინი ყველა თანაბარ მნიშვნელოვანია. ჩვენ პირველ რიგში აღნიშნული პრობლემის მოგვარება გადავწყვიტეთ და დაწვრილებით შევისწავლეთ აღნიშნული არეალის ტოპონიმია, ცალკე ავღნიშნეთ ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმები და მოვახდინეთ მათი განცალკავება-ლოკალიზაცია. ამ მხრივ პირველი დახმარება რა თქმა უნდა ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომებმა გაგვიწია, აგრეთვე XIX საუკუნის რუსულმა ვერსიანმა რუკებმა. ვახუშტის რუკა მეტდ მნიშვნელოვანია მხარის ისტორიულ-გეოგრაფიული სურათის აღდგენისათვის, მაგრამ ის მეტად მწირია და მაშტაბიდან გამომდინარე სრულ სურათს არ ასახავს, მიუხედავად მისი როგორც წყაროს როლი განუზომლად დიდია. სწორედ ვახუშტის რუკა და მისი შრომები დაგვეხმარა რუსული ტერმინოლოგიითა და არასწორი თარგმანით რუკაზე დატანილ მრავალი ტოპონიმის სწორად წაკითხვაში. უნდა აღინიშნოს, რომ რუსული რუკა XIX საუკუნის უფრო

ადრეული საქართველოს ისტორიული დასახლებულ ადგილთა ტოპონიმიის აღდგენაში განუზომლად დიდია. აღნიშნულმა რუკამ დიდი დახმარება გაგვიწია საჩხერის მუნიციპალიტეტის მონაკვეთზე არსებული ძველი სოფლების ადგილმდებარეობის ლოკალიზაციასა და ტოპონიმიის აღდგენის მხრივ. რუსულ რუკაზე მოპოვებული მასალები დიდად შეავსო და გაამდიდრა ძველი ისტორიული სახელებით ივანე ჯავახიშვილის ისტორიულმა რუკამ (1923), ალექსანდრე ჯავახიშვილის რედაქტორობით 1931–1932 წლებში შედგენილმა რუკამ და სხვ. აღნიშნულ რუკებზე მოცემულ მასალათა შეჯერებამ დიდი დახმარება გაგვიწია საჩხერის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიის რეტროსპექტული სურათის აღდგენაში.

თავი II

იმერეთისა და ქართლის სამეფოების საზღვარი საჩხერის მონაკვეთზე

XV საუკუნიდან, როდესაც საქართველო სამეფო–სამთავროებად იშლება, დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთს შორის მდებარე ოროგრაფიული ბარიერი – ლიხის ქედი ავტომატურად იქცა ქართლისა და იმერეთის სამეფოების საზღვრის გამყოფ ხაზად. თუმცა საჩხერის მონაკვეთის აღმოსავლეთ, ჩრდილო და სამხრეთ მხარეების ნაწილს ხშირად ქართლის მეფე ფლობდა. ეს ფაქტი თვალნათლივ ჩანს ხეფინიხევის შემთხვევაში.

ჩვენს რუკაზე მოტანილია ვახუშტი ბაგრატიონის XVIII საუკუნის რუკის ქართლ–იმერეთის საზღვარი, რომლის მცირედი კორექტირებაც ჩვენ კვლევის საფუძველზე მოვახდინეთ და ზუსტად გავატარეთ სასაზღვრო ზოლი. აღნიშნულ ქმედებაში დიდი დახმარება გაგვიწია ისტორიულმა წყაროებმა, რომელშიაც საუბარი იყო ამა თუ იმ ტერიტორიის კუთვნილებაზე ისტორიულ პერიოდში. აგრეთვე საწერეთლოსა და საბაშიძეოს მამულებში დასახელებულმა ტოპონიმებმა, ამავდროულად, ჩვენ შევისწავლეთ საჩხერის მოსაზღვრე სათავადოების მამულთა სიებიც სხვადასხვა

პერიოდებში. გარდა ამისა, უდიდესი დახმარება გაგვიწია ჩვენს მიერ აღდგენილმა ისტორიულმა ტოპონიმებმა, სადაც აშკარად ჩანს სოფლის, ნასოფლარის, ადგილის სახელწოდებები, რომელთა სახელებიც სხვადასხვა წყაროშია გაბნეული, ზოგიერთი მათგანი წარმოადგენს გამჭირვალე ტოპონიმს, მაგ. სასაზღვრო ხაზზე მდებარე აბაშიძის ტყე, რომლის მონაკვეთიც კარტოგრაფიულად ვახუშტის ქართლის სამეფოში აქვს მოქცეული, ჩვენ კი იგი იმერეთის სამეფოში გადმოვიტანეთ რაც, როგორც წყაროებით, აგრეთვე ჩვენს მიერ ადგილზე ნანახი გეოგრაფიული თვალსაზრისითაც ყოვლად გამართლებულია.

მკვეთრ ცვლილებას აღნიშნული საზღვარი XVIII საუკუნიდან განიცდის, როდესაც ხეფინიხევის სოფლებს ერეკლე II ჯერ აბაშიძეებს აძლევს, ხოლო შემდეგ მას მეფე სოლომონი იკავებს და სამეფო დომენად აქცევს, რომელიც შემდეგში თავის მხრივ ამ სოფლებს წერეთელთა ფეოდალურ სახლს უბოძებს.

ხეფინიხევისა და დანარჩენი აქ მდებარე ქართლის სამეფოს კუთვნილი სოფლების ქართლისადმი კუთვნილებას განაპირობებდა ტერიტორიების ხშირი საგზაო კავშირი ქართლის სოფლებთან, რაც რუკაზე მოცემულია. ეს გადასასვლელები ოთხი იყო, მაშინ როდესაც საჩხერეში მდებარე საწერეთლოსა და სააბაშიძეოს აღნიშნული მხარე მხოლოდ ერთი გზით – ძირულის ხეობით უკავშირდებოდა.

ძირითად საგზაო მაგისტრალზე, რომელიც ჭერათხევის ხეობით შედიოდა იმერეთში, სასაზღვრო გამყოფ ხაზზე კორბოულის მონაკვეთზე გზას სასაზღვრო ციხე კეტავდა თანამედროვე სოფელ ნიგვზარაში (სამთელას ციხე), რომლის მონახულებისას ჩვენ ძველი გზის ფენექი (ქვაფენილი), წვიმისგან გადარეცხილი, გარკვევით შევნიშნეთ.

იკვეთება კიდევ ერთი თვალსაჩინო ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ამ მხარის ქართლისადმი კუთვნილება კიდევ უფრო გარკვევით ჩანს. ეს არის მიგრაციები, რომლის მიხედვითაც ამ სოფლების მოსახლეობა საცხოვრებლად ხშირად არა

საჩხერის მხარეში, არამედ სურამის მიმართულებით გადაადგილდება. მაგალითად, ნასოფლარ გორიჯვარში მცხოვრები ტაბატაძეები და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობაში დღემდეა იმის მახსოვრობა, რომ მათი წინაპრები სავაჭროდ არა საჩხერეში, არამედ სურამში გადადიოდნენ, რაც უხვი გზების არსებობით იყო განპირობებული.

იმერეთისა და ქართლის საზღვრის ჩრდილო–აღმოსავლეთის ნაწილიც, მთა პერანგას აღმოსავლეთით ისტორიულად ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ამ მხარის აღწერისას ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ იგი მთლიანად გაუდაბურებულია ჭალის ზემოთ და იქ მხოლოდ ნასოფლარები და ნადაბურებია. სწორედ ეს დაუსახლებლობა უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ აქ XVIII-XIX საუკუნეებში ოსები გადმოდიან და ოსურ სოფლებს ქმნიან, რაც შემდეგში იმის საფუძველი გახდა, რომ ეს მხარე ადმინისტრაციულად სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ ოლქს მიაკუთვნეს და არა საჩხერის მუნიციპალიტეტს, მაშინ როდესაც ეს მხარე გეოგრაფიული თვალსაზრისით საჩხერის შემადგენელი ნაწილია. აღნიშნული ადმინისტრაციული დაყოფის მერყეობა გასული საუკუნის 90–იან წლებში დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენისას გამოსწორდა და ეს მხარე საჩხერეს მიაკუთვნეს, თუმცა დღეისათვის იგი ოკუპირებულ ტერიტორიას წარმოადგენს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, გეოგრაფიული ზღუდე ლიხის ქედს აქეთ ხშირად გადმოდიოდა ქართლის საზღვარი და პოლიტიკური საზღვარი გეოგრაფიულს უგულველყოფდა. ვახუშტის მიხედვით ქართლ–იმერეთის საზღვარი ლიჩს ზემოთ – კორბოულთან გაივლის, აუყვება მდინარე ძირულას, ისე რომ მის მარცხენა სანაპიროს თავის საზღვრებში მოიტოვებს, ... (ვახუშტი 1997: 84, 209).

ქართლ–იმერეთის საზღვრის ამ მონაკვეთს განიხილავს ბერი ეგნატაშვილიც, რომელიც XVI საუკუნის ვითარებას აღწერს, რომელსაც მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს მის თანადროული საზღვრების წარსულში გადატანას, მაგრამ ჩვენი აზრით,

სწორედ ეს საზღვარი უნდა ყოფილიყო ოდითგანვე ვიდრე XVIII საუკუნემდე ქართლ–იმერეთის გამყოფი ზოლი. ბერი ეგნატაშვილის მიხედვით ქართლ–იმერეთის საზღვრის საჩხერის მონაკვეთი ასე გამოიყურება: ,, წედისის მთის გადმოღმართი და კუდარო. და ჭალის მთას გადმოღმართი, ერწო, და მშვილდაურსა და პერანგას გადმოღმართი, გორაძირის–აქათი, ლიჩი, ღოდორა, ქეფისხევი და ჩხერის ციხე.“ (გველესიანი, 1959: 349).

როგორც ზემოთ დავინახეთ ვახუშტისა და ბერის ცნობები ერთმანეთს ემთხვევა. ეს ორი მკვლევარი ერთმანეთის თანამედროვეა.

ტიმოთე გაბაშვილი 1737 წლის იმერეთის რუკის მიხედვით, ქართლ–იმერეთის საზღვარი ლიხის ქედს გასდევს და ძირულის ხეობის საჩხერის მონაკვეთის სოფლები იმერეთში რჩება: კორბოული, ლიჩი, ღოდორა და ა.შ.

გიულდენშტედტის აღწერილობის მიხედვით ეს მხარე XVIII საუკუნის 70–იან წლებში იმერეთშია. ამ სოფლების მფლობელი, გიულდენშტედტის (გიულდენშტედტი, 1962: ტ.1, 303) მიხედვით ქართლის ქვეშევრდომობაში მყოფი აბაშიძეთა საგვარეულოა, მაგრამ მხარე კი იმერულია და იმერლებითაა დასახლებული. გამომდინარე აქედან ,,ზემო მხარი“ ანუ მისი შემადგენელი ნაწილიც გიულდენშტედტს იმერეთის კუთვნილებად მიაჩნია. ლიჩი, ღოდორა, ჯალაურთა და მოძვი იმერეთისაა. გიულდენშტედტი აგრეთვე მიუთთებს, რომ ზემო ქვეყნის სოფლების: ,, უმეტესობა ეკუთვნის თავად წერეთელს, დანარჩენი კი მეფესა და მეფის – ძეს გიორგისა და არჩილს“ (გიულდენშტედტი; 1962: 301). უეჭველია, რომ მეფის კუთვნილ მიწებში იგი ქორეთისა და საჩხერის სამეფო მამულებს გულისხმობს, ხოლო მეფის ძის კუთვნილებაში საუფლისწულოს, რომლის საზღვრის რეტროსპექტივაც ჩვენს მიერ აღდგენილი, რუკაზეა დატანილი.

გიულდენშტედტის (გიულდენშტედტი; 1962: 299) მიხედვით ზემო ქვეყანა, ყვირილის ზემო წელი, ანუ საჩხერის ჩრდილო–აღმოსავლეთი ლიხის ქედამდე ასე

გამოიყურება: ,, იგი არის ყველაზე დიდი ნაწილი ალპებიდან (კავკასიონის ქედი) სამხრეთისაკენ გადაჭიმული გადამკვეთი ქედის იმერული კალთებისა. აღმოსავლეთი, ანუ ქართლის გასწვრივ და ქედის თხემზე მდებარე ნაწილი ამ დიდი მხარისა იწოდება სააბაშიოდ“.

ერთ–ერთი ისტორიული დოკუმენტით, 1611 წელს, საწერეთლო ქართლის მეფე შაჰნავაზის კუთვნილებაშია ვიდრე ხრეითამდე (ჭიათურის მუნიციპალიტეტი): ,, ქ. მეფეთ მეფე შაჰნავაზ უზეშთაესთა მოგახსენებთ და უქუდაესთა გიბრძანებთ, ერთობილნო ბუჯას წყალს ზედათნო, ხრეითიანთ ლიხის მთამდი, მერმეთ თქუენი სარდრობა ზაალ წერეთლისათვის გუიბოძებია“[გიულდენშტედტი; 1962: 50] როგორც ჩანს ამ დროს წერეთლები ქართლის მეფის ყმანი არიან, შესაძლოა ეს მხარე უწინაც ქართლის მეფეებისა იყო ვიდრე წერეთლები იმერეთის მეფეს ეყმობოდნენ, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ იმერეთის ამ მხარეზე პრეტენზია აქვთ სიმონ მეფეს, გიორგი სააკაძეს, ამავდროულად ლიჩი და ღოდორა ქართლ–კახეთის სამეფო სახლის დომენია. ამ არგუმენტს ისიც ამყარებს, რომ აქ წერეთლებამდე ეს ტერიტორიები ქართლურ ფეოდალურ გვარს – ფალავანდიშვილებს ეკუთვნოდათ.

1680 წელს ეს მხარე იმერეთის მეფის მფლობელობაში ჩანს, როდესაც ამ მხარის სარდალს გიორგი იმერთა მეფე ამტკიცებს ისევ წერეთელთა საგვარეულოდან – ქაიხოსრო წერეთელს.

1766 წლის რუსული რუკის მიხედვით, ქართლ–იმერეთის საზღვარი ისევ დუმალასა და ძირულას წყალგამყოფზე გადის, რაც ჩვენს მიერ რუკაზე მოტანილ ქართლ–იმერეთის საზღვარს ემთხვევა.

ქართლ–იმერეთის საზღვარი, როგორც ზემოთ დასახელებული ფაქტებიდან ჩანს, ხშირად იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რომელი თავადი ან აზნაური რომელ მეფეს – ქართლისას თუ იმერეთისას ეყმებოდა.

ქართლს და იმერეთს შორის, რომ საზღვრის ცვალებადობა ამ მონაკვეთზე მტკივნეული და დაპირისპირების საგანი არ ყოფილა, ჩანს იქიდანაც, რომ ამ მხარეში სასაზღვრო ციხე მხოლოდ ერთია (სამთელა). არ შეინიშნება საზღვრის გასწვრივ არც საგუშაგო კოშკები, თუ არ ჩავთვლით ხვანის ციხეს, რომელიც შესაძლოა ქართლის სამეფოს სასაზღვრო ციხეს წარმოადგენდა ძირულის ხეობიდან საჩხერისაკენ გადმომავალ გზაზე, მაგრამ ეს გზა თავდაპირველად ძირულის ხეობიდან გამოსული ისევ ქართლის სამეფოში ამოვა და მხოლოდ გორაძირის მთასთან გადმოვა იმერეთში. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ამ გზაზე იმერეთის სასაზღვრო ციხე, მხარის დამცავი სამთელა იყო, ხოლო ქართლისა – ხვანის ციხე.

1664–1694 წლებში ლიხის ქედის ჭერათხევის ხეობის ნაწილი წერეთლებსა და ამირეჯიბებს შორის სადავო ყოფილა. წერეთელი ჯვარს აქეთ სოფლებს იჩემებდა, ხოლო ამირეჯიბი ძირულის იქეთს (იხილეთ რუკა).

თავი III

ისტორიული გზები, უღელტეხილები

ძველი გზების გამოვლენა და მათი კარტოგრაფიული აღნუსხვა, გარდა მეცნიერული ფაქტორისა, პრაქტიკულ - გამოყენებით ხასიათსაც იღებს; ძველი გზების აღდგენა რიგ შემთხვევაში ძალზე ხელსაყრელ ვითარებას უქმნის მოსახლეობას, როგორც ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების გახსნის მხრივ, აგრეთვე, საგზაო მანძილის შემოკლების თვალსაზრისით, რაც დროისა და თანხების

დაზოგვაზე პირდაპირ აისახება; ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ რამდენიმე ძველი საგზაო მონაკვეთი, რომელთა აღდგენასა და კეთილმოწყობის შემთხვევაში სახელმწიფო და, აქედან გამომდინარე, მოსახლეობაც დიდ შეღავათს იგრძნობს.

გზას, როგორც კომუნიკაციის საშუალებას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მოწესრიგებული საგზაო ქსელი უზრუნველყოფს კონკრეტულ ტერიტორიაზე განსახლებული მოსახლეობის თავისუფალ მიმოსვლას, რაც ხელს უწყობს, როგორც სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებას, აგრეთვე კულტურულ კავშირებს სხვადასხვა ეთნიკუად თუ ეთნოგრაფიულად განსხვავებულ ლოკალურ ჯგუფებს შორის.

მოწესრიგებულ საგზაო ქსელს თან სდევდა რიგი დადებითი პროცესები. გზის არსებობა მხარეებს შორის, ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას, ასევე ეკონომიკურ და კულტურულ ელემენტთა ცვლას, ამა თუ იმ ეთნოსის ტექნიკურ თუ კულტურულ მიღწევათა გადმოღებასა და გათავისებას. ,, მიმოსვლისა და აღებ–მიმცემობის გზები იყო, აგრეთვე, ის თვალსაჩინო ძალა, რომელიც, ერთ მხრივ, ქვეყნის მრავალ კუთხეს ერთმანეთს აახლოვებდა და აერთებდა'' (ხარაძე: 2003, გვ.151).

ამასთან, საერთაშორისო გზის გავლა ამა თუ იმ ქვეყანაზე, ხელს უწყობდა იმას, რომ ეს ქვეყნები მუდმივად მისდევდნენ თანამედროვე მსოფლიოს განვითარებას და არ ჩამორჩებოდნენ ცივილურ სამყაროს მიღმა, რაც მათი ნორმალური განვითარებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ფაქტორი იყო. საერთაშორისო გზის არსებობა ხშირად განაპირობებდა გზათა სიახლოვეს ახალი ქალაქებისა და სოფლების აღმოცენებას.

გარდა დადებითისა, გზის გაყვანას ახლდა უარყოფითი ფაქტორებიც; კერძოდ მტრის შემოსევის შემთხვევაში, თუ მხარე არასათანადოდ იყო გამაგრებული და კარგი გზაც გააჩნდა, მტერი სწრაფად გადაადგილდებოდა და იოლად იპყრობდა მხარეს,

ქვეყანას. სუსტი სახელმწიფოს არსებობის პირობებში, ომიანობისას მოსახლეობისათვის გზის მახლობლად ცხოვრება არახელსაყრელი შეიქმნებოდა და გადაინაცვლებდა შედარებით უსაფრთხო, მიუდგომელ ტერიტორიაზე.

ომიანობის დიდი ხნით გაგრძელების შემთხვევაში, შესაბამისი შეკეთებითი სამუშაოების შეუსრულებლობის გამო, შესაძლოა გზები მეტად დაზიანებულიყო მეწყერებით, ზვავებით, ძლიერი წვიმისას გადარეცხვებით, რაც მას სავალად უვარგისს გახდიდა და შესაძლოა მალე კიდევაც გამქრალიყო. მოსახლეობისათვის აგრეთვე არახელსაყრელი იქმნებოდა საზღვრისპირა ხიდები მდინარეებზე, ამის გამო შესაძლოა ისინი მიზანმიმარათულად დაენგრიათ.

გზის მნიშვნელობა ოდითგანვე გააზრებული ჰქონდათ საქართველოში, ჩვენი წინაპრები მოხერხებულად იყენებდნენ ბუნებრივად სასარგებლო ფაქტორებს, გზების გაყვანისას არ უშინდებოდნენ რთულ გეოგრაფიულ წინაღობებსაც კი, რაზედაც ნათლად მიუთითებს რთულ რელიეფზე გაჭრილი გზები, გადებული ხიდები. აღნიშნული მიუთითებს მათ სურვილს კავშირი დაემყარებიათ მეზობელ მხარეებთან და საერთოდ, გარე სამყაროსთან. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა: ,,თუმცა ეს ადამიანს ეუცხოვება, მაგრამ უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომ ძველად საქართველოში უფრო მეტი და მრავალმხრივი გზები ყოფილა, ვიდრე ამ უკანასკნელ დრომდე იყო და მოიპოვება'' (ჯავახიშვილი: 1983, გვ.68–69).

საქართველო გეოგრაფიული თვალსაზრისით ორ თითქმის თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. ამიერ და იმიერ საქართველოს ჰყოფს მკვეთრად გამოკვეთილი ლიხის, ანუ სურამის ქედი.

იმერეთი საქართველოს გეოგრაფიულ ცენტრს წარმოადგენს, რეგიონი ხასიათდება როგორც რთული რელიეფური ფორმებით, აგრეთვე ვაკე–დაბლობებითაც (მაგ. კოლხეთის დაბლობი). იმერეთის რეგიონს გარს ბუნებრივი საზღვრები აკრავს, აღმოსავლეთით მას ლიხის ქედი ესაზღვრება, დასავლეთით

მდინარე ცხენისწყალი, ჩრდილოეთით რაჭის ქედი, ხოლო სამხრეთით აჭარა–იმერეთის ქედი. რეგიონი პირობითად დაყოფილია ზემო და ქვემო იმერეთად (ღვინიანიძე, შარაშიძე: 2001, გვ.154). იმერეთის ადმინისტრაციული საზღვრები გადის საქართველოს რეგიონებზე, მას საზღვარი უცხო ქვეყანასთან არ გააჩნია, იმერეთის გზები საზღვრებიდან ჯერ ქართულ პროვინციებს, შემდგომ კი ქვეყნის გარე ტერიტორიებსაც უკავშირდებოდნენ.

აღსანიშნავია ერთ–ერთი ქართული გამოთქმა: ,,გზები ნაგზევზე და წყალი ნაწყლევზეო'', რაც მიგვანიშნებს ჩვენი წინაპრების ჩვეულებაზე, რომ ისინი ცდილობდნენ შეეკეთებიათ ძველი გზა, რაც ბევრად უფრო ხელსაყრელი იყო ვიდრე გაეყვანათ ახალი. ამის მიხედვით შესაძლოა ვიმსჯელოთ იმაზე , რომ საქართველოს, იმერეთის ისტორიული გზები, ისტორიულ ეპოქაში ძირითადად ერთი მიმართულებით გადიოდა და სახეცვლილებას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში რაიმე მიზეზის გამო განიცდიდა.

უძველესი დროიდანვე, იმერეთში გადიოდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი საერთაშორისო გზა. აღნიშნული ფაქტორი დიდ გავლენას ახდენდა იმერეთზე, მის განვითარებაზე, ამ გზის საშუალებით ის საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად, სავაჭრო–კულტურულ კავშირს ამყარებდა დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის შორეულ ქვეყნებთან (გველესიანი: 1959, გვ.5).

გზების არსებობამ, საერთაშორისო მიმოსვლამ, დააჩქარა პირველყოფილ–თემური წყობილების დაშლა და ადრემონათმფლობელური სახელმწიფოს ჩამოყალიბება. აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს გარკვეულ ნაწილში აღმოცენდა იბერიის სამეფო, ფარნავაზით სათავეში. ფარნავაზის სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი იყო ერთ–ერთი სამხედრო ადმინისტრაციული ოლქი ლიხის (სურამის) ქედის დასავლეთით, არგვეთის საერისთავო, რომელიც გვიანდელი იმერეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. (გველესიანი: 1959, გვ.80).

სურამის ქედის ფაქტორი, რა თქმა უნდა, დიდ წინაღობას ქმნიდა, იბერიის სახელმწიფოს პირობებში ძნელი იქნებოდა ცენტრიდან ,,გადაღმა'' მხარის მართვა მეფის სამოხელეო აპარატისათვის. თუმცა სურამის ქედის გადასასვლელის გარდა იბერიის სამეფოს შეეძლო არგვეთის საერისთავოსთან კავშირი დაემყარებია ახლანდელი ჯვრის უღელტეხილის გადავლით, რომელზედაც გადადიოდა საერთაშორისო გზა, ეს მონაკვეთი ბევრად უფრო ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო დასავლეთთან იბერიის კავშირისათვის.

აღნიშნულ უღელტეხილებზე გადაადგილება მეტად რთული უნდა ყოფილიყო, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ მონღოლებმა დასავლეთ საქართველოში გადასვლა XII საუკუნეში ვერ შეძლეს, რასაც გარდა სამხედრო–პოლიტიკური ვითარებისა, გზა და გეოგრაფიული მდებარეობაც უშლიდა ხელს.

აღმოსავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი ორი მნიშვნელოვანი უღელტეხილი, როგორც უკვე ზემოთ ავღნიშნეთ, იმერეთზე გადიოდა, ერთი მათგანი ალი–მცხეთისჯვარი–ჭერათხევის ხეობა–ჯვარი–კორბაული, საჩხერის გავლით მიემართებოდა შავი ზღვისაკენ, და მეორე, სურამი–ჩუმათელეთი–ფონა–წიფა–ნებოძირი–მოსაკიდელ–ჩხერი–შორაპანი. გარდა ამ გადასასვლელებისა ამ ადგილებში უღელტეხილის გადასაკვეთად გამოიყენებოდა სხვა გზებიც, მაგრამ ეს ორი უკანასკნელი მაინც ძირითად მარშრუტს შეადგენდა. ამ გზებს, თავის მხრივ, უერთდებოდნენ სხვადასხვა მნიშვნელობის შიდა გზებიც, რომელზედაც გადაჰქონდათ სავაჭრო საქონელი (ნადირაძე: 2001, გვ.184).

სამხრეთ საქართველოს იმერეთი ზეკარის უღელტეხილით უკავშირდებოდა. იმერეთიდან ჩრდილოეთით გზა ნაქერალას გადასასვლელიდან რაჭაში გადადიოდა, ასევე რაჭაში გადადიოდა გზა სოფელ ხრეითიდან. აგრეთვე, საჩხერიდან, ყვირილის ხეობით გზა გადადიოდა ფრონესა და ლიახვის სათავეებისაკენ (ბერძენიშვილი: 1964,

გვ.16). და ა.შ. დასავლეთიდან იმერეთს გზა ხსნილი ჰქონდა კოლხეთის დაბლობის რელიეფის სიმარტივის გამო.

ჩამოთვლილ გადასასვლელებს ჩვენ ქვემოთ დაწვრილებით კიდევ შევეხებით.

გზების არსებობა პირდაპირ ზემოქმედებას ახდენდა ქალაქებისა და სოფლების განაშენიანებაზე, ყველა დიდი ქალაქი და დასახლებული პუნქტი ცენტრალურ გზაზე მდებარეობდა, როცა ეს გზა მოიშლებოდა, ქალაქსაც ხშირად ფუნქცია ეკარგებოდა.

გზების არსებობამ განაპირობა სწორედ იმ დიდი თანამედროვე ქალაქების ჩასახვა–განვითარება როგორებიც არიან: ქუთაისი სამტრედია, ზესტაფონი. თუმცა გზასთან ერთად შესაძლოა ხელშემწყობ ფაქტორად ქცეულიყო სასარგებლო წიაღისეულის, თუ საკურორტო ზონის არსებობა ამა თუ იმ მხარეში, მაგალითად წყალტუბო, ტყიბული ჭიათურა ცენტრალური გზიდან დაშორებულია, მაგრამ ისინი პირველხარისხოვანი გზებით იყვნენ ცენტრალურ გზებს დაკავშირებული და მოსახლეობაც საკმაოდ დიდი იყო.

საერთაშორისო მნიშვნელობის გზებს მიღმა დარჩენა ცუდად აისახა იმ ქალაქების განვითარებაზე, რომელნიც ერთგვარ ჩიხურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მაგალითად: ბაღდადი, ვანი, ხარაგაული, ხონი და ა.შ.

ზოგიერთი ძველი გზა მოიშალა და სხვა მხარეზე გადაინაცვლა, რამაც გამოიწვია ამ მიმართულებით მოსახლეობის შემცირება. მაგალითად, ქუთაისი–ძევრი–ჩხარი–სკანდა–ხრეითი–საჩხერე–კორბოული–გომის გზის გადანაცვლებამ გვიან პერიოდში, ქუთაისი–ზესტაფონი–ხაშურის მონაკვეთზე, რამაც არსებითად შეცვალა მათი მდგომარეობა, პირველის უარყოფითად, ხოლო მეორე დადებითად.

ძველი გზების შესწავლა იმ მხრივაც არის საჭირო რომ მათ აღდგენას დიდი სტრატეგიული და სოციალურ–ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია. ასე მაგალითად, ცხინვალი–ონის გზის ფუნქციის დროებით ან გარკვეული ვადით დაკარგვის შემდეგ, გასაგები მიზეზების გამო მოძრაობა ხაშური–ზესტაფონი–ტყიბული–ამბროლაური–ონის

მიმართულებით ხდება, რაც ძალიან გრძელი მარშუტია. ძველი, ისტორიული გზის აღდგენა კი დიდად შეამცირებდა მანძილს და სოციალურ–ეკონომიკურ შეღავათს მისცემდა მოსახლეობას. ასევე, თითქმის დაუტვირთავია ქუთაისი–ბაღდადი–აბასთუმნის გზა მისი კეთილმოუწყობლობის გამო და სატრანსპორტო მოძრაობა ხდება ხაშური–ბორჯომი–ახალციხე–ადიგენის მიმართულებით.

ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის შემდეგ რაჭაში მიმავალი საგზაო მონაკვეთი ბლოკირებულ იქნა; ამის გამო შეირჩა შემოვლითი მარშრუტი, რამაც ძალიან გაზარდა მანძილი; ესაა შემდეგი მიმართულება: **ხაშური–ზესტაფონი–ტყიბული–ამბროლაური–ონი**. ძველად რაჭაში გადასასვლელი გზა არსებობდა **საჩხერე–ხრეითი–ონის** მიმართულებით, რომელიც დღეისათვის უკვე აღდგენილია. აღნიშნული მონაკვეთის რეაბილიტაციით გზა საგრძნობლად შემოკლდა, რაც თითქმის ძველი, ცხინვალის მიმართულების, გზის იდენტურია. იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ ისტორიულ მარშრუტზედაც: **ხვანი–ჭალვანი–წმანი–დედაბერას გადასასვლელი–სურამი**, რომლის აღდგენის შემთხვევაშიც მგზავრს ჭერათხევის ხეობის, გომისა და ხაშურის გაუვლელად შეუძლია უმოკლეს დროში საჩხერის ტერიტორიიდანვე მოხვდეს სურამში და შემდეგ დასავლეთისაკენ სხვადასხვა მიმართულებით. ეს გზა შეამცირებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტისაკენ მიმავალ მარშრუტსაც და ა.შ. (კეკენაძე; 2014: 64).

გზას, როგორც კომუნიკაციის საშუალებას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მოწესრიგებული საგზაო ქსელი უზრუნველყოფს კონკრეტულ ტერიტორიაზე განსახლებული მოსახლეობის თავისუფალ მიმოსვლას, რაც ხელს უწყობს, როგორც სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებას, აგრეთვე კულტურულ კავშირებს ეთნიკუად თუ ეთნოგრაფიულად განსხვავებულ სხვადასხვა ლოკალურ ჯგუფს შორის.

ამასთან, საერთაშორისო გზის გავლა ამა თუ იმ ქვეყანაზე ხელს უწყობდა იმას, რომ ეს ქვეყნები მუდმივად მისდევდნენ თანამედროვე მსოფლიოს განვითარებას და

არ ჩამორჩებოდნენ ცივილიზებულ სამყაროს, რაც მათი ნორმალური განვითარებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ფაქტორი იყო. საერთაშორისო გზის არსებობა ხშირად განაპირობებდა გზათა სიახლოვეს ახალი ქალაქებისა და სოფლების აღმოცენებას.

გარდა დადებითისა, გზის გაყვანას ახლდა უარყოფითი ფაქტორებიც; კერძოდ, მტრის შემოსევის შემთხვევაში, თუ მხარე არასათანადოდ იყო გამაგრებული და კარგი გზაც გააჩნდა, მტერი სწრაფად გადაადგილდებოდა და იოლად იპყრობდა მხარეს, ქვეყანას. სუსტი სახელმწიფოს არსებობის პირობებში, ომიანობისას მოსახლეობისათვის გზის მახლობლად ცხოვრება არახელსაყრელი გახდებოდა და გადაინაცვლებდა შედარებით უსაფრთხო, მიუდგომელ ტერიტორიაზე.

ომიანობის დიდი ხნით გაგრძელების შემთხვევაში, იმის გამო, რომ შეკეთებითი სამუშაოები აღარ ტარდებოდა, შესაძლოა გზები მეტად დაზიანებულიყო მეწყრებით, ზვავებით, ძლიერი წვიმისას გადარეცხვებით, რაც მას სავალად უვარგისს გახდიდა და შესაძლოა მალე კიდევაც გამქრალიყო. მოსახლეობისათვის აგრეთვე, ზოგჯერ მტრის შემოსევისას არახელსაყრელი ხდებოდა საზღვრისპირა მდინარეებზე არსებული ხიდები, ამის გამო, შესაძლოა ისინი მიზანმიმარათულად დაენგრიათ.

XV-XIX საუკუნეების გზების განვითარების შესახებ თვალსაჩინო ინფორმაციას ვიღებთ ევროპელი თუ რუსი მოგზაურების ჩანაწერებიდან, რომლებმაც თითქმის მიყოლებით ეპოქალური ინტერვალებით გაიარეს იმერეთის რეგიონის გზები. მაგალითად: რუსი ელჩები ალექსი იევლევი და ტოლოჩანოვი, ჟან შარდენი, იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, ჟაკ ფრანსუა გამბა და სხვა. მათ მიერ განვლილი მარშუტებიდან ნათლად იკვეთება თუ რა პერიოდში, რა მიმართულებით გადიოდა საგზაო მონაკვეთები და რა სპეციფიკით ხასიათდებოდნენ ისინი.

იმერეთის ისტორიული გზები XV-XVIII საუკუნეში, ფაქტობრივად უმნიშვნელო ცვლილებებს განიცდიდა, და იშვიათად ხდებოდა ძირითადი საგზაო მონაკვეთის

გადანაცვლება, ხოლო რუსული მმართველობის დამყარების შემდგომ, XIX საუკუნეში გაიჭრა არაერთი საგზაო მონაკვეთი. გზის უცვლელობას განაპირობებდა გეოგრაფიული ფაქტორები, მაგალითად, რთული რელიეფის მქონე მხარეში გზა შეიძლებოდა გასულიყო მდინარის ხეობაში, სადაც მდინარე ქმნიდა ერთგვარ ტერასებს, და ამ ტერასებზე გზის გაჭრა მეტად ხელსაყრელი და მარტივი იყო, ვიდრე კლდოვან თუ მთიან რელიეფზე, რომელიც ხშირად შეუძლებელიც კი იყო.

გზის უცვლელობას აგრეთვე განაპირობებდა ამ გზაზე მდებარე სოფლები თუ ქალაქები, რომელნიც გზის გამო, მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრებად შეიძლებოდა გადაქცეულიყვნენ ამ ცენტრებზე გზის აქცევა კი ორივე მხარისათვის არახელსაყრელი იქნებოდა, რის გამოც ძველი გზა ძირითადად უცვლელი რჩებოდა. ამიტომაც გზების გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოქცევა მეტად ძნელი, და ზოგჯერ შეუძლებელიცაა.

აღმოსავლეთის მიმართულებით გზა, როგორც ავღნიშნეთ, უკავშირდებოდა ამიერ საქართველოს. რელიეფის სირთულის გამო გზა მეტად რთული სავალი იყო; აქ გამოირჩეოდა ორი მონაკვეთი, ერთი სურამის უღელტეხილის გადასასვლელი, რომელსაც თავის მხრივ რამდენიმე მიმართულება ჰქონდა, და მეორე ჯვარის უღელტეხილით ჭერათხევის ხეობიდან საჩხერე–ჭიათურის მიდამოებისაკენ, რომელიც შემდგომ ქუთაისს უკავშირდებოდა.

XIX საუკუნეს იმერეთის რეგიონი ახალი რეალობით შეხვდა, დამყარდა რუსული მმართველობა, 1810 წელს სამეფო გაუქმდა.

იმერეთის გლეხები ძალზედ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მათ მოსთხოვეს საგზაო ბეგარა. გლეხებს დაეკისრათ ტვირთზიდვის გამართვა იმერეთის სამხედრო გზაზე, რომელიც სურამიდან იწყებოდა და ქუთაისს თბილისთან აკავშირებდა. გლეხობას უნდა გამოეყვანა საჩალავადრე ცხენები, თავისი გამყოლებით. აღნიშნულმა ბეგარამ მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ისედაც ეკონომიკურად სუსტი გლეხობა,

ამას დაემატა სხვა რიგი ფაქტორებისა და მოსახლეობა 1810 წლის ივნისში აჯანყდა (გველესიანი: 1959, გვ.89).

იმერეთს ჰკვეთდა ტრანსამიერკავკასიის საფოსტო გზა, რომლითაც აღმოსავლეთ საქართველო უკავშირდებოდა დასავლეთ საქართველოს და ფოთის ნავსადგურს.

რაჭისა და ახალციხისაკენ მიმავალი გზები ამ დროისათვის მეტად ცუდ მდგომარეობაში იყო.

მეფის რუსეთის დროს იმერეთის სამხედრო გზით ხდებოდა ამიერკავკასიისა და სპარსეთის ვაჭრობა ევროპასთან, აქედან გამომდინარე ის საერთაშორისო სამიმოსვლო გზათა ქსელში ჩაერთო, რამაც დიდად შეუწყო ხელი გზების შემდგომ განვითარებას. ვაჭრობის განვითარებისათვის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გზა იყო, ამიტომაც ვაჭრობისათვის ხელის შეწყობის მიზნით მეფის რუსეთის ბიუროკრატია ზრდიდა იმერეთის გლეხობის საგზაო ბეგარას, რათა ტრანსპორტით უზრუნველყოფილი ყოფილიყო ეს საგზაო მონაკვეთი. საგზაო ბეგარა გულისხმობდა გზის მოწესრიგებასაც, რაც გლეხისათვის მეტად მძიმე იყო. ეს მისთვის დამატებით აუნაზღაურებელ შრომას მოითხოვდა. 1867 წელს შორაპნის მაზრის გლეხობას დაევალა გამოეყვანათ ორი ათასზე მეტი ურემი და საპალნე. მიუხედავად ბეგარებისა იმერეთის გზების გამტარუნარიანობა მეტად სუსტი იყო, რადგანაც საერთაშორისო მიმოსვლას არსებული ვიწრო და ცუდი გზები ვერ უზრუნველყოფდა. ტვირთის გადატანას ამ მონაკვეთზე მეტად, ხშირი იყო გზების დაზიანება იმგვარად რომ ის ხშირად გადაულახავ ბარიერად იქცეოდა ხოლმე, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ხარაგაულის მონაკვეთი, სადაც რთული გეოგრაფიული გარემოს გამო ხშირად იკეტებოდა გზა, ეს გამოწვეული იყო წყალდიდობებით, მეწყრებით. ჩხერიმელას ხეობაში მიმავალ ამ გზაზე გავლა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ეს პროცესი წლიდან წლამდე კიდევ უფრო ძნელდებოდა (გველესიანი: 1959, გვ.2).

XIX საუკუნის ზემო იმერეთის გზებს ძალზედ ცუდ დახასიათებას აძლევენ ავტორები: თაილი ღვინიანიძე და მარი შარაშიძე. მათი აზრით, გლეხობას არ ჰქონდა შესაძლებლობა მოევლო გზისათვის, რასაც კიდევ უფრო ართულებდა მთაგორიანი რელიეფი და ნოტიო ჰავა. მდგომარეობის სირთულეზე მიუთითებს შემდეგი ციტატა: ,,ზემო იმერეთის სამიმოსვლო ტრასები ვიწრო, ოღრო–ჩოღრო, ზოგან საცალფეხო ბილიკებად ქცეულ გზებს წარმოადგენდა. წვიმების შემდეგ ორმოებში ჩამდგარი წყალი და ლაფი სახიფათოს ხდიდა მოგზაურობას, ბევრ ადგილას გზები ხრამებად იქცეოდა''. (ღვინიანიძე, შარაშიძე: 1960, გვ.241). გზების სირთულეს კიდევ უფრო ართულებდა ხიდების გაუმართაობა, ხშირად საერთოდ არ არსებობა ზემო იმერეთის გზებზე. იყო მხოლოდ საცალფეხო დაკიდული (ბონდის) ხიდები, რომელზედაც ურემის ან რაიმე საზიდარის გატარება წარმოუდგენელი იყო, ამიტომაც ურმები ფონებით სარგებლობდნენ. აღნიშნულ მხარეში მოძრაობას მკვეთრად გამოხატული სეზონური ხასიათი ჰქონდა, გადაადგილება ზამთარში ფაქტობრივად წყდებოდა. (ღვინიანიძე, შარაშიძე: 1960, გვ241).

XIX საუკუნის გაზეთები აღნიშნავდნენ: ,, ეს გზა (ჭიათურა–ზესტაფონის) სწორედ ნამდვილი ჯოჯოხეთია, ამ ვიწრო და კლდიან ხეობაში ზაფხულობით ისე ცხელა, რომ კაცს სუნთქვა უჭირს. გზა, რომელიც მთლად ქვაგუნდის შავი მტვრით არის დაფარული, ბევრს ადგილას და განსაკუთრებით ხრამების ზემოთ, ისეთი ვიწროა, რომ იმერულ პატარა ურემსაც კი უჭირს უშიშრად გავლა, გარდა სივიწროვისა , ამ გზაზე ისეთი ოღროჩოღრო და ორმოებია, რომ ღამე მასზე გავლა ცარიელ კაცსაც არ შეუძლია''. (ღვინიანიძე, შარაშიძე: 1960, გვ.242).

აღნიშნული აშკარად მიუთითებს ზემო იმერეთის საგზაო მონაკვეთების ძალზედ მძიმე ვითარებაზე. აშკარა იყო, რომ თუ გზები არ მოწესრიგდებოდა, მოსახლეობის ყოფა კიდევ უფრო აუტანელი შეიქმნებოდა, აუცილებელი იყო გზის მოწესრიგება

მთავრობის მიერ, ამას ეკონომიკურად მეტად ღარიბი იმერელი გლეხობა თავისი ძალებით ვერ მოახერხებდა.

მართლაც, 1860–იან წლებში საჩხერე–ჭიათურა–ზესტაფონის გზა საფუძვლიანად შეკეთდა (ღვინიანიძე, შარაშიძე: 1960, გვ.247), რაც დიდი შვება იყო მოსახლეობისათვის; მათ უკვე უგზოობა აღარ აბრკოლებდათ სავაჭრო თუ პირადი კავშირები დაემყარებიათ მეზობელ მხარეებთან.

ს.ბურნაშოვის, რუსი სახელმწიფო მოხელის გადმოცემით, თბილისელ და ქუთაისელ ვაჭრებს საქონელი მიმოჰქონდათ ირანსა და რუსეთს შორის. მისივე ცნობით, ქართველ ვაჭრებს საკმაოდ დიდი ურთიერთობა ჰქონდათ გამართული ჩრდილოეთ კავკასიასთან, სტავროპოლთან, ყიზლართან, მოზდოკთან (იობაშვილი: 1983, გვ.22). აღნიშნული პირდაპირ მიუთითებს, რომ იმერეთის ძირითად საგზაო მონაკვეთებზე დიდი დატვირთვა მოდიოდა. იმერელი ვაჭრები ჩამბული იყვნენ როგორც შიდა, აგრეთვე საერთაშორისო ვაჭრობაში ახლომდებარე ქვეყნებთან.

თუ აქამდე მთავრობა გზების კეთილმოწყობას დიდ ყურადღებას არ აქცევდა, მალე ის მიხვდა რომ მოწესრიგებული საგზაო მაგისტრალები კიდევ უფრო გაზრდიდა ვაჭრობას, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებდა საბაჟო გადასახადებიდან მიღებულ თანხას. ამიტომაც მთავრობამ უკვე მეცხრამეტე საუკუნის 30იანი წლებიდან დიდი ყურადღება დაუთმო გზების მოწესრიგებას. ამ პერიოდიდან სისტემატიური სახე მიიღო გზების მოვლა–პატრონობამ, აგრეთვე ახალი გზების გაყვანაც დაიწყო ხელსაყრელ მონაკვეთებზე. იყო მცდელობები გზების შემოკლებისა, ახალი მონაკვეთების გაჭრის მეშვეობით. აღნიშნული დიდ სტიმულს აძლევდა მეურნეობის ყველა სახეს. 1848–1852 წლებში გაკეთდა ქუთაისი–ახალქალაქი–ახალციხე–ერევნის დიდი გზა. ყველაზე დიდი მნიშვნელობა კი ენიჭებოდა გზას, რომელიც თბილისს ყულევთან აკავშირებდა, რომელიც თავის მხრივ იმერეთს კვეთდა. იმერეთის მთავარ სამხედრო გზას ნელ–ნელა უკავშირდებოდა სხვადასხვა დასახლებული პუნქტები საგზაო მაგისტრალებით,

რაც ქმნიდა მდიდარ საგზაო ქსელს და ავითარებდა მიმოსვლას მხარეებს შორის. იმერეთის მოსახლეობას საშუალება ჰქონდა დაკავშირებოდა საქართველოს ნებისმიერ კუთხეს, რეგიონის გზები გარკვეული მონაკვეთებიდან უერთდებოდა და კავშირი შეეზლო ჰქონოდა: სოხუმთან, სადაც გზა ნოჯიხევთან გადადიოდა. ოზურგეთის გზასთან მარანის მიმართულებიდან, ახალციხესთან გზა სურამიდან და აგრეთვე, საქართველოს სამხედრო გზასთან ღართისკარის სადგურის მიმართულებიდან და ა.შ. ამ პერიოდშივე შეკეთდა ქუთაისი–ხონის, მარან–მარტვილის და სხვა ლოკალური მნიშვნელობის გზები, რაც დიდი სტიმული იყო ამ მხარეებში მცხოვრები მოსახლეობისათვის. ისინი აღარ იქნებოდნენ გარიყულ მდგომარეობაში და შესაძლებლობა ექნებოდათ საგზაო ქსელით ადვილად დაემყარებიათ ურთიერთობა გარესამყაროსთან. (იობაშვილი: 1983, გვ.22).

ახალი გზების გაყვანას, მოწესრიგებას ხშირად სტიმულს აძლევდა ამა თუ იმ რეგიონში ექსპლუტაციაში მყოფი საბადო, ან კურორტი, რომელიც დიდი პოპულარულობით სარგებლობდა მოსახლეობაში და შესაბამისად ეს ფაქტორები ითხოვდა გზის არსებობას ამ მხარეებთან. თავის მხრივ, რათქმა უნდა, გზის არსებობაზე და მის გამტარუნარიანობაზე იყო დამოკიდებული სასარგებლო წიაღისეულის გატანა ამა თუ იმ რეგიონიდან. მაგალითად შეიძლება ავიღოთ ტყიბულის ქვანახშირის საბადო, რომლის ექსპლუტაციაც 1845 წელს დაიწყო, ქვანახშირი გაჰქონდათ შავი ზღვის მიმართულებით, სადაც ხდებოდა მისი გამოყენება შავი ზღვის საზღვაო ფლოტის საჭიროებისათვის. მთხოვნილების ზრდა იწვევდა მისი ექსპლუტაციის კიდევ უფრო გაფართოებას. ტყიბულიდან ფოთამდე ქვანახშირის გადატანა ხდებოდა ურმებით, ეს რა თქმა უნდა, ზრდიდა ხარჯებს, რადგანაც საურმე მომსახურებას რომელსაც ძირითადად კერძო პირი, გლეხი ასრულებდა, შესაბამის გასამრჯელოს გადახდას საჭიროებდა. გზის, ტრანსპორტის შენახვის ხარჯები მოუწესრიგებელი გზის პირობებში იმდენად გაიზარდა, რომ მან ქვანახშირის საჭიროების ღირებულებას ბევრად

გადააჭარბა, ამიტომაც 1850–1859 წლებში ტყიბულის ქვანახშირის ექსპლუტაცია საერთოდ შეწყდა. (კაკაბაძე: 1959, გვ.222).

ასეთივე რთული მდგომარეობა იყო აგრეთვე ჭიათურის მანგანუმის მადნის დამუშავება–ექსპორტშიც. რთული გეოგრაფიული მდებარეობა, ცუდი გზები დიდად ართულებდა მანგანუმის გადატანას ჯერ ზესტაფონის, ხოლო შემდგომ ფოთის მიმართულებით. კაპიტალისტური წარმოების განვითარება პირდაპირ კავშირში იყო გზებთან. ამას თან ერთვოდა რუსეთის სამხედრო ინტერესებიც კავკასიასა და კავკასიის სამხრეთით, საიდანაც გარკვეული მონაკვეთი, რუსეთის საფოსტო გზის, იმერეთსაც კვეთდა.

ჭიათურის მიმართულებით გზის მოწესრიგებას აუცილებელს ხდიდა ჭიათურის მანგანუმზე მზარდი მოთხოვნილება, გზების მდგომერეობა ამ მიმართულებით ძალზედ სავალალო იყო, რაც მეტად აფერხებდა ტვირთბრუნვას, მანგანუმის გატანას. ამის მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ მთავრობის უნიათო მოქმედება, გლეხობას ძალზედ აძლევდა ხელს გზის განვითარება, რადგანაც ის აქედან დიდ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებდა, მაგრამ გლეხობას არ ჰქონდა გზების მოვლა–პატრონობის შესაძლებლობა. ამასთან ვითარებას კიდევ უფრო ართულებდა ნოტიო ჰავა და მთაგორიანობა, რაც გზაზე მოძრაობას, მით უმეტეს, მადნის გადაზიდვას სეზონურს ხდიდა, ზამთარში ტვირთის გადაზიდვა, თოვლსა და ყინვის შემთხვევაში წარმოუდგენელი იქნებოდა; არც წვიმისას იქნებოდა იოლი მადნის გადაზიდვა, რადგანაც არსებული გზები მეტად დაზიანებული, ოღროჩოღრო, ვიწრო გზას წარმოადგენდა. წყლიანი და ლაფიანი გზა კი ურემისათვის მეტად რთული გასავლელი იქნებოდა.

ვითარებას კიდევ უფრო ძაბავდა მეწყერ საშიში ზონები, რაც უხვად იყო ჭიათურა ზესტაფონის მონაკვეთზე, სადაც გზა კლდოვან ხეობას წარმოადგენდა. აქ უცხო არ იქნებოდა უამინდობისას მიწის, კლდის ჩამოზვავება. ეს პირობები მეტად დიდ სირთულეებს უქმნიდა სასარგებლო წიაღისეულის ექსპლოტაციას და ხშირად

გლეხობას არაადამიანური მუშაობის, ჯაფის ხარჯზე უწევდა ჭიათურიდან ზესტაფონამდე მადნის გადატანა. დაახლოებით მსგავსი ვითარება იყო ტყიბულის შემთხვევაში. საჭირო იყო სწრაფი მოქმედება (ღვინიანიძე, შარაშიძე: XX.1960).

გარდა იმერეთისა მსგავსი ვითარება იყო საქართველოს დანარჩენ ნაწილშიც, ისევე როგორც მთლიანად ამიერ კავკასიაში. ამიტომაც მთავრობა დადგა ამოცანის წინაშე, თუ როგორ დაეძლია ეს პრობლემა. შავი ზღვისა და კასპიის ზღვის ერთმანეთთან დაკავშირება რუსეთის მთავრობისათვის მეტად სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენდა. ეს მოთხოვნილება გამოწვეული იყო არა მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, არამედ სამხედრო–პოლიტიკური მიზნებითაც (კვერენჩხილაძე: 1960).

სარკიგზო ტრანსპორტი. საგზაო კავშირის განმტკიცებისათვის ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტი იმდროისათვის რკინიგზა იყო, რუსული მმართველი ძალაც მალე მივიდა ამ დასკვნამდე. საქმეს ისიც ემატებოდა რომ მეცხრამეტე საუკუნე აღინიშნა დიდი ომიანობით რუსეთ–თურქეთსა და რუსეთ–ირანს შორის. ფრონტის ერთ–ერთი მთავარი ხაზი ოსმალეთთან და ირანთან სწორედ კავკასიაზე გადიოდა, ამიტომაც ჯარების მომარაგებაც მოითხოვდა სასწრაფოდ ამ პრობლემის გადაწყვეტას.

უკვე 1861 წლისათვის ეს აზრი, რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით, მომწიფებულ იქნა. იმავე წელს მეფის ნაცვალმა ა.ბარიატინსკიმ შეადგინა მოხსენება და წარუდგინა იმპერატორს. მოხსენება ითვალისწინებდა აუცილებლობას ერთმანეთთან სარკინიგზო ხაზით დაეკავშირებიათ შავი ზღვისა და კასპიის ზღვის აუზები. იმპერატორმა აღნიშნული მოხსენება მოიწონა. პროექტი დადებითად შეფასდა აგრეთვე იმპერიის გზათა მთავარ სამმართველოშიაც. მაგრამ ეს ყველაფერი დაკავშირებული იყო უზარმაზარ ხარჯებთან, ამიტომაც კოლოსარული თანხების გაღება ხაზინიდან ამ წამოწყებისათვის შეუძლებლად მიიჩნიეს. შემუშავდა გეგმა, რომ რკინიგზა გაეყვანათ არა მთლიანად შავ ზღვასა და კასპიისპირეთს შორის, არამედ მხოლოდ გარკვეულ

მონაკვეთებზე, დანარჩენ მონაკვეთებზე უნდა გამოეყენებიათ ჩვეულებრივი შარაგზა, ან სამდინარო ტრანსპორტი, რომლის გამოყენებასაც მიზანშეწონილ ფაქტორად ქმნიდა მტკვარი და შემდგომ რიონი.

აქედან გამომდინარე გადაწყდა, რომ რკინიგზა გაეყვანათ თავდაპირველად მხოლოდ მარნიდან თბილისამდე და თბილისიდან მინგეჩაურამდე. მაგრამ მიუხედავად წინაღობებისა, 1864 წელს გადაწყდა რკინიგზის მშენებლობა ფოთი–თბილისის მონაკვეთზე. თუმცა, თავიდანვე ნათელი იყო რომ მალევე დადგებოდა საკითხი ამ მონაკვეთების შეერთებისა.

გარდა ეკონომიკური ფაქტორებისა, რკინიგზის გაყვანაზე დიდ სიძნელეებს ქმნიდა გეოგრაფიული ფაქტორებიც, მაგალითად მთის მდინარეები, რომლებიც სარკინიგზო მონაკვეთისათვის განკუთვნილ ადგილებში კვეთდა გზას, ეს ყველაფერი ართულებდა სარკინიგზო მშენებლობას და ანელებდა მის ტემპებს (კვერენჩხილაძე: 1960, გვ.222).

უკვე 1871 წლის 14 აგვისტოს გაიხსნა ფოთი თბილისის რკინიგზის პირველი უბანი ფოთიდან ყვირილამდე (ზესტაფონი). ყვირილა თბილისის მონაკვეთი კი ექსპლუატაციაში შევიდა ერთი წლის შემდეგ. აშენდა სადგურები სამტრედია, რიონი და სხვა.

რკინიგზის გაყვანას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის, მათ შორის, რა თქმა უნდა იმერეთისათვის, რომელსაც კვეთდა ფოთიდან თბილისისაკენ მიმავალი რკინიგზა. რკინიგზის გაყვანამ ფაქტობრივად ახალი ერა წარმოშვა იმერეთის განვითარების თვალსაზრისიათ. მან ხელი შეუწყო მხარის კულტურულ–ეკონომიკური, ურბანულ განვითარებას. ეკონომიკის ყველა სფეროსათვის დიდი სტიმული იყო აღნიშნული გზა, იმერელი გლეხი მეტად ხელსაყრელ სიტუაციაში აღმოჩნდა.

შემდგომში ამ მონაკვეთს დაემატა სხვა განშტოებებიც, მაგალითად 1883 წლის 21 მაისს გაიხსნა სამტრედია–ბათუმის მონაკვეთი. რამაც განსაკუთრებული სტიმული მისცა

სამტრედიის ქალაქად გადაქცევას, ის გადაიქცა პირველი რიგის სადგურად მთელს ამიერკავკასიაში, რადგან ის წარმოადგენდა სარკინიგზო გზაგასაყარს.

უცნაური ფაქტორი იყო ის, რომ ფოთი–თბილისის რკინიგზის გაყვანის დროს დასავლეთ საქართველოს, იმერეთის ადმინისტრაციული ცენტრი რკინიგზის მიღმა აღმოჩნდა, მას რკინიგზის ხაზმა გვერდი აუქცია. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ რიონიდან მომავალი რკინიგზა, რომელიც კოლხეთის დაბლობის მიმართულებით გრძელდებოდა, თუ ქუთაისს გადაკვეთდა მაშინ გზას იმრუდებდა, ეს მანძილის გაზრდის გარდა ეკონომიკურ ფაქტორებთანაც იყო დაკავშირებული, რაც ხელს არ აძლევდა ხელისუფლებას. გარდა ეკონომიკური და მანძილის გაგრძელების პრობლემისა, საქმეს აგრეთვე ართულებდა ქუთაისის გეოგრაფიული გარემო, რომლის აგებულებაც მეტად გორაკ–ბორცვიანია, ეს ყველაფერი კი უფრო შრომატევად საქმიანობას მოითხოვდა, რაც კიდევ უფრო გაზრდიდა ეკონომიკურ დანახარჯებს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით უგულველყოფილ იქნა ქუთაისის მიმართულებით რკინიგზის გაყვანა.

მიუხედავად ყველაფრისა, ნათელი იყო, რომ მთავრობას ადრე თუ გვიან მაინც მოუწევდა ქუთაისის შეერთება რკინიგზის ცენტრალურ ხაზთან; მიუხედავად ფინანსური დანახარჯებისა ეს აუცილებელი ფაქტორი გახლდათ. ეს ასეც მოხდა და 1877 წლის 30 აპრილს ქუთაისსა და რიონს შორის გაიხსნა სარკინიგზო მონაკვეთი (კვერენჩხილაძე,1960).

აღნიშნული მონაკვეთების გაყვანამ, რა თქმა უნდა, სამუდამოდ მოსპო კარჩაკეტილობა საქართველოს რეგიონებს შორის და დააკავშირა ისინი ერთმანეთს ასაევე კასპიის ზღვის აუზთან. ეს ყველაფერი შესანიშნავ პირობებს ქმნიდა ეკონომიკის განვითარებისათვის. აღნიშნულზე საკმარისია მოვიყვანოთ მაგალითი იმის შესახებ, რომ იმერეთში თბილისი–ფოთის რკინიგზის გახსნის შემდეგ ცხოველებსა და

ფრინველებზე ფასები გაორკეცდა, მეცხოველეობა–მეფრინველეობამ ამიერიდან საქონლური ხასიათი მიიღო (გველესიანი: 1959, გვ.99).

სარკინიგზო მონაკვეთის გაყვანის შემდგომ ბუნებრივია დღის წესრიგში დადგებოდა ისეთი სასარგებლო წიაღისეულით მდიდარი მხარეებისაკენ ჩიხური დერეფნების გაყვანა, როგორებიც არიან ტყიბული და ჭიათურა. რის საჭიროებასაც განაპირობებდა მზარდი მოთხოვნა ბაზარზე.

მართლაც, მალევე დადგა საკითხი ქვანახშირის მოპოვების გაფართოების მიზნით, რკინიგზის დერეფანი გაეყვანათ ტყიბულამდე. უკვე 1887 წლის 14 დეკემბერს ქუთაისი–ტყიბულის ხაზი ექსპლუტაციაში შევიდა. ამ ღონისძიებამ რა თქმა უნდა, გაზარდა ქვანახშირის მოპოვება; თუ 1890 წელს ქვანახშირის ამოღება ტყიბულში 1880 წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა, 10 წლის შემდეგ ზრდამ ექვსჯერ უფრო მეტი შეადგინა. რა თქმა უნდა, ორი აზრი არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ აქ ერთ–ერთი გადამწყვეტი როლი რკინიგზამ ითამაშა (კაკაბაძე: 1960, გვ.223).

ტყიბულის საერთო სარკინიგზო ქსელში ჩამბამ დიდი სტიმული მისცა მეზობელი მხარეების ეკონომიკურ განვითარებას. აღნიშნულმა ფაქტორებმა გამოიწვია ტყიბულის ურბანული განვითარება, ის მალე სრულფასოვან ქალაქად იქცა.

შორაპნის მაზრაში დაწესდა რკინიგზის სადგურები: ზესტაფონში (ყვირილა), ხარაგაულში (ბელოგორის და ბეჟუათუბნის).

ტრანსამიერკავკასიის რკინიგზაზე მოძრაობაში ძირეული გარდატეხა მოახდინა და უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, 1866 წელს დაწყებულ სურამის გვირაბის გაყვანას, რომელიც გაიხსნა 1891 წლის 16 სექტემბერს.

საინტერესოა ამ მონაკვეთის აღწერა დიმიტრი ბაქრაძესთან, რომელმაც გაიარა ეს მონაკვეთი რკინიგზის გახსნის ადრეულ წლებში: ,,დღეს ჩვენს მხარეში პირველად მომიხდა რკინიგზით მგზავრობა 12 საათში 208 ვერსის ანუ 16 სადგურის გავლა ქუთაისამდე. ამ მანძილზე ლიანდაგი ნაწილობრივ ძველ საფოსტო გზას მიჰყვება,

ნაწილობრივ კიდევ ახალ გაჭრილ ადგილებში გადის. სურამის უღელტეხილზე გაცხარებული მუშაობა იყო: აფეთქებდნენ მის გრანიტის კედლებს; ვაკის აქა–იქ ღრმა ხრამის პირას მიიკლაკნებოდა და სამ ადგილას გაჭრილი იყო სამი გვირაბი''. (ბაქრაძე: 1987, გვ.8).

დიდი მოვლენა იყო აგრეთვე 1891 წლიდან დაწყებული ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის აგება შორაპანსა და ჭიათურას შორის, რომლის გაყვანის მიზეზსაც ჭიათურაში არსებული მანგანუმის საბადოები წარმოადგენდა. რკინიგზა ოფიციალურად 1895 წლის 1 მაისს გაიხსნა, მეოცე საუკუნის დამდეგს კი ის საჩხერემდეც გაიყვანეს (გველესიანი: 1960, გვ.92).

აღნიშნულმა ბევრად გაზარდა მანგანუმის მოპოვება ჭიათურაში, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ქალაქის გაშენება ჭიათურაში. რკინიგზამ სტიმული მისცა რეგიონის სხვა მეურნეობის და ხელოსნობის დარგებსაც, მაგალითად, ქვის წარმოებას, სოფლის მეურნეობას, მეღვინეობას და ა.შ.

შეიძლება მოვიყვანოთ ის ფაქტიც, რომ XIX საუკუნის 70–იან წლებში რკინიგზის გაყვანის გამო შორაპნის მაზრაში ღვინოზე ფასებმა საგრძნიბლად აიწია, რამაც თავის მხრივ ვენახების ფართობის ზრდა და მევენახეობის განვთარება გამოიწვია. აქედან გამომდინარე, რკინიგზამ ფაქტობრივად გადამწყვეტი ფაქტორი შეასრულა იმერელი მოსახლეობის ეკონომიკურ წინსვლაში.

საინტრესოა ქუთაისის საგზაო განვითარება: XIX საუკუნეში 80 იანი წლებისათვის ქუთაისში 144 ქუჩა არსებობდა, შესაბამისი, მოწესრიგებული შიდა საგზაო ქსელით. მოსახლეობის ზრდის პარალელურად, იზრდებოდა ქუთაისის უბნები და მასთან ერთად შიდა გზებიც. გზების ნაწილზე ქვაფენილი იყო დაგებული. უკვე საუკუნის ბოლოსათვის ქუჩებზე გზები მოუწესრიგებელი, ქვაფენილები დაზიანებული ჩანს. მეტად საინტერესოა ხელისუფლების მიერ შემუშავებული კანონი გზის შესახებ ამ პერიოდისათვის; კანონის მიხედვით, კერძო სახლის წინ გაჭრილი გზის შეკეთების

შემთხვევაში დანახარჯი მაცხოვრებელს უნდა გადაეხადა. ქუთაისიდან გადიოდა შემდეგი შარა–გზები: ქუთაისი–ყვირილა (ზესტაფონი)–სურამი, ქუთაისი–სენაკი, მესამე გზა ონი–ამბროლაურის მიმართულებით მიდიოდა, სოფელ მექვენასთან მას უერთდებოდა ცაგერ–ლაილაშის და ლენტეხის გზა, ხონისა და სამტრედიის მიმართულებით გზა რამდენიმე იყო (ეთნოგრაფიული ქუთაისი: 1995, გვ.95).

მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპორტის განვითარებას განუხრელი ხასიათი ჰქონდა რეგიონში, სატრანსპორტო ქსელის განლაგება მაინც არათანაბარი იყო. ჩრდილოეთის და სამხრეთის ნაწილები უგზოობის გამო მოწყვეტილი იყვნენ ცენტრალურ, შედარებით განვითარებულ რაიონებს. ეს კი აფერხებდა მათ განვითარებას (კვერენჩხილაძე, 1960, გვ.224). საგზაო კავშირის მოუწესრიგებლობას აღნიშნულ რაიონებთან ხელს უშლიდა ის, რომ ისინი არ იყვნენ მინერალური რესურსებით მდიდარი მხარეები, მაგალითად, ისეთი რაიონების მსგავსად როგორებიც ჭიათურა და ტყიბულია, მათზე არ გადიოდა ცენტრალური მარშრუტები, ამის გამო ისინი განვითარების გარეთ დარჩნენ. აქ კიდევ ერთხელ იკვეთება თუ რაოდენ მნიშვნელოვანია არსებობდეს რეგიონში რაიმე დასაინტერესებელი რესურსი, იქნება ეს საკურორტო პოტენციალი თუ წიაღისეული. ყველაფრის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ მეცხრამეტე საუკუნე იმერეთის ტრანსპორტის ისტორიაში დიდი გარდატეხებით აღინიშნა.

საეკლესიო გზები. საქართველოს ეკლესია მონასტრებს, ეპარქიებს, ყოვეთვის გააჩნდათ თავისი მამულები, რომლებიც ხშირად საეკლესიო ცენტრს დიდი მანძილით იყო დაშორებული, რასაც უგზოობის შემთხვევაში შესაძლოა კავშირის შეზღუდვა გამოეწვია, ამიტომაც სახელმწიფოს გარდა, ხშირად საგზაო სამუშაოების წამოწყების ინიციატივა ეკლესიიდან მოდიოდა. ეპარქიის ცენტრს აუცილებლად ჭირდებოდა შეუფერხებელი კავშირი ჰქონოდა თავის მამულებთან და აგრეთვე მის იურისდიქციაში არსებულ ეკლესია–მონასტრებთან. აქედან გამომდინარე ცხადი ხდება რომ საგზაო

კავშირი მათთვის ერთ–ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იყო. მოვიყვანოთ გელათის მონასტერის მაგალითი იმერეთის რეგიონის საეკლესიო გზათ მშენებლობის წარმოსაჩენად.

გელათის მონასტერი დაარსების დღიდან ვიდრე მეცხრამეტე საუკუნემდე ყოველთვის ფლობდა მამულებს არა მარტო ახლო მახლო ტერიტორიებზე, არამედ შორეულ თუ მეზობელ მხარეებში, მაგალითად გელათის მონასტერს მამულები გააჩნდა რაჭაში, რომელთანაც საურთიერთობოდ აუცილებელი იყო მოწესრიგებული საგზაო მონაკვეთის არსებობა. მართლაც, გელათის მონასტერის ეპისკოპოსები, შემდგომში წინამძღვრები განსაკუთრებით ზრუნავდნენ საეპარქიო გზებისა და ხიდების გაყვანა მოწესრიგებაზე, ეს ასე გრძელდებოდა ეგზარქოსობის დროსაც საქართველოში (კეზევაძე: 2006, გვ.105). გელათის მონასტერის წინამძღვართა დამოკიდებულებას გზების მიმართ, მათ განსაკუთრებულ აქტუალობაზე მიუთითებს ამა თუ იმ მხარიდან წარგზავნილი წერილები არქიეპისკოპოსის სახელზე, სადაც ერთ–ერთი მთავარი განხილვის საგანი გზა იყო, მათში დაზუსტებული იყო მარშუტები ზედმიწევნითი აღწერილობით (კეზევაძე: 2006, გვ.106).

გელათის მონასტერზე გადიოდა ორი მნიშვნელოვანი გზა, თავდაპირველად უნდა დასახელდეს ქუთაისიდან გელათში შემომავალი გზა, ეს გზა გელათთან ორად იყოფოდა, ერთი გაივლიდა მდინარე წყალწითელას მარცხენა სანაპიროს და უშუალოდ გელათის მონასტერს მიადგებოდა, ხოლო მეორე მდინარის მარჯვენა სანაპიროს მიმართულებით მიდიოდა ოკრიბისაკენ (კეზევაძე: 2006, გვ.107). აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი საქართველოს ისტორიის საკითხების მერვე ტომში აღნიშნავს: ,,გზა ქუთაისიდან გელათზე გავლით გავლით გადიოდა ცუცხვათისაკენ და აგრეთვე ქრთლისაკენ, ორი ხიდი წყალწითელაზედა ჭიშურაზე ამ ჩემს მოსაზრებას უჭერს მხარს მწვანეყვავილა–წყალწითელა–ჭიშურა(გოდოგანი)–სიმონეთი–ძევრის ხიდი–სკანდე''. (ბერძენიშვილი, 1975, გვ.458–459). გზა გაივლიდა შემდეგ მონაკვეთებს:

გელათი–ცუცხვათი–ახალსოფელი–ტყიბული–ნაქერალათი გადავიდოდა რაჭაში (კეზევაძე: 2006, გვ107–108). ეს გზა შესაძლოა გელათის მონასტერის დაარსებამდეც ყოფილიყო. ქუთაისი გელათის საგზაო მონაკვეთზე იყო გადასასვლელი აგრეთვე მოწამეთაში. მსგავსი ვითარება იყო აგრეთვე იმერეთის სხვა ეპარქიებშიდაც, სასულიერო პირები დიდი მონდომებით ზრუნავდნენ საგზაო ქსელის მოწესრიგებაზე საკუთარ ეპარქიებში.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი სამი მნიშვნელოვანი უღელტეხილი, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, იმერეთზე გადიოდა, მათგან ორი - საჩხერის გავლით. ერთი მათგანი **ალი–მცხეთისჯვარი–ჭერათხევის ხეობა–ჯვარი–კორბოული**, საჩხერის გავლით მიემართებოდა შავი ზღვისაკენ, მეორე **სურამი–დედაბერას გადასასვლელი–წმანი–ჭალვანი–ხვანი–საჩხერე**, და მესამე, **სურამი–ჩუმათელეთი–ფონა–წიფა–ნებოძირი–მოსაკიდელ–ჩხერი–შორაპანი**. ამ გზებს, თავის მხრივ, უერთდებოდა სხვადასხვა მნიშვნელობის შიდა გზებიც, რომელზედაც გადაჰქონდათ სავაჭრო საქონელი (ნადირაძე; 2001: 86).

საჩხერეზე გადადიოდა ისტორიული ქვაფენილით მოკირწლული საქარავნე გზა, რომელიც საერთაშორისო გზის ერთ – ერთ არტერიას წარმოადგენდა. იგი ამჟამად თანამედროვე საავტომობილო გზის მიღმაა დარჩენილი. აღსანიშნავია, რომ გზას, მთელ გაყოლებაზე, ახლაც ეტყობა ქვაფენილის ნაშთები. ჭერათხევის ხეობიდან მიმავალ მგზავრს კორბოულის თემში შესვლისას გორაძირის ვულკანურ გორაკამდე უნდა ემოძრავა იმ მარშრუტით, რომელზედაც ახლაც მიემართება საავტომობილო გზა. გორაძირის მთის ძირიდან იგი ჩაუხვევდა ხელმარცხნივ და გაემართებოდა სოფელ ზემო ნიგვზარისაკენ, ჩაივლიდა ამავე სოფელში მდებარე სამთელას (სანთელა) ციხის სიახლოვეს და დაეშვებოდა ქვემო ნიგვზარის მიმართულებით, ნიგვზარიდან გამოვიდოდა გოგოლაძეების უბანში და შეუერთდებოდა კორბოულის თანამედროვე საავტომობილო გზას, მივიდოდა კორბოულის ცენტრთან (იქ სადაც ახლა სოფლის

ბაზარი მდებარეობს), მარჯვენა მხრიდან გვერდს აუქცევდა კორბოულის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიას და გაემართებოდა მოძვისაკენ, საიდანაც გორისის თავში გამოვიდოდა და მერჯევამდე ისევ გაუყვებოდა იმ გზას, რომელიც დღეს თანამედროვე საავტომობილო გზაა, შემდგომ ამისა გაუვლიდა მერჯევის სამების ეკლესიას, გადაივლიდა მერჯევის გვიანდელ აბანოების ახლოს გამავალ გზას და გამოვიდოდა საჩხერეში (თანამედროვე თამარ მეფის ქუჩა); ამ გზას XIX საუკუნეში რუსის გზას უწოდებდნენ, რადგან ანექსიის შემდეგ რუსეთის ჯარი უმეტესად ამ გზას იყენებდა აღმოსავლეთიდან დასავლეთში გადასასვლელად. აღნიშნული გზის რეაბილიტაცია განიზრახეს 1961 წელს, გაიდო ხიმინჯები მდინარე დუმალაზე (კორბოულის თემის ტერიტორია), ჩატარდა შესაბამისი სამუშაოები, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის გამო, რომელთა სახლებზე და ნაკვეთებზე უნდა გაევლო გზას, პროექტი ჩაიშალა და გზამ გადაინაცვლა იქ, სადაც ახლა მდებარეობს საჩხერე–გომი–თბილისის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა.

კორბოულის თემს კვეთდა აგრეთვე დასავლეთიდან (ძველი ბოსლევიდან) მომავალი შემდეგი მარშრუტის გზა: **ჩხიროული–ტყემლოვანი–მანდაეთი–კორბოული–ჯვარი–ალი**.

დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმავალ გზაზე, გარდა სურამის ქედის გადასასვლელებისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყო მეორე გზაც, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო: **ალი–მცხეთისჯვარი–ჭერათხევის ხეობა–ჯვარი–კორბოული–საჩხერე**. ამასთანავე, კორბოულიდან გზა საჩხერის გვერდის ავლით უხვევდა და პირდაპირ შუქრუთში და შემდეგ ჭიათურის მიდამოებისაკენ მიემართებოდა. მეორე გზა კი, როგორც აღვნიშნეთ, საჩხერეზე გადიოდა, რომელიც თავის მხრივ ყვირილის პირით ჩიხას მიადგებოდა. ჩიხასთან მას მეორე გზა უერთდებოდა, რომელიც ქუთაისიდან წამოსული ტყიბულს ამოდიოდა, აქედან **მუხურა–ხრეით–წირქვალის** გამოვლით **საჩხერე–ჩიხამდე** ადიოდა. ჩიხიდან გზა

ყვირილის ხეობას მიუყვებოდა. სოფელ პერევის ქვემოთ ის გაიყოფოდა; ერთი პერანგას გადასავლით მდინარე ფრონეს ხეობაში, მეორე კი მდინარე ყვირილის სათავეებით დიდი ლიახვის შენაკად მდინარე ფაწას ხეობაში შედიოდა. აქ მას ქუთაის–ონის გზა უერთდებოდა. ამ გზებს ქართლში ქალაქი ცხინვალი და ნიქოზი ხვდებოდა.

საჩხერის მიდამოებში გამავალი გზები იყო: 1)**საჩხერე–ჩიხა–წონა–კეხვი–თამარაშენი–ქრცხინვალი**; 2) **საჩხერე–ჩიხა–ჭალა–დარყა–მთა პერანგა–ყორნისი–წორბისი–ერკნეთი–ავნევი–დვანი–ბრეთი**; 3) **საჩხერე–ჩიხა–ჭალა–დარყა–მთა პერანგა–გომართა–ხტანა–ოჟორა–თიღვა–ატოცი**, აქვე **საჩხერე–ხრეითი–რაჭა**; 4)**ხვანი–ჭალოვანი–ლიჩი–ნადაბური**; 5)**ხვანი–დიდმინდვრები–ვაშლარი–ულუმბო** (ბერძენიშვილი; 1966: 103).

ცოტა მოგვიანებით აქ გზა გადიოდა: **საჩხერე–საირხე–გორისა–მოძვი–კორბოული** - ქართლისაკენ. აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეებში და შემდეგაც, ქართლ–კახეთის ურთიერთობა იმერეთთან და დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებთან ძირითადად სწორედ ამ გზით ხდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთში გადმოსულმა ჟან შარდენმაც სწორედ ეს მონაკვეთი აირჩია თავის მარშრუტად. იგი წერს: ,, ჩავედით ქალაქ ალში, აქედან ორი ლიე ვიწრო ხეობით ვიარეთ. ეს არის საქართველოსა და იმერეთის სამეფოს საზღვარი. თოვლით დაფარულ მთებში შვიდი ლიე გავიარეთ, გვეგონა გზა აგვებნეოდა, რადგანაც თოვლს სულ დაეფარა ყოველგვარი ნაკვალევი, შევჩერდით სოფელ კოლბეურში.“

როგორც ჩანს, შარდენმა ზამთარში, უამინდობაში შეძლო გაევლო ეს რთული გზა, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ რთულ მეტეოროლოგიურ პირობებშიაც კი ეს გზა სავალად არცთუ ისე ძნელი იყო.

შიდა საგზაო ქსელი მეტად მრავალფეროვანი იყო, მაგალითად: სოფელ სხვიტორიდან ისტორიული საურმე გზა აუხვევდა ამავე სოფელში მდებარე ეკლესიის ხელ - მარცხნივ, როსტომ წერეთლის სასახლეს მარჯვნივ მოიტოვებდა და გაუყვებოდა

მდინარე გონჯურას, ავიდოდა ნაურთევის სერზე (ამ ადგილებს ადგილობრივი მოსახლეობა ნაურმალს უწოდებს) და გაიყოფოდა ორად: ერთი კვერეთის მიმართულებით, ხოლო მეორე გორიჯვრის სალოცავისაკენ ბაჯითის მიმართულებით, ეს გზა უკავშირდებოდა სოფელ უზუნთასაც. საჩხერე–კორბოულიდან გზა გადადიოდა სოფელ ბერეთისას მიმართულებით, სადაც აგრეთვე მდებარეობდა ძველი საბაჟო ბერეთისასა და წყალშავს შუა სოფელ ნიგოზეთში. აქვე იყო სვერის ბატონის სასახლე. ეს გზა სვერსა და ტყემლოვანს შუა გადიოდა და, როგორც ჩანს, ძველ ბოსლევში უერთდებოდა შორაპან–საჩხერის გზას ერთი მხრით და საზანო–ბოსლევ–ამაშუკეთის გზას მეორე მხრით. მუნიციპალიტეტის შიდა საგზაო ქსელი დაწვრილებით შეგიძლიათ იხილოთ რუკაზე.

გზა კაცხიდან კორბოულზე მიდის: **კაცხი–ნავარძეთი–ჭიათურა–შუქრუთი–წასრი–ჯალაურთა–კორბოული**. აქედან გზა მიემართებოდა შორაპნისაკენ: **კორბოული–საბაჟო–სვერი–თვალუეთი–კოდისწყალი–უწლევი–ქოჩასწყალი–მოქვიშნული–სანახშირე–შორაპანი**. შედარებით გვიანი საუკუნეების გზა გადადიოდა ზესტაფონის მიდამოებიდან ჭიათურაში: **საქარა–დილიკაური–ბოსლევი–ჯოყოეთი–კაცხი–ნავარძეთი–ჭიათურა**.

ნიკო ბერძენიშვილი რომელმაც ეს გზა განვლო გასული საუკუნის პირველ ნახევარში, ასე აღწერს თავის მარშუტს კორბოულიდან ალის მიმართულებით: ,, გავიარეთ კორბოული–გორაძირი–ძირულის ხეობაში გავედით, გავიარეთ სოფელი ბორეული–ჯვარი. აქედან იწყება მდინარე წყალწყულა, რომელიც ზისხევთან ერთად ქმნის ჭერათხევს. გზა ამ მდინარეთა პირს მისდევს და საკმაოდ დამღლელია, ეს გზაც არაა, უფრო მდინარის კალაპოტია''.

ბერეთისა–კორბოულის გავლით ქვის ნივთები გადაჰქონდათ ძირულის ხეობის სოფელ **ჭალვანში**, **ლიჩში**, **ღოდორაში**, **ოტრიაში**, **ხვანში**, რომლებიც მთიან სოფლებს წარმოადგენენ და გზაზე მძიმეწონიანი ქვის გადაადგილება, რა თქმა უნდა, დიდ

სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული. მეორე გზა, **ჯალაურთა–ჭორვილა–გორისის** გავლით უერთდებოდა მთავარ მაგისტრალს და ჩადიოდა საჩხერეში. ბერეთისული საფლავის ქვები ჩვენმა ექსპედიციამ ამ სოფლებში მრავლად დაადასტურა.

ბუნებრივია, ყველა მცირე გზის დასახელება შეუძლებელია, ამასთანავე, ეს მეორეხარისხოვანი გზები ხშირად იცვლებოდა და ინაცვლებდა ადგილს.

ელდარ ნადირაძის (2001) კვლევიდან ჩანს, რომ ბერეთისული ქვის ნაწარმი ზემო იმერეთის თითქმის ყველა სოფელშია დადასტურებული, რაც, ბუნებრივია, მიანიშნებს იმაზე, რომ ზემო იმერეთის სოფლებს შორის არსებობდა მოწესრიგებული გზები, რომლებზედაც მარხილით ან გორვაზე დაფუძნებული ტრანსპორტით გავლა შესაბამისი სიმძიმით შესაძლებელი იყო.

XIX საუკუნის ზემო იმერეთის გზებს ძალზე ცუდ დახასიათებას აძლევენ ავტორები თაილი ღვინიანიძე და მარი შარაშიძე. მათი აზრით, გლეხობას არ ჰქონდა შესაძლებლობა მოევლო გზისათვის, რასაც კიდევ უფრო ართულებდა მთაგორიანი რელიეფი და ნოტიო ჰავა. მდგომარეობის სირთულეზე რომ საუბრობენ, ისინი აღნიშნავენ: ,,ზემო იმერეთის სამიმოსვლო ტრასები ვიწრო, ოღრო–ჩოღრო, ზოგან საცალფეხო ბილიკებად ქცეულ გზებს წარმოადგენდა. წვიმების შემდეგ ორმოებში ჩამდგარი წყალი და ლაფი სახიფათოს ხდიდა მოგზაურობას, ბევრ ადგილას გზები ხრამებად იქცეოდა''. გზების სირთულეს კიდევ უფრო ართულებდა ხიდების გაუმართაობა, ხშირად საერთოდ არ არსებობა ზემო იმერეთის გზებზე. იყო მხოლოდ საცალფეხო დაკიდული (ბონდის) ხიდები, რომელზედაც ურემის ან რაიმე საზიდრის გატარება წარმოუდგენელი იყო, ამიტომაც ურმები ფონებით სარგებლობდნენ. აღნიშნულ მხარეში მოძრაობას მკვეთრად გამოხატული სეზონური ხასიათი ჰქონდა, გადაადგილება ზამთარში ფაქტობრივად წყდებოდა (ღვინიანიძე, შარაშიძე; 1960: 107).

ზემოთ აღნიშნული აშკარად მიუთითებს ზემო იმერეთის საგზაო მონაკვეთების ძალზე მძიმე ვითარებაზე. აშკარა იყო, რომ თუ გზები არ მოწესრიგდებოდა, მოსახლეობის ყოფა კიდევ უფრო აუტანელი გახდებოდა, აუცილებელი იყო მთავრობას მოეწესრიგებინა გზები, რადგან ამას ეკონომიკურად მეტად ღარიბი იმერელი გლეხობა თავისი ძალებით ვერ მოახერხებდა.

მართლაც, 1860–იან წლებში საჩხერე–ჭიათურა–ზესტაფონის გზა საფუძვლიანად შეკეთდა, რაც დიდი შვება იყო მოსახლეობისათვის; აქაურებს უკვე უგზოობა აღარ აბრკოლებდათ, სავაჭრო თუ პირადი კავშირები დაემყარებინათ მეზობელ მხარეებთან.

სამიმოსვლო საშუალებები. სატრანსპორტო საშუალებები, წარმოადგენდა ადამიანის შრომითი საქმიანობის და გადაადგილების აუცილებელ სახეს. მის გარეშე ადამიანს არ შეეძლო დაეფვარა დიდი მანძილი მოკლე დროში, ან გადაეტანა ტვირთი, რომლის გადატანაც ადამიანს არ შეეძლო. ამიტომაც უძველესი დროიდან ადამიანი უკვე იგონებს გადაადგილების საშუალებებს, იყენებს ცხოველებს, აწყობს მარტივი თუ რთული შედგენილობის სატრანსპორტო საშუალებებს ტვირთზიდვისათვის.

ტვირთის გადაზიდვის რამდენიმე ხერხი არსებობდა: ადამიანის მიერ, მარხილით ან სხვა რაიმე მსგავსი სახეობის ტრანსპორტით გათრევა, რომელიც სრიალის პრინციპზე იყო აგებული და, აგრეთვე, ყველაზე მეტად გამოყენებადი, გორვით პრინციპზე აგებული ტრანსპორტი. არსებობდა ამ ორი სახეობის ნარევიც, ერთდროულად გორვა სრიალზე დამყარებული ტრანსპორტი. არსებობდა, აგრეთვე, საზიდრის გარეშე მხოლოდ ცხოველის მიერ ტვირთის გადაზიდვის წესი, მაგალითად, სახედარზე გადაკიდებული საპალნე შეგვიძლია დავასახელოთ. გასაწევ ცხოველად საქართველოში და მათ შორის, იმერეთშიც, იყენებდნენ: ცხენს, ხარს, სახედარს, ჯორს, კამეჩს.

იმერეთში ტრანსპორტი განირჩეოდა რელიეფის მიხედვითაც. აქ რელიეფის სამივე ტიპი გვხვდება: მაღალმთიანი, დაბლობი და გარდამავალი მთისწინა ზოლი (გეგეშიძე, 1956, გვ.29).

მიხეილ გეგეშიძე სახმელეთო ტრანსპორტს რამდენიმე სახეობად ჰყოფს: უბორბლო, ბორბლიანი, შერეული. მ. გეგეშიძე უბორბლო საზიდ საშუალებებს აკუთვნებს ტრანსპორტის იმ სახეობას, რომელიც მიწაზე თრევით გადაადგილდება, გორვაზე აგებული პრინციპი კი თავისთავად ცხადია.

იმერეთში გავრცელებული იყო სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტი, მათ შორის იყო მარხილი. იმერეთში მას თავკავი შეესაბამება, ხოლო აქვე მარხილის სახელწოდებით ცნობილია ისეთი კონსტრუქციის საზიდი, რომელშიაც გამოყენებულია ე.წ.,,ფრჩხილები'' მსგავსად აჩაჩა ურმისა (გეგეშიძე: 1956, გვ.31). ფრჩხილები ანუ ლაშკინი საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად იმერეთშიც გვხვდება. აგრეთვე, არსებობს მარხილის გარკვეული სახეობა ქვემო იმერეთში, რომლის დანიშნულებასაც მხოლოდ ნაკელის გატანა წარმოადგენდა. ესაა ლეკმარხილი. აჩაჩა ურემი გავრცელებულია გორაკ–ბორცვოვან ადგილებში, ზემო იმერეთიდან მოკიდებული ქვემო იმერეთის მაღლობების ჩათვლით. იმერეთში აგრეთვე გავრცელებულია ქართულ ბორბლიანი ურემი, ცალუღელიანი ურემი და სხვა. მხოლოდ ზემო იმერეთისთვისაა დამახასიათებელი ურემის ერთ–ერთი სახეობა – თუში, რომელიც გავრცელებული იყო საჩხერის მონაკვეთზე (გორისა, მერჯევი) (თოფჩიშვილი: 2010) განსაკუთრებული იყო თვით ურემის დამზადების წესები. ურემის თვითეულ ნაწილს სხვადასხვა ჯიშის ხისაგან აკეთებდნენ. აგრეთვე, ხდებოდა ურმის თვითეული ნაწილის თავისებური დამუშავება. მეტ–ნაკლებად გავრცელებული იყო საწყალოსნო ტრანსპორტიც (გეგეშიძე: 1956, გვ.30-31-32).

XIX საუკუნიდან რუსული მმართველობის დამყარების შემდგომ გზებზე ძველ სატრანსპორტო საშუალებებთან ერთად გამოჩნდა რუსული ,,დროგებიც'' და სხვა.

საქართველოს რეალობაში მანამდე უცნობი სატრანსპორტო სახეობები, თანდათანობით იწყებოდა ავტომანქანის შემოსვლა, რომელმაც შემდეგში დაიკავა კიდეც ძირითადი ადგილი სატრანსპორტო მიმოსვლაში (კუტალეიშვილი: 1983, გვ.23).

იმერეთში მრავლად იყო გამწევი პირუტყვი. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ცხენი, XIX საუკუნის დასაწყისში მხოლოდ ქვემო იმერეთის სოფლებში აღრიცხული იყო 5 ათასამდე ცხენი, რომელნიც უმეტესად ეკუთვნოდნენ თავად–აზნაურობასა და სამღვდელოებას. ცხენების ნაწილი ქუთაისის შიდა საქალაქო ტრანსპორტში, ეტლებში იყო გამოყენებული გამწევ ძალად (ჯაოშვილი: 1960, გვ.80). ქუთაისის რეალობაში საუკუნის ნახევრამდე, შიდა გადაადგილებისათვის იხმარებოდა ეტლი და ურემი, მალევე ჩნდება ფაიტონიც. ქუთაისში არსებობდა რამდენიმე სატრანსპორტო სადგომი; ისინი განლაგებული იყვნენ სასტუმროებთან, გზაჯვარედინებთან, აგრეთვე რკინიგზის გაყვანის შემდგომ რკინიგზის სადგურებთან. საუბარი იყო იმაზეც, რომ ქალაქში გაეყვანათ ცხენის რკინიგზა რომელიც შიდა ქუჩებში იმოძრავებდა, მაგრამ ეს პროექტი არ გავიდა (ეთნოგრაფიული ქუთაისი: 1995, გვ.95–96).

იმერეთში გარკვეულწილად განვითარებული იყო აგრეთვე წყლის ტრანსპორტიც. იმერეთის მდინარეების ნაწილი ქმნიდა იმის პირობებს, რომ რეგიონის მოსახლეობა გარკვეულ მონაკვეთებზე ნავით გადაადგილებულიყო. სამდინარო გადაადგილება ხდებოდა როგორც ერთი მდინარის ორ ნაპირს შორის დასაკავშირებლად, აგრეთვე მდინარის გასწვრივაც, იმერეთის მდინარეებიდან სამდინარო მიმოსვლისათვის განსაკუთრებით გამოირჩეოდა მდინარე რიონი, რომელიც წყალუხვობის გამო საუკეთესო იყო გდასაადგილებლად (დავითაძე: 1983, გვ.63). მხოლოდ რიონზე იყო შესაძლებელი დიდი ზომის ხომალდების გადაადგილება, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემდე, რკინიგზის გაყვანამდე, ხდებოდა (ბაქრაძე, 1987, გვ.7). როგორც სსახმელეთო საზიდი საშუალებების შემთხვევაში, ნავის დამზადებასაც თავისებური

სპეციფიკა გააჩნდა, მაგალითად აქ გამოიყენებოდა მხოლოდ თხმელის ხის ჯიში, რომელიც განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩეოდა (კუტალეიშვილი: 1987, გვ.64). აღსანიშნავია, აგრეთვე, ტიმოთე გაბაშვილის 1737 წლის რუკა, რომელზეც აღნიშნულია მონაცემები თუ ქუთაისამდე სად, რომელი წყალწვის გემს შეეძლო ასვლა. მაგალითად, საჯავახოსთან აწერია, რომ ფოთიდან აქამდე ზარბაზნიანი გემის ამოსვლაა შესაძლებელი. ვარციხესთან აღნიშნულია, რომ აქამდე უაფრო ნავების ამოსვლა იყო შესაძლებელი. შორაპანთან ახლოს მდინარე ყვირილას გასწვრივ წერია, რომ საჭილაოს ნავი ყვირილის წყლით შორაპნამდე ამოვა (გაბაშვილი: 1737).

თავი IV

საჩხერის მუნიციპალიტეტის ისტორიული ტოპონიმია

საქართველოს ონომასტიკური კვლევა-ძიების ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს გაუქმებული სოფლების ტოპონიმიკური შესწავლა, მათი აღნუსხვა და სისტემატიზაცია. დროთა განმავლობაში იცვლება ამა თუ იმ გეოგრაფიული არეალის ლოკალური დასახელება, ზოგჯერ სახეცვლილებას განიცდის როგორც საკუთრივ ტოპონიმის ეტიმოლოგია, ისე მისი შიდა ტერიტორიული დანაყოფების სახელწოდებები - მიკროტოპონიმია (სათიბი, საძოვარი, სახნავ-სათესი და სხვ.). ამავდროულად ესა თუ ის დასახლებული პუნქტი განიცდის გაქრობასა თუ შეერთებას სხვადასხვა გეოგრაფიულ ერთეულთან, ამ პროცესებზე სხვადასხვა ფაქტორები ახდენს გავლენას. გამომდინარე აქედან, მათ გამოკვლევას, კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში საველე სამუშაოების ჩატარებას ლოკალური რეგიონების ტოპონიმიის სისტემატიზაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ მოგვეხდინა საჩხერის მუნიციპალიტეტის ისტორიული ტოპონიმიის სისტემური კვლევა. ჩატარებული ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევების შედეგად მოხდა ძველი ტოპონიმების ტერიტორიული ლოკალიზაცია და რეტროსპექტული სურათის აღდგენის შემდეგ კარტოგრაფიული გაფორმება.

საჩხერის მუნიციპალიტეტი 12 თემში გაერთიანებული 60–მდე სოფლისაგან შედგება. თუმცა ისტორიულად ბევრად უფრო მეტ სოფელს მოიცავდა, რომლებიც დროთა განმავლობაში გაუქმდა და საერთოდ დაიცალა მოსახლეობისაგან, ზოგიერთიც ახლომდებარე სოფლებს შეუერთდა.

შევეცადეთ ძველ ქართულ და რუსულ რუკებზე, XIX საუკუნიდან მოყოლებულ აღწერებსა და ადგილზე ჩატარებული შესაბამისი კვლევების მეშვეობით აღგვედგინა გაუქმებული სოფლების სახელწოდებები და მათი ტერიტორიული განლაგება. ვითარება მეტად სავალალო აღმოჩნდა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დადასტურდა 50–მდე გაუქმებული სოფელი. ჩვენი ყურადღება მიიქცია აგრეთვე სხვადასხვა ადგილის სახელწოდებებმაც, რომლებიც მოსახლეობაში იმპირიულად გადმოცემული ცოდნის წყალობით შემოგვრჩა, აგრეთვე შეიძლება მივიჩნიოთ ძველ სასოფლო ტოპონიმებად. ამგვარ საფუძველს გვაძლევს დღევანდელ სოფლებში დიდი მანძილებით დაშორებული ეკლესიები ძველი სამარხებით, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა მოიხსენიებს ისეთი სახელებით, რომელთა შესახებაც არანაირ ინფორმაციას არ ფლობენ; მაგალითად, სოფელ გორისაში არსებული თხმორისისა და ადაურის წმ. გიორგის ეკლესიები, ჩვენი ვარაუდით, ტოპონიმი თხმორისიც და ადაურიც ადრეულ ხანაში თანამედროვე გორისის ტერიტორიაზე განლაგებულ ორ სოფელს უნდა რქმეოდა. მიკროტოპონიმი ადაური აგრეთვე გვხვდება ჭორვილასა და მერჯევში, რომლებიც სოფელ გორისას ესაზღვრებიან, მაგ. ადაურის ვენახი, ადაურის მინდვრები. ყოველივე ეს გვაფიქრებიებს, რომ სოფელ გორისის, მერჯევისა და ჭორვილის ტერიტორიის ნაწილს მოიცავდა გარკვეული არეალი - ადაური, რომელიც სასოფლო დასახლება უნდა ყოფილიყო.

გაუქმებული სოფლების ადგილზე აღმოჩნდა ძირითადი დამახასიათებელი ტენდენცია; სოფლების უმრავლესობა ძნელად მისადგომ მთაგორიან გეოგრაფიულ არეალშია წარმოდგენილი, ამასთანავე, სოფლები საერთაშორისო გზებიდან საკმაოდ

დაშორებით მდებარეობენ. სოფელთა გეოგრაფიული განფენილობის ეს სპეციფიკა ძველად საერთო ქართული, ჩვეულებრივი მოვლენაა. მტრის გამუდმებითი შემოსევებისაგან თავდასაცავად მოსახლეობა განზრახ ირჩევდა ისეთ ადგილებს დასახლებისათვის, რომლებიც მტერს თვალში ადვილად არ მოხვდებოდა და გეოგრაფიულადაც ძნელად მისადგომი იყო. უკვე XIX-XX საუკუნეებში, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე შედარებით სიმშვიდემ დაისადგურა, მოსახლეობაც იწყებს ბარად ჩამოსვლას, ძველი სოფლები კი ნელ-ნელა იცლება. საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფლების დაცლა, აგრეთვე, გამოიწვია საბჭოთა კავშირის მესვეურების დემოგრაფიულმა პოლიტიკამ, როდესაც ხდებოდა მთაგორიანი ძნელად მისადგომი სოფლებიდან მოსახლეობის მასობრივი, ძალდატანებითი თუ ნებაყოფლობითი, გადასახლებები. აღნიშნული პოლიტიკის შედეგად ათეულობით სოფელი სრულიად ან ნაწილობრივ დაცლილი აღმოჩნდა, რამაც ბევრი სოფელი საბოლოოდ სრულ გაუქმებამდე მიიყვანა. მექანიკური მიგრაციის ეს პროცესი მუნიციპალიტეტში უმეტესად 1947 წლიდან იწყება, როდესაც საჩხერის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა გადაასახლეს ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის, გაგრის, მარნეულის, ადიგენის რაიონებში. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს გადასახლებულების ნაწილი საინგილოშიც კი ჩაასახლეს. აღნიშნული მიგრაციული პროცესების შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ადგილობრივ მუნიციპალურ არქივში დაცული მასალები. აღნიშნულმა გადასახლებებმა ძირითადად დააზარალა **ჭალვანისა** და **არგვეთის** თემის სოფლები, ფაქტობრივად ამ დროს გაქრა ტოპონიმები: **გორიჯვარი**, **ლაღაური**, **კარათი**, **ბუკვეთი**, **ბუკილაური**, **დედაბერა**, **ლომისა**, **ბორეული**, **ლაშიანთხევი**, **ძირულა**, **ფორხალა**, **კინიორა**, **შეხვეული**, **ძირი**, **ქოლევი**, **ვალანდა**, **ლეკეთი**, **ოხობინა** და სხვ.

ქალაქ საჩხერის ტოპონიმები. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის, იმერეთის ერთ-ერთ გამორჩეულ ნაწილს წარმოადგენს ზემო იმერეთი, იგივე

გვიანდელი არგვეთი, ,,ზემო მხარი“, ,,ზემო ქვეყანა“. აღნიშნულ არეალში ისტორიულად ერთ-ერთი გამორჩეულია ქალაქი საჩხერე და მისი შემოგარენი. ქალაქის ტერიტორიას დიდი წარსული აქვს; აქ ნასოფლარ ნაჩერქეზევში, რომელიც ამჯერად ქალაქის ტერიტორიაა, აღმოჩენილია მტკვარ-არაქსის კულტურის ტიპის კერამიკა, აგრეთვე ბრინჯაოს ხანის არაერთი ნამოსახლარი (მოდინახის ციხის აღმოსავლეთი ფერდობი) (ნადირაძე, თბ., 1975). ადამიანთა საზოგადოების ცხოვრების უწყვეტობაზე ნათლად მიანიშნებს შემდეგი პერიოდების არქეოლოგიური აღმოჩენებიც. დოკუმენტალურად დამოწმებულია, რომ IX საუკენეში აქ, საჩხერის შემოგარენში საერისთავო რეზიდენცია მდებარეობდა. საერისთავო რეზიდენცია ჩიხა ხშირად იხსენიება აფხაზთა სამეფოს შემქმნელ მეფე ლეონის ძესთან გიორგი I-თან: ,,მას ჟამსა გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დემეტრესი“. აგრეთვე: ,,ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა“...(ქ.ც 1, თბ. 2012, გვ. 258,). საჩხერეზე მიძღვნილ სამეცნიერო ნაშრომებში მუსირებდა აზრი, რომ იგი ისტორიულ დოკუმენტებში პირველად ვახუშტი ბაგრატიონთან ჩნდება, თუმცა ჩვენ ერთ-ერთ ისტორიულ საბუთთა კრებულში მივაკვლიეთ უფრო ძველ ცნობებს საჩხერის შესახებ, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ისტორიულ წარსულთან ერთად ქალაქის ტოპონიმიის მრავალფეროვნებას მისი მულტიკულტურული მოსახლეობაც ქმნიდა: ქართველები, ებრაელები, გრიგორიანელი ქართველები, გვიანდელ ხანაში მცირედ ოსები. წინამდებარე სტატიაში ჩვენ განვიხილავთ ქალაქ საჩხერეში დაფიქსირებულ რამდენიმე ისტორიულ ტოპონიმს და შევეცდებით მათი წარმომავლობის ახსნას ისტორიულ ჭრილში, ეტიმოლოგიის დადგენასა და ტერიტორიულ ლოკალიზაციას.

ქალაქი საჩხერე მდებარეობს ზემო იმერეთში; იგი მდინარე ყვირილასა და ჩიხურის ორმდინარეთს წარმოადგენს, აქვე ჩამოედინება მცირე ნაკადული დუნთურა. ქალაქი უმეტესად განფენილია მდინარე ყვირილის მარცხენა და მარჯვენა

სანაპიროებზე, ხოლო ჩიხურა მის ორ გარეუბანს _ აკაკი წერეთლის მარჯვენა განშტოებასა და წმიდა დოსითეოზ წერეთლის ქუჩებს ჩაუდის, ქალაქის საზღვრებში შემოსული მალევე ერთვის მდ. ყვირილას.

ქალაქი მდებარეობს ჭიათურის სტრუქტურული პლატოს საჩხერის ქვაბულის ქვერაიონში. ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია რაჭის ქედის სამხრული კალთებით, სამხრეთიდან კორბოულის პლატოთი, დასავლეთიდან ჭიათურის პლატოთი, აღმოსავლეთიდან კი სოფელ ჭალის მერიდიანით. ქალაქის ლანდშაფტი მეტად მრავალფეროვანია კარგად გამოხატული ტერასული საფეხურებით (ჩხეიძე, ნაწ. II, ქუთ., 2009, გვ. 347, 351).

ტოპონიმი საჩხერე ისტორიულ წყაროებში პირველად 1639 წელს იხსენიება _ ალექსანდრე მეფის წყალობის წიგნში ბეჟან წერეთელისადმი: ,,ქ. ჩუენ, ღუთივ გვირგვინოსანმან, მეფეთ-მეფემ, ბატონმან ალექსანდრე ... თქვენ, წერეთელს ბეჟანს ... გიბოძეთ საჩხერეს ჩვენის სახასოს ხვადაბუნის ნახევარი“... (ისტორიული დოკუმენტები... თბ., 1958, გვ.28). ტოპონიმის წარმომავლობა მეგრულ-ჭანურ დიალექტს უკავშირდება. ეს მართებულიცაა, რადგან თანამედროვე საჩხერის ტერიტორია VI საუკუნემდე მაინც ყოველთვის იყო დასავლეთ ქართული სახელმწიფოების _ კოლხეთის სამეფოსა და შემდგომ ეგრისის სამეფოს შემადგენელი ნაწილი. მეგრულ-ჭანური ტოპონიმები ამ არეალში საკმაოდ ბევრია შემორჩენილი: საჩხეური, საჩხეორი (ლეჩხუმში) ჩხარი, ჩიხორი, ჩიხა, ჩხერი, ჩიხარეში (ლენტეხი). ყველა ამ ტოპონიმის საერთო ფუძეა მეგრული ჯიხა = ციხე. ეს მოსაზრება სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად ნიკო ბერძენიშვილმა (ბერძენიშვილი 1975) და სერგი კაკაბაძემ შემოიტანეს. კაკაბაძე შენიშნავს, რომ ტოპონიმები საჩხერე, ჩხარი, ჩიხორი და ა.შ. სიტყვა ჯიხისაგანაა წარმოებული (კაკაბაძე, თბ.,1966). ჯიხიდან ნაწარმოებ ტოპონიმთა შესახებ წერს კობა ხარაძეც ერთ-ერთ ნაშრომში და აღნიშნავს: ,, ... ჩანს ამ

მხარეში ჩვეულებრივი, საერთო სახელი იყო სიმაგრისათვის. მართლაცდა ყველა ეს ადგილი ცნობილია გვიანაც კი ციხით, ქალაქით“ (ხარაძე, თბ., 2001, გვ. 5).

ტოპონიმი საჩხერე მორფოლოგიურად შემდეგნაირად იშლება: სა-ჩხერ-ე, როგორც ვხედავთ მისი ფუძეა _ ჩხერ. მეგრულ დიალექტში გვხვდება სიტყვა დაჩხერვა, მაგალითად, ღომის დაჩხერვა/დაცეხვა. ეს თვალსაზრისიც მეგრულ-ჭანური დიალექტის გამოყენებისაკენ გვიბიძგებს. აგრეთვე ფუძე შეიძლება დავუკავშიროთ სიტყვას - მეჩხერი. არსებობს ემპირიული გადმოცემა, რომლის მიხედვითაც საჩხერის მიდამოებში ყვირილაში თევზს ჩხერის დაგების მეშვეობით იჭერდნენ, და ამის გამო იწოდა ეს ადგილი სა-ჩხირ-ე-დ=საჩხერე. კიდევ ერთი ემპირიული გადმოცემის მიხედვით უწინდელ დროში საჩხერე დაუსახლებელი ყოფილა. აქ პირველად აჭარიდან გამოქცეული გლეხი დასახლებულა, გვარად გოგიბაძე. გოგიბაძეს შეუცვლია გვარი და მაჭარაშვილი (მ-აჭარა-შვილი) გამხდარა. მეფის მონადირეები ერთხელაც ამ დაუსახლებელ ტერიტორიაზე ნადირობდნენ, მისდგომიან ახლად დასახლებულ მაჭარაშვილს და ღამეც მასთან გაუთევიათ. მეფესთან დაბრუნებულებს მოუხსენებიათ: ისეთი ადგილი ვნახეთ ჩხირი არ აკლიაო. ხალხური გადმოცემით ამის შემდეგ დაერქვა საჩხერეს საჩხირე, რომელიც შემდეგში საჩხერედ იქცა.

ვინაიდან დასავლეთ და აღმოსავლეთ ქართული პოლიტიკური წარმონაქმნები VI საუკუნემდე ცალ-ცალკე გაერთიანებებს წარმოადგენდნენ (ვახტანგ გორგასლამდე მაინც), და რომლის შემდეგაც არგვეთის საერისთავო უფრო მეტად ქართლის სამეფოსთან კავშირში ჩანს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ტოპონიმი საჩხერე საკმაოდ ძველია, და ჯერ კიდევ იმ დროისაა როდესაც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანება ჯერაც არ იყო დაწყებული (ქ.ც. 1, თბ., 2012).

ჩვენი დაკვირვებით, საჩხერე ადგილნაცვალ ტოპონიმთა ჯგუფს განეკუთვნება. ვიდრე XVI საუკუნეში ამ მხარეში წერეთლები გამოჩნდებოდნენ, აქ დომინანტი ორი გვარი - ფალავანდიშვილები და აბაშიძეები იყვნენ. აბაშიძეების საგვარეულო სახლის

შემადგენლობაში ჩანს ძველი ქალაქი საჩხერე, რომელიც თანამედროვე სოფელ სავანის სამხრეთით, ყვირილას მარჯვენა სანაპიროზე უნდა ყოფილიყო გაშენებული. ამას ერთი მხრივ, მოწმობს აქ არსებული ებრაელთა დასახლება, რომელსაც ახლა ნაურიევს უწოდებენ და დღემდე არსებობს სინაგოგის ნანგრევები. აქვე ცხოვრობდნენ ქართველი გრიგორიანელებიც (ე.წ. სომხები), რომლებიც ძირითადად აგურის წარმოებას ეწეოდნენ. ცნობილი ფაქტია, რომ ებრაელებიც და სომხებიც საქართველოს ტერიტორიაზე ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევდნენ და უმეტესად საქალაქო პუნქტებში მოსახლეობდნენ. გამომდინარე აქედან, ისინი არასაქალაქო პუნქტში არ დასახლდებოდნენ ასე კომპაქტურად, ერთმანეთის გვერდით. ქალაქ საჩხერის თანამედროვე სოფელ სავანის სამხრეთით მდებარეობაზე მიუთითებს ამ ტერიტორიაზე მთელ ამ მხარეში ყველაზე გამორჩეული არქიტექტურული ნაგებობების არსებობაც _ XI საუკუნის წმ. გიორგის ეკლესია და XII საუკუნის გუმბათოვანი ტაძარი ეწ. ,,გიორგაული“, რომლებიც სწორედ ჩვენ მიერ ნახსენებ ტერიტორიულ არეალში არიან. ამ თვალსაზრისს ამყარებს ისიც, რომ სოფელი ჩიხა, რომელიც უწინ არგვეთის ერისთავთა რეზიდენციას წარმოადგენდა მის მოპირდაპირედ ყვირილის მეორე ნაპირიდან მცირე მანძილითაა დაშორებული. გამოდის, რომ ეს ერთი ტერიტორიული არეალია. ამ თვალსაზრისს ეხმიანება ტოპონიმი არგვეთიც, რომელიც სავანის მეზობელ სოფელს ჰქვია. გადმოცემით, თანამედროვე საჩხერის ტერიტორია მუხნარი ყოფილა, აქ წერეთლების დასახლების შემდეგ XIX საუკუნის დასაწყისიდან ჩნდებიან ებრაელები და სომხები. გადმოცემით აქ პირველად გრიგორიანული აღმსარებლობის ღვთისიაშვილები გადმოსულან, შემდეგ კი დანარჩენი გრიგორიანელი ქართველები და ებრაელები.

თუ დავაკვირდებით XVIII საუკუნის ვახუშტი ბაგრატიონის რუკას, რომელზედაც დატანილია საჩხერე და მისი შემოგარენი, დავრწმუნდებით, რომ რუკაზე ვერანაირად ვერ იქნება დატანილი თანამედროვე საჩხერის ტერიტორია, საჩხერე ზუსტად ის

ტერიტორიული არეალია, სადაც ჩვენ ვსდებთ მის მიჯნებს. რუკაზე საჩხერიდან მოდინახის ციხე საკმაოდ დაშორებულია და მათ შორის დასახლებული პუნქტი ქათამაძე ძევს, თანაც საჩხერე მდ. ყვირილის სამხრეთ ნაპირზეა, მოდინახე კი მის მოპირდაპირე ნაპირზე. საჩხერეს ესაზღვრებიან აგრეთვე არგვეთი, ჭორვილა, შალვაური და სავანე; საჩხერის დღევანდელი მდებარეობა პრაქტიკულად გამორიცხავს მათ მოსაზღვრეობას.

ვახუშტი ბაგრატიონი წერს: ,,კუალად ჯრუჭის შესართავს ზეით, ყვირილის სამხრით კიდეზედ, არს საჩხერე... ამ საჩხერის პირისპირს, ყვირილის ჩრდილოთ არს, მაღალს კლდესა ზედა, ციხე მოდამნახე, მოზღუდვილი კლდითა... კუალად ამ საჩხერეს ზეით, ყვირილას კიდეზედვე არს სავანის ეკლესია...” (ბაგრატიონი, თბ., 1973. გვ.760) როგორც ვხედავთ ვახუშტი ბაგრატიონი საჩხერეს ყვირილას სამხრეთით მიუთითებს, მის კიდეზე, ხოლო ციხესიმაგრე მოდინახეს ყვირილას ჩრდილოეთით. თანამედროვე ქალაქი საჩხერე ყვირილას ჩრდილოეთითაა, ისევე როგორც მოდინახე. აქედან ჩანს, რომ ორივე პუნქტი ყვირილას სხვადასხვა სანაპიროებზე მდებარეობენ. აგრეთვე, ვახუშტი წერს, რომ სოფელი სავანე, რომელიც საჩხერის ზემოთ მდებარეობს ასევე ყვირილას სანაპიროზეა გაშენებული, როგორც საჩხერე. ჩვენ ვიცით, რომ XIX საუკუნის საჩხერე მოდინახის ციხის ძირას მდებარეობდა და არა მდ. ყვირილის სანაპიროზე. გამომდინარე იქიდან, რომ მდინარე იმ დროის საქართველოში საქალაქო დასახლების ჰიგიენური საჭიროებისათვის უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენდა მართებულიცაა, რომ ქალაქი მდინარის პირას ყოფილიყო გაშენებული და არა მისგან მოშორებით _ მოდინახის ფერდობის ძირას. აღნიშნულს მხარს უჭერს ისიც, რომ ეს ქალაქი ცენტრალურ საერთაშორისო გზების გასაყართან მდებარეობს და არა ისეთ ჩიხურ ტერიტორიაზე, როგორც დღევანდელი ქალაქი საჩხერე. გზათა სიმრავლე უძველეს დროში საქალაქო პუნქტის განვითარებისათვის

სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო. ეს თვალსაზრისიც ჩვენს ვარაუდს კიდევ უფრო ამყარებს.

აღნიშნულ თვალსაზრისს აგრეთვე მხარს უჭერს შვეიცარიელი მოგზაურის, სიძველეთა მკვლევარისა და გეოლოგის დიუბუა დე მონპერეს საქართველოში მოგზაურობისას 1831-1834 წლების შუალედში შესრულებული საჩხერის ჩანახატი, სადაც ნათლად ჩანს, რომ აქ სულ 10-მდე სახლია, რაც ძალზედ მცირეა და კატეგორიულად გამორიცხავს საჩხერის როგორც საქალაქო პუნქტის არსებობას ამ მონაკვეთში. მონპერეს მოგზაურობისას ამ არეალის დასახლების ზრდა, როგორც ჩანს უკვე დაწყებულია.

ქალაქის ტერიტორიაზე ჩამოედინება მდინარე ყვირილა, რომელიც სათავეს იღებს ყოფილი ჯავის რაიონიდან, საიდანაც მალევე შემოდის საჩხერის მუნიციპალურ საზღვრებში, სოფელ ჭალამდე ხასიათდება ჩქარი დინებით, ხოლო ჭალიდან ვიდრე ჭიათურამდე ვაკე-დაბლობების გამო ნელ, მდორე დინებას წარმოადგენს. ტოპონიმ ყვირილას ვახუშტი ბაგრატიონი სწორედ მის ჩქარი დინებით ხსნის. ყვირი-ილ-ა, ჰიდრონიმის ფუძე მართლაც უდავოდ ყვრილს, ხმაურს უკავშირდება (ბაგრატიონი, თბ. 1973, გვ. 767). საინტერესოა, რომ ძველი ბერძენი ავტორები ჰიდრონიმ ყვირილას ბერძნულად ბოას უწოდებდნენ, რაც ყვირილს, ხმაურს ნიშნავს.

საჩხერეში სიდიდით მეორე მდინარეა ჩიხურა. ჰიდრონიმი ჩიხურაც იმავე სახელთა ჯგუფიდანაა, როგორც ჩიხა და საჩხერე, რომელზედაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ჩიხ-ურ-ა, თუმცა მისი ფუძე -ჩიხ კიდევ ერთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს, რომ მდინარის სახელი შეიძლება მის ჩიხურ მდებარეობასაც უკავშირდებოდეს, რაც გეოგრაფიული თვალსაზრისით სწორედ ასეა, იგი მთებით შემოზღუდულ დაცულ ადგილას ჩამოედინება. ნიკო კეცხოველი ტოპონიმ საჩხერის წარმოშობას სწორედ მდინარე ჩიხურას უკავშირებდა: სა-ჩიხურ-ე (კეცხოველი, თბ., 1976).

საჩხერეში კიდევ ერთი მცირე ნაკადული ჩამოედინება, რომელიც გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიულ ლექსიკონში არ ფიქსირდება; მოსახლეობა მას დუნთურას უწოდებს. ჰიდრონიმი დუნთურა გამჭირვალე ტოპონიმს წარმოადგენს, ეს მცირე ნაკადული სათავეს იღებს სოფელ დუმთიდან, სწორედ ამის გამო ეწოდება მას _ დუნთურა, ანუ დუმთიდან გამომავალი ნაკადული. სოფელ დუმთის შემდეგ ნაკადული გაივლის ელისაბედ წერეთლის ქუჩას, კვეთს აკაკი წერეთლისა და მუხრან მაჭავარიანის ქუჩებს, გვერდს უვლის ისლარის დასახლებას და მალევე ჩაედინება მდინარე ყვრილაში ლესელიძის ქუჩის ბოლოზე.

ქალაქის ისტორიული მიკრო ტოპონიმებიდან უდავოდ ერთ-ერთი უძველესია - ხვადაბუნი, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით სამეფო ყანას წარმოადგენდა. ზემოთ მოყვანილ დოკუმენტში საჩხერის შესახებ, სწორედ ხვადაბუნზეა საუბარი, რომლის ნახევარსაც მეფე წერეთლებს უბოძებს. ხვადაბუნ-ი. ხვადაბუნებს საჩხერის მოსახლეობა დღემდე უწოდებს უზარმაზარ ვაკე ტერიტორიას, რომელიც გადაჭიმულია სოფელ ახალ იცქისსა და გომართელის ქუჩას შორის. სწორედ ხვადაბუნებზეა გაშენებული საჩხერის შედარებით ახალი დასახლება თამარ მეფის ქუჩა.

მხარის უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს მოდინახის ციხესიმაგრე, რომელიც ჩრდილოეთიდან ფარგლავს ქალაქს, ციხიდან ყველაზე უკეთ ჩანს საჩხერის პანორამა. ციხეზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები მის ისტორიას 2500 წლით ათარიღებს. ისტორიულ საბუთებში ციხე პირველად XVI საუკუნიდან ჩნდება და იგი დუმთის ციხედ მოიხსენიება. XVIII საუკუნის 30-იან წლებში თავად პაპუნა წერეთლის მიერ ხდება ციხის ხელახალი რესტავრაცია. სწორედ პაპუნა წერეთელთანაა დაკავშირებული ტოპონიმ ,,მოდინახის“ გაჩენა. ლეგენდის თანახმად პაპუნას თავად აბაშიძის ქალი უყვარდა, აბაშიძე ქალს არ ატანდა, რადგან თავადს ციხე არ ქონდა,

პაპუნას ამის გამო ციხის მშენებლობა დაუწყია, დასრულების შემდეგ აბაშიძისათვის შეუთვლია: ,,მოდი და ნახეო“ (გოგატიშვილი, თბ., 1976-77 გვ. 60-63,).

კიდევ ერთ ციხეს საჩხერისა და სოფელ დუმთის საზღვარზე (კონსტიტუციის ქუჩის ბოლო) თოდაძის ციხეს უწოდებენ. ახლომახლო ტერიტორიაზე მართლაც სახლობენ თოდაძეები, რაც გვაფიქრებიებს, რომ ციხეს სახელი სწორედ ამის ნიადაგზე მიუღია. თუმცა ჩვენს მიერ მიკვლეულ ერთ-ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში სრულიად სხვაგვარი თვალსაზრი მუსირებს. სიძველეების მკვლევარი, აკაკი წერეთლის ძმა დავით წერეთელი ,,სხვიტორელის“ ფსევდონიმით 1875 წლის გაზეთ დროებაში შემდეგს გადმოგვცემს: ,,ციხეში იპოვეს მოჭედილი ხატი, რომელზედაც ეწერა: ,,ხატი ესე ყოვლად წმიდა ღვთისმშობლისა შევამკე თავადმა თოდაძემაო“ (დროება, 1875, #37). არ არის გამორიცხული უძველეს დროში ეს ციხე თავად თოდაძეების კუთვნილება ყოფილიყო, თუმცა ამის შესახებ ჩვენ ვერანაირ ცნობას ვერ მივაკვლიეთ.

უდავოდ საინტერესოა მიკროტოპონიმი ნაჩერქეზევი. იგი საჩხერის უკიდურესი დასავლეთ მხარეს ეწოდება (ჭიათურის მიმართულებით, ფეიქართა ქუჩა), რომელიც წარმოადგენს ნასოფლარს. გადმოცემით აქ წერეთლებს რუსების შემოსვლის შემდეგ ჩერქეზები ჩამოუსახლებიათ, რომელთაც აქტიურად იყენებდნენ აჭარაში ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ მიერ გამოკვლეულ საარქივო მასალების მიხედვით (საჩხერის მუნიციპალური არქივი) ეს სოფელი 1930-იან წლებშიდაც არსებობს, შემდეგ კი აღარ ჩანს. ტოპონიმის ფუძე სწორედ ზემოთ ხსენებულ გადმოცემას ეთანხმება და ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ტოპონიმი სწორედ ეთნონიმ ჩერქეზიდან მოდის _ ნა-ჩერქეზ-ევ-ი.

ქალაქ საჩხერეში ჯერ კიდევ XVII საუკუნიდან დასტურდება ებრაელთა კომპაქტური დასახლება, რაც დღეისათვის მიკროტოპონიმმა ნაურიევმა შემოგვინახა. იგი მდებარეობს თანამედროვე აკაკი წერეთლისა და კონსტიტუციის ქუჩებზე. 1970-80-იან წლებში ებრაელებმა საჩხერე დატოვეს და ისრაელში გადავიდნენ საცხოვრებლად,

ამის შემდეგ იმ ადგილებს სადაც ებრაელები ცხოვრობდნენ ნაურიევს (ნა-ური-ევ-ი) უწოდებენ.

კიდევ ერთ მიკროტოპონიმ საქარის სამოსახლოს არსებობაზე ქალაქ საჩხერეში ცნობებს 1906 წლის დოკუმენტებში მივაკვლიეთ, რომელიც დამუშავების შემდეგ წიგნად გამოიცა. მიუხედავად მცდელობისა წიგნის გამოცემისას ვერ შევძელით ტოპონიმის წარმომავლობის დადგენა. შემდეგმა კვლევებმა აჩვენა, რომ თანამედროვე წერეთლის ქუჩა, წმ. ნინოს საკათედრო ტაძრის ტერიტორია, ამერიკული ვაზის საშენი სადგურიდან, ქვედა საქარიდან გადმოტანილი ვაზის სანამყენე მეურნეობის ე.წ. ფილიალს წარმოადგენდა და აქ ვაზის დაავადების გამო ამერიკულ ვაზის ჯიშების ძირებზე ქართულ ვაზს ამყნობდნენ. იმის გამო, რომ სანერგე სოფელ საქარიდან გადმოიტანეს, ადგილსაც საქარის სანერგე, საქარი დაერქვა.

საქარის ტერიტორიაში შედიოდა აგრეთვე მონაკვეთი, რომელსაც _ საჯვარეს უწოდებდნენ, მიკროტოპონიმი დამოწმებულია 1920 წლის 12 ივნისს შედგენილ საბუთში, რომლის მიხედვით საჩხერელ ლავრენტი აბჟანდაძეს მედიატორული განჩინების ძალით ელისაბედ, ლევან და ალექსანდრე წერეთლებისაგან მიღებული სადუქნე ადგილი ,,საჯვარე“ ყარამან ანტონის ძე ქველაძისათვის გადაუცია (კეკენაძე, თბ., 2017 გვ. 21.).

ზემოთ აღნიშნულმა ისტორიულმა დოკუმენტმა ჩვენი ყურადღება თავისი სახელწოდებიდან გამომდინარე მიიქცია, ადგილის სახელწოდება _ საჯვარე, არეკლავს მის ძველ დანიშნულებას. ამ ადგილზე შესაძლოა ადრეც მდგარიყო რაიმე სალოცავი, ან ნიში, აგებული თანამედროვე წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის ადგილას, ან მის სიახლოვეს, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ შესაძლოა ტაძარი აქ შემთხვევით სულაც არ აუგიათ, არამედ ის ძველი ნაეკლესიარის _ საჯვარის ადგილზე აღუდგენიათ, რაც თავისთავად ძველად ამ ადგილას ტაძრის არსებობაზე მეტყველებს.

ქალაქ საჩხერის ტოპონიმიის კვლევის შედეგები იმის ნათელი მაგალითია, თუ რაოდენ დიდი ისტორიული ცნობების მიღება შეიძლება ერთი კონკრეტული ტოპონიმისაგან, და რამდენად შეუძლია ტოპონიმიის კვლევის მასალებს, იქცეს საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვან წყაროდ.

სახეცვლილი ტოპონიმები. დროთა განმავლობაში ცვლილებას განიცდიდა ესა თუ ის ტოპონიმი; მაგალითად, სოფელი ჯალაურთა, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის იმერეთის რუკაზე **ჯარეულთას** სახელითაა წარმოდგენილი; თავისთავად სოფლის ძველი სახელწოდებიდანვე ჩანს, რომ ეს ადგილი შესაძლოა წარმოადგენდა ჯარის შეყრის ადგილს. ეს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გაკეთებული ტოპონიმის განმარტებაა. ვახუშტი ბაგრატიონის რუკის მიხედვით, აგრეთვე ზოგიერთი ტოპონიმის წარმოშობის შესახებ მოსახლეობის იმპირიული გადმოცემით, ასეთივე სახეცვლილება განიცადეს ტოპონიმებმა: წმანი – **რწამი,** ტოპონიმში აშკარად აირეკლება მისი ეტიმოლოგია, ის რომ მისი სახელწოდება რწმენასთან, მრწამსთანაა დაკავშირებული, აღნიშნულ პატარა სოფელში ჩვენ სამი ნაეკლესიარი ალაგი ვნახეთ, თვალშისაცემი იყო ეკლესიის ნანგრევების მასიური უზარმაზარი ქვები. იტავაზა – **ირტოზა,** შალაური – **შალვაური,** კორბოული – **კოლბეური**, სპეთი - **სპაეთი,** სარეკი - **სალეკი,** სხვიტორი - **სხვისტომი,** დუნთა - **დუმიმთა,** ორღული - **ორგული,** ნიგვზარა - **ნიგვზნარა,** შომახეთი - **შრომახეთი,** სავანე - **სავანეთი,** ივანწმინდა - **წითელსოფელი.** უნდა აღინიშნოს აგრეთვე ერთი სპეციფიკა, ის, რომ ადგილობრივი ებრაული მოსახლეობა სოფელ საირხეს – **სარიხეს** უწოდებდა, ეს მომენტი გასათვალისწინებელია, რამდენადაც ებრაელი მოსახლეობა უძველესი დროიდან ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე და მათში ავტომატურად შემორჩენილი უნდა ყოფილიყო ძველი ტოპონიმიკური სახელწოდებები.

ასიმილირებული სოფლები. მრავალმა სოფელმა მეზობელ სოფელთან განიცადა ასიმილაცია და ერთი სახელის ქვეშ იწოდება, მაგალითად: **კაპნათუბანი**,

გოგოთუბანი, **სისვაძეები**, და ა.შ დღეს საკუთრივ კორბოულის ტერიტორიას შეადგენენ. აგრეთვე მაგალითისათვის უნდა აღინიშნოს ქალაქ საჩხერის (ქალაქად იწოდება 1964 წლიდან) ტერიტორიის გაზრდა მის მოსაზღვრე სოფლის – **ნაჩერქეზევის** ხარჯზე, რომელიც ქალაქმა მთლიანად შეიერთა. ადგილობრივ მოსახლეობაში ძველი სოფლის შესახებ ცნობას უკვე აღარ ფლობენ. საარქივო დოკუმენტების კვლევისას დადგინდა, რომ ძველი საჩხერე მხოლოდ თანამედროვე ორ პარალელურ უბანში – ბესიკ ქუთათელაძისა და აკაკი წერეთლის ქუჩებზე იყო განლაგებული. უკვე დღევანდელი კულტურის სახლიდან მოყოლებული ვიდრე სოფელ სარეკამდე, იყო სოფელი ნაჩერქეზევი, რომელიც ჯერ კიდევ 1926 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერაში სოფლის სტატუსითაა წარმოდგენილი. აღნიშნული სოფლის შესახებ საკომლო მასალები დაცულია საჩხერის მუნიციპალურ არქივში. გაუქმებული სოფლები და მათი ტერიტორიული ლოკალიზაცია წარმოდგენილია რუკაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის როგორც მოქმედი ისე გაუქმებული სოფლები, რომლებიც ქვემოთაა წარმოდგენილი.

ჭალოვანის თემი. ჭალოვანის თემი საჩხერის სამხრეთ ნაწილშია განლაგებული, დასახლებები ძირითადად მდინარე ძირულის ხეობისაკენ დამრეცათ დახრილ ფერდობებზეა შეფენილი. მაღლობები აქ დაახლოებით თემის 25 %-ს შეადგენს, დანარჩენი ვაკე-დაბლობია. თემში შედის შემდეგი მოქმედი სოფლები: **ხვანი, ლიჩი, ღოდორა, ჩონთო, ოტრია, ჯვარი, ურუნა, ვაკისა** და საკუთრივ **ჭალვანი.** გარდა ამისა მასში ისტორიულად, სხვადასხვა პერიოდში შედიოდა 14 სოფელი, რომელიც ამჟამად ნასოფლარადაა ქცეული, ესენია: **გორიჯვარი, წმანი, ლაღაური, ბუკილაური, დედაბერა, დამპალა, ვაშლარისწყალი, ლომისა, ბორეული, კარათი, ბუკვეთი, ლაშიანთხევი, კაპრები, კაპრებისბოსელი, ლეკეთი, ძირი, კინიორა, ქვაყუნთი, ფორხალა.** გარდა ამისა გარკვეული ადგილების მდებარეობა და იქ დამოწმებული ისტორიული ნასახლარები, ეკლესიის ნანგრევები გალავნის ნაშთებით

გვაფიქრებინებს, რომ ზოგიერთ ადგილში ცალკეული სასოფლო დასახლებები არსებულა. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სოფელ წმანს ზემოთ არსებული ადგილი საქორია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სოფლების უმრავლესობა შეუერთდა მეზობელ დიდ სოფლებს და მისი სახელის ქვეშ გაერთიანდა, თუმცა მათი სახელწოდებები უბნების სახელებათაა წარმოდგენილი. აქვე ვასახელებთ ადგილთა სახელწოდებების ნაწილსაც, რომელიც მხარის გარკვეულ სპეციფიკას დაგვანახებს: ნაქუბრები, საქორია, დიდვაკე, აფხაზისეული, ნახიზარი, ბორიულის ტყე, ლიჩის სამძღვარი, დამწვარა, ლოხონისსერი, კაპრებისსერი. ჭალვანის თემს აგრეთვე კვეთს ისტორიული ხეფინიხევის ხეობა, რომელშიაც შედიოდნენ სოფლები: ბორეული, ლომისა, ვაშლარისწყალი, ხვანი, ჭალოვანი, ლაშიანთხევი, კარათი, ბუკვეთი, ლიჩი. ხეობა ძირითადად მდინარე ძირულას მიუყვება, ხოლო სოფელ ხვანთან აღმოსავლეთით უხვევს და ვაშლარისწყლისა და ლომისის გავლით შიდა ქართლში გადადის (ხაშურის მუნიციპალიტეტი). ისტორიული ხევი დასავლეთით ხარაგაულის მუნიციპალიტეტში (ნადაბური, შერთული და ა.შ.) გადადის.

არგვეთის თემი. არგვეთის თემის სოფლები საჩხერის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენენ, დასახლებები განფენილია რამდენიმე ძირითადი მდინარის ხეობებსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, აქ ჩამოდის მდინარე ყვირილა, იზვარა, ლაშურა, დურეულა და სხვა პატარა ღელეები. თემის დასავლეთი ნაწილი მთლიანად ვაკე-დაბლობია პატარ-პატარა გორაკებით, ხოლო მისი აღმოსავლეთი ნაწილი მთაგორიან არეალში წარმოდგენილი. თემის სოფლებია: **არგვეთი, სავანე, ეხვევი, ეთო, იტავაზა, მახათაური, შალაური, ბახიოთი, ცხამი, იცქისი.** აღნიშნულ თემში 7 გაუქმებული სოფელია: **ძველი იცქისი, ვალანდა, ქოლევი, დურევი, ოხობინა, ბზარნაული, შეხვეული.** აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილთაგან ორ სოფელში - დურევსა და ძველ იცქისში მცირე მოსახლეობა დღესაც არის წარმოდგენილი, თუმცა ამ დასახლებებს სოფლის სტატუსი არ აქვთ. მნიშვნელოვან ადგილთა სახელწოდებებია: აკვანათა,

გორგოთი, ბაზაურები, გაბანდულა, აბაშიძის ტყე და ა.შ. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია გაუქმებულ სოფელ დურევში, დასახლების თავზე არსებულმა ტერიტორიამ, რომელსაც მოსახლეობა ნადარბაზევს უწოდებს. ადგილზე ასულებს დაგხვდა გრნდიოზული ნაგებობათა კომპლექსის ნაშთები, რომელნიც 2-3 ჰექტარ ტერიტორიაზე იყო წარმოდგენილი. მასში შედიოდა: სამჭედური, რომლის წიდებსაც მიწის დამუშავების დროს დღესაც პოულობენ, სხვადასხვა დიდი ოთახები დ სათავსოები, აგრეთვე ნასახლარის ბოლოს არის სანიშნი კოშკი. ადგილი საჭიროებს არქეოლოგიურ შესწავლას, რამეთუ ადგილზე მოსახლეობის მიერ ხშირად იქნა ნაპოვნი ფაიფურისა და თიხის ჭურჭლის ნატეხები, აგრეთვე სხვადასხვა ნივთები.

კორბოულის თემი. სოფელი კორბოული ერთ–ერთი უძველესი დასახლებაა საჩხერის მუნიციალიტეტში, რასაც ადასტურებს ადგილზე აღმოჩენილი ძვ. წ. VIII-VI საუკუნეების არქეოლოგიური მასალა. სოფელი შეფენილია მდინარე დუმალას სანაპიროების ვულკანური წარმოშობის გორაკ–ბორცვებზე, რომელნიც დამრეცად ეშვებიან მათ შორის მდებარე მცირე ქვაბულისაკენ, სადაც გადის კორბოულის მთავარი შიდა საავტომობილო გზა. ადგილზე ვხვდებით მდინარეების მწირ ქსელს. სოფლის ერთადერთ მდინარეს დუმალა წარმოადგენს, რომელიც სათავეს იღებს სოფელი ბახიოთის მხრიდან (ერაძეების უბანი) ერთ–ერთ დიდ დებიტიან წყაროდან. მდინარე დუმალა კორბოულიდან ბერეთისაში (ჭიათურის მუნიციალიტეტი) მიედინება. მდინარის სახელწოდების წარმოშობა ადგილობრივი ხალხური ეტიმოლოგიით თამარ მეფესთანაა დაკავშირებული. ლეგენდის თანახმად, როდესაც თამარ მეფე დაქორწინდა გიორგი რუსზე, მათ მოიარეს საქართველოს სხვადასხვა მხარეები, რათა თამარს მეუღლისათვის საქართველოს სანახები დაეთვალიერებინა. კორბოულზე გავლისას გიორგის თამარისათვის უკითხავს თუ რა ერქვა მდინარეს, რომელიც სოფელში ჩამოედინებოდა: ,,Тамар, думала, думала, что не может думать“. ანუ თამარმა იფიქრა იფიქრა და ვერ მოიფიქრაო. ლეგენდის თანახმად, რუსული

სიტყვიდან ,,думала“ ნაწარმოებია მდინარის სახელწოდება. მეორე ვერსიით, მდინარეს ეს სახელი თავისი მდორე, მდუმარე დინების გამო მიუღია. მართლაც მდინარე ვაკე ტერიტორიაზე საკმაოდ ნელი დინებით გაედინება დაწყებული სათავიდან ვიდრე სოფელ ბერეთისამდე, ხეობაში წარმოქმნის ჭაობებსა და ჭორომებს. სოფელში არსებული ჰიდროგრაფიული ქსელიდან, რომელიც მცირე ღელეებისაგან შედგება, აღსანიშნავია რკვიანი, იგი სათავეს იღებს ჯალაბაძეების უბნიდან, გადაკვეთს კაპანაძეების უბანს, შემდეგ მაჭარაშვილების კომპაქტურ დასახლებას და გაედინება სოფელ ჯალაურთის მიმართულებით.

კორბოული მდებარეობს მუნიციპალური ცენტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, უშუალო საზღვარი ქალაქ საჩხერესთან არ აქვს. სამხრეთით მას სოფელ გორისისაგან ყოფს ე. წ. ჩიჩინაგორა, რომლის თხემზედაც, ნაძვნარში განთავსებულია II მსოფლიო ომიდან შინ მოუსვლელთა მემორიალი. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით ეს არის ადგილი, სადაც მუდამ ქარი ქრის, მაშინაც კი თუ არსად სოფელში ნიავიც კი არ შეიმჩნევა. გადმოცემით, მუდმივი ქარის გამო ამ ადგილს ადრე შიშინა გორას ეძახდნენ, რომელიც ბოლოს ჩიჩინა გორის სახელწოდებით დამკვიდრებულა. მიკროტოპონიმის წარმოშობას მოსახლეობის მეორე ნაწილი XIX საუკუნის II ნახევარს უკავშირებს, როდესაც ეს ადგილი წარმოადგენდა ადგილობრივი აზნაურის, ვინმე ჩიჩინას მამულს. ჩვენი აზრით, უფრო სარწმუნო პირველი მოსაზრება უნდა იყოს. კორბოულს ასევე ესაზღვრებიან: ხვანი, ჭალოვანი, ნასოფლარი ლაშიანთხევი, ნასოფლარი საკანაფორა, ჯალაურთა, ბერეთისა.

XVIII საუკუნის ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე წარმოდგენილი სოფლები: კაპანათუბანი, გოგოთუბანი, მაჭარაშვილები, სისვაძეები, ამჟამად საკუთრივ სოფელ კორბოულში არიან შეზრდილნი, აქედან გამომდინარე ეს დასახლებები ისტორიულ ნასოფლარებს წარმოადგენენ, თუმცა ეს სახელები დღემდე შემორჩა უბნების სახელწოდებებად. გარდა აღნიშნული უბნებისა, ადგილზე ვხვდებით: კილაძეების,

ჯალაბაძეების, გოგატიშვილებისა და დარბაიძეების გვართა კომპაქტურ დასახლებებს. ეს უბნებიც თავის მხრივ სხვადასხვა სახელწოდებებით არის წარმოდგენილი. მაგალითად, მაჭარაშვილების უბანი იყოფა ორად - ტოტიკებად და ივანეებად (ივანაშვილებად), რისი მიზეზიცაა მაჭარაშვილების გვარის კორბოულში დასახლების ისტორია, რომლის მიხედვითაც აქ თავდაპირველად დასახლებულან ორი ძმა ტოტიკი და ივანე. დღესაც უბნის ერთ მხარეს ტოტიკის შთამომავლები ცხოვრობენ, მეორე მხარეს კი ივანესი. მოგვიანებით, XIX საუკუნის მიწურულს, აქ გაჩნდა კიდევ ერთი უბანი - ხუცები, იმის გამო, რომ აქ ცხოვრობდა განათლებული ხუცესი, რომელიც წერაკითხვას ასწავლიდა. ადგილს სადაც მისი შთამომავლობა ცხოვრობს ხუცების უბანი დარქმევია. კორბოულის თემში აგრეთვე ერთიანდებიან სოფელი ნიგვზარა და შომახეთი. 1926 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით კორბოულის თემში შედიოდნენ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფლები წასრი და ჯალაური. აღნიშნული აღწერის მონაცემებით ამ დროისათვის კორბოულში 434 კომლი ცხოვრობს რომელთაგან ყველა ეთნიკური ქართველია.

ტოპონიმ კორბოულის წარმოშობას ადგილობრივი მოსახლეობის ისტორიული მახსოვრობა XIII საუკუნეში ათავსებს, როდესაც ქართლში შემოსეულმა მონღოლებმა არგვეთის საერისთაოს აღმოსავლეთ სანახებს უწვდინეს და მოარბიეს მისი საზღვრის სიახლოვეს მდებარე ადგილები. მონღოლთა იმ რაზმს, რომელსაც კორბოულის ტერიტორიაზე გაუვლია კოლა ჯაყელი მეთაურობდა, გადმოცემით მონღოლებს სასტიკად დაურბევიათ აღნიშნული მონაკვეთი. მხარის მოსახლეობა ამის შემდეგ კოლა ჯაყელის დარბეულ ტერიტორიას - კოლა რბეულს, ანუ კოლას დარბეულს უწოდებდა, რომელიც შემდეგ კოლრბეულად, კოლარბეულად ტრანსფორმირდა.

ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონის I ნაწილის თანახმად , კორბოულელთა წარმოდგენით სოფელს კორბოული იმიტომ შერქმევია, რომ აქ ძველად ბევრი კვერი (ჩაქუჩი) უმზადებიათ, კვერ-ბევრი, კვერ-ბევრეული

სოფელი ყოფილა. მეორე ვერსიით სოფელს ეს სახელი თავისი მრავალკომლიანობის გამო მიუღია - კომლ-ბეური ანუ მრავალკომლიანი დასახლება. მესამე ვერსია, რომელიც ლექსიკონშია წარმოდგენილი გვამცნობს, რომ სოფლის ტერიტორია ადრე მუხა მრავალი იყო, რის გამოც მას რკო-ბეურს უწოდებდნენ. ლექსიკონში მოცემული ეტიმოლოგიური განმარტება შესაძლებელია ასახავს ნაწილობრივ სიმართლეს, მაგალითად, ჩვენს მიერ ადგილზე ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგად აღმოჩნდა, რომ სოფლის ზოგიერთ ოჯახში დღემდე არის შემორჩენილი ძველი სამჭედლო იარაღები (საბერველი და სხვ.), მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ნიკა კილაძის ოჯახი, რომელიც აღნიშნულ იარაღებს დღემდე ინახავს.

ჩვენს მიერ ადგილზე ჩატარებული საველე სამუშაოებისას აგრეთვე გამოვლინდა რომ, ისტორიულად სოფლის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით ითესებოდა ხორბალი რომელიც მოსახლეობის თქმით ადგილობრივი, ენდემური ჯიში იყო, აღნიშნული სახეობა სოფელში დღეს უკვე აღარ ითესება. ექსპედიციის ფარგლებში ჩვენ აგრეთვე მოვიარეთ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფლები. სოფელ ხვანში ყოფნისას ადგილზე დავაფიქსირეთ მიკროტოპონიმი - საკორბოულო ადგილი, სამწუხაროდ ადგილობრივებს არ ქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რატომ ერქვა ამ ადგილს საკორბოულო, როდესაც გამოვთქვით ვარაუდი, რომ შესაძლებელია ამ ადგილზე ითესებოდა იგივე ხორბლის ჯიში რაც კორბოულში, მიმასწავლეს ისტორიკოს როლანდი კილაძესთან, რომელმაც მიამბო, რომ კორბოული არის ხორბლის ჯიში და იმიტომ ქვია კორბოულს კორბოული რომ იქ ამ ჯიშის ხორბალი ითესებოდაო. თავის მხრივ როლანდ კილაძემ გამოთქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ტოპონიმ კორბოულს საფუძვლად უდევს სიტყვა კვერი - ანუ ხორბლისგან გამომცხვარი პური. აღნიშნული ინფორმაციის მოძიების შემდეგ ჩვენ შევეცადეთ აგრარული ისტორიის შესახებ არსებულ ნაშრომებში მიგვეკვლია ინფორმაციას ხორბლის ჯიშ კორბოულის შესახებ. მართლაც, პავლე ნასყიდაშვილისა (1971-2005) და

ნინო ჩოფიკაშვილის სადისერტაციო ნაშრომში მოცემულია ენდემური ხორბლის ჯიში - კორბოულის დოლის პური. ჩვენი აზრით, ტოპონიმ კორბოულის წარმოშობა სწორედ ხორბლის ჯიშ კორბოულს უნდა უკავშირდებოდეს, რომლის კვლევაც ენათმეცნიერების პრეროგატივაა.

სოფლის ტერიტორიაზე არსებული სხვა მიკროტოპონიმებიდან აღსანიშნავია: აბრამისეული, გოგოსური, ლოქოზნაური, კახამბალი, ბლისერები და სხვ. აღნიშნული მიკროტოპონიმები დატანილია ჩვენს მიერ 2017 წელს გამოცემულ საჩხერის მუნიციპალიტეტის ისტორიულ-გეოგრაფიულ რუკაზე.

ქართულ ისტორიულ წყაროებში სოფელი კორბოული XVII-XVIII საუკუნეებიდან ჩნდება: ,,მეფემან სიმონ რომ გარდმოვლო კოლბეურის მთა, მივიდა ერთი დედაკაცი კოლბეურელი და... შეეხუეწა, რომ ჩემი შვილიც იახლეთო“ . კორბოული ასევე იხსენიება 1722 წლით დათარიღებულ დოკუმენტში: ,,მე, ქაიხოსრო წერეთელმა ... თქვენ, წერეთელს პაპუნას – მოგყიდე კორბოულს მამუკა გოგალაძე, მისი ძმები და ნათესავი, რაც ან ქართლით იყოს და ან იმერეთს, მათის ცოლ–შვილით, მამულით ...'' . 1727 წლით დათარიღებულ დოკუმენტში: ,,მე წერეთელმა ზალ ... თქვენ, აბაშიძის ქალს ქეთევანს – კოლბოულს ნინია მაჭარაშვილი და მისი ძმა საქუტა მათის – სახკარით, მამულით [მოგეცით]... “ (ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 316–317, თბ., 1965–1985) . იმავე წლის მეორე დოკუმენტში: ,,...მე, წერეთელმა მამუკამ თქვენ, აბაშიძის ქალს – ქეთევანს ... მოგყიდე კოლბოურს შათირიშვილი კაცია მისის ... მამულით...” 1761 წლის დოკუმენტში: ,,ჩვენ, ბერის წერეთლის შვილმა ოქროპირ ... თქვენ, წერეთელს მღვდელს სვიმონს ... კოლბოურს ერთი მოსახლე კაცი მაჭარაშვილი ხოხონა ... მოგეცით ამ სისხლშიდ ... მათის ... მამულ–ალაგით...'' . კორბოულის მთა დასახელებულია აგრეთვე ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში (აღწერა სამეფოსა საქართველოისა), როგორც საზღვარი ქართლისა და იმერეთის სამეფოებს შორის. ვ. ბაგრატიონს სოფელი დატანილი აქვს რუკაზეც. კორბოულს იხსენიებენ

ევროპელი მოგზაურები ჟან შარდენი (საქართველოში იმოგზაურა 1672-1673 წლებში) და იოჰან გიულდენშტედტი (საქართველოში იმოგზაურა 1771-1772 წლებში), თუმცა მის აღწერილობას ან სხვა რაიმე ცნობას სოფლის შესახებ არ გვთავაზობენ.

კორბოულის თემზე გადადიოდა ისტორიული ქვაფენილით მოკირწლული საქარავნე გზა, რომელიც საერთაშორისო გზის ერთ – ერთ არტერიას წარმოადგენდა. იგი ამჟამად თანამედროვე საავტომობილო გზის მიღმაა დარჩენილი. აღსანიშნავია, რომ გზას, მთელ გაყოლებაზე, ახლაც ეტყობა ქვაფენილის ნაშთები. ჭერათხევის ხეობიდან მიმავალ მგზავრს კორბოულის თემში შესვლისას გორაძირის ვულკანურ გორაკამდე უნდა ემოძრავა იმ მარშრუტით, რომელზედაც ახლაც მიემართება საავტომობილო გზა. გორაძირის მთის ძირიდან იგი ჩაუხვევდა ხელმარცხნივ და გაემართებოდა სოფელ ზემო ნიგვზარისაკენ, ჩაივლიდა ამავე სოფელში მდებარე სამთელას (სანთელა) ციხის სიახლოვეს და დაეშვებოდა ქვემო ნიგვზარის მიმართულებით, ნიგვზარიდან გამოვიდოდა გოგოლაძეების უბანში და შეუერთდებოდა კორბოულის თანამედროვე საავტომობილო გზას, მივიდოდა კორბოულის ცენტრთან (იქ სადაც ახლა სოფლის ბაზარი მდებარეობს), მარჯვენა მხრიდან გვერდს აუქცევდა კორბოულის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიას და გაემართებოდა მოძვისაკენ, საიდანაც გორისის თავში გამოვიდოდა და მერჯევამდე ისევ გაუყვებოდა იმ გზას, რომელიც დღეს თანამედროვე საავტომობილო გზაა, შემდგომ ამისა გაუვლიდა მერჯევის სამების ეკლესიას, გადაივლიდა მერჯევის გვიანდელ აბანოების ახლოს გამავალ გზას და გამოვიდოდა საჩხერეში (თანამედროვე თამარ მეფის ქუჩა); ამ გზას XIX საუკუნეში რუსის გზას უწოდებდნენ, რადგან ანექსიის შემდეგ რუსეთის ჯარი უმეტესად ამ გზას იყენებდა აღმოსავლეთიდან დასავლეთში გადასასვლელად. აღნიშნული გზის რეაბილიტაცია განიზრახეს 1961 წელს, გაიდო ხიმინჯები მდინარე დუმალაზე (კორბოულის თემის ტერიტორია), ჩატარდა შესაბამისი სამუშაოები, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის გამო, რომელთა

სახლებზე და ნაკვეთებზე უნდა გაევლო გზას, პროექტი ჩაიშალა და გზამ გადაინაცვლა იქ, სადაც ახლა მდებარეობს საჩხერე–გომი–თბილისის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა.

კორბოულის თემს კვეთდა აგრეთვე დასავლეთიდან (ძველი ბოსლევიდან) მომავალი შემდეგი მარშრუტის გზა: ჩხიროული–ტყემლოვანი–მანდაეთი–კორბოული–ჯვარი–ალი. ამასთანავე, კორბოულიდან გზა საჩხერის გვერდის ავლით უხვევდა და პირდაპირ შუქრუთში და შემდეგ ჭიათურის მიდამოებისაკენ მიემართებოდა. მეორე გზა კი, როგორც აღვნიშნეთ, საჩხერეზე გადიოდა, რომელიც თავის მხრივ ყვირილის პირით ჩიხას მიადგებოდა.

აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეებში და შემდეგაც, ქართლ–კახეთის ურთიერთობა იმერეთთან და დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებთან ძირითადად სწორედ ამ გზით ხდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთში გადმოსულმა ჟან შარდენმაც სწორედ ეს მონაკვეთი აირჩია თავის მარშრუტად. იგი წერს: ,,ჩავედით ქალაქ ალში, აქედან ორი ლიე ვიწრო ხეობით ვიარეთ. ეს არის საქართველოსა და იმერეთის სამეფოს საზღვარი. თოვლით დაფარულ მთებში შვიდი ლიე გავიარეთ, გვეგონა გზა აგვებნეოდა, რადგანაც თოვლს სულ დაეფარა ყოველგვარი ნაკვალევი, შევჩერდით სოფელ კოლბეურში.“

როგორც ჩანს, შარდენმა ზამთარში, უამინდობაში შეძლო გაევლო ეს რთული გზა, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ რთულ მეტეოროლოგიურ პირობებშიაც კი ეს გზა სავალად არცთუ ისე ძნელი იყო.

აღნიშნულ ისტორიულ გზაზე, გორაძირის ვულკანური მთის პირდაპირ, კორბოულის მხარეს (ნიგვზარა), ახოს ღელეს ნაპირზე, მდებარეობს სამთელას (სანთელას) ციხე, რომელიც ჩვენი აზრით სასაზღვრო ციხე უნდა ყოფილიყო ქართლისა და იმერეთის სამეფოებს შორის, შესაბამისად შეესრულებია საბაჟოს ფუნქციაც. ადგილობრივების თქმით კოშკი სალეკო იყო, იგი იცავდა ლეკების

შემოსევისაგან სოფელს, ცეცხლით ანთებით მეციხოვნე სოფელს ლეკების შემოსევას აცნობებდა. ციხის აშენებას ადგილობრივი ლეგენდა თამარ მეფის სახელს უკავშირებს: გზად გამოვლილმა თამარმა ირემი დაინახა, თანმხლებმა მებრძოლებმა ირემის მოკვლა განიზრახეს, თამარმა მოკვლა დაუშალა და ბრძანა აეშენებინათ ციხე, სადაც ამ გზაზე გავლით მყოფი მებრძოლები შეჩერდებოდნენ. ციხე თითქმის მთლიანად დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ ერთი 4,5 მეტრის სიგრძისა და 2 მეტრი სისქის კედელი, ერთიანად ქვითკირით ნაშენი, გარშემო მიმობნეულია ციხის ნანგრევი ლოდები. ციხის გადარჩენილი ნაწილი მდებარეობს შემაღლებულ გორაკზე, რომელიც ერთიანად ხეებითაა დაფარული და შორიდან არ ჩანს. ციხის მოპირდაპირე გორაზე არსებულ ნანგრევებს ადგილობრივები ნამარნევს უწოდებენ, აქვეა ნაეკლესიარიც. აქვე გადის ნავთობსადენი, სამუშაოების დროს მუშებს მშენებლებს უპოვნიათ უზარმაზარი ქვევრი, რომლის ძირზეც ადგილობრივების თქმით 5 კაცი დაეტევოდაო. 60-იან წლებში ადგილზე უმუშავია არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელსაც საცდელი თხრილების ამოჭრის შემდეგ მალევე დაუტოვებია ტერიტორია.

კორბოულის ტერიტორიაზე საკმაოდ ბევრი, 12 ეკლესიაა აგებული, სიძველის კვალი მათგან მხოლოდ ერთს – ძველი ძლევის წმინდა გიორგის (XV ს.) სახელობის ეკლესიას ეტყობა, და აგრეთვე გადმოცემით ძველი ეკლესია იყო აშენებული ნასოფლარ ზარნალში (ნასოფლარი ზარნალი წარმოადგენს შომახეთის ერთ-ერთ უბანს ამავე სახელწოდებით).

ჭალის თემი. ჭალის თემი საჩხერეში ყველაზე დიდია, მასში შედის საჩხერის ცენტრალური არეალი, აგრეთვე მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ტერიტორიები, მათ შორის ოკუპირებული სოფლებიც. თემის უმეტესი ნაწილი მთაგორიანია, აქ ჩამოედინება მდინარეები: ყვირილა, ღვიზგა, შუშა, ჭიტაეთისწყალი და სხვა. თემი მოიცავს შემდეგ სოფლებს: **ჭალა, დრბო, ღონა, საკოხია, სპეთი, ჯრია, დარყა, ჭურნალი, პერევი, ტბეთი, ქარძმანი, სინაგური, ჯალაბეთი, თედელეთი.** ტერიტორიაზე

საკმაოდ ბევრია გაუქმებული სოფლებიც: **ტყემალაური, ბაცქიური, კუხელაური, ჭიტაეთი, დოვლეთი, ჭლეები, ლომოურეთი, ხახიეთი, დავაეთი, ზასხლეთი, სხეპრისძირი, სარბეთი, იფხორა, ზვარე, ჭაბუკმთა, ხელდახეული, ფათკუჯინა, ხაფალგორა, ძირისჭალა, სადარნო, წოისი, ლოხოისა, პანისური.** ადგილებია: შურთი, სატიტე, გუჯაბეთი, ფშანალი, ლეესევი, პეპელეთი, მეფის სადგომი და სხვა [საქართველოს სსრ ტოპონიმია, ტ.1. 1987].

მერჯევის თემი. მერჯევი და მის თემში შემავალი **ივანწმინდა** (საბჭოთა კავშირის დროს უწოდეს წითელსოფელი) უშუალოდ საჩხერის ქვაბულში მდებარეობენ, ტერიტორია თითქმის მთლიანად ვაკე-დაბლობს უკავია, არის მცირედი ფერდობები და გორაკ-ბორცვები. თემის ტერიტორიაში შედის გაუქმებული სოფელი **საქართარმძო,** იგივე ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე აღნიშნული ქათამაძე, ჩვენი აზრით, ეს ტერიტორია შესაძლოა ქათამაძეთა სააზნაურო ყოფილიყო, და სახელიც აქედან გამომდინარე უნდა მიეღო. ადგილებიდან აღსანიშნავია: ხოდაბუნები, რომელსაც ყვირილის მარჯვენა სანაპიროს ამ ნაწილს უწოდებენ და გამოირჩევა დიდი მოსავლიანობით.

ქორეთის თემი. მასში აგრეთვე ერთიანდება სოფელი **კალვათა.** გაუქმებული სოფელია: **პასიეთი,** რომელიც ამჟამად ქორეთის ერთ-ერთ მოზრდილ უბანს წარმოადგენს.

ცხომარეთის თემი. ადმინისტრაციულ ერთეულში შედის აგრეთვე მეორე სოფელი **მოხვაც.** გაუქმებული სოფლებია: **ხერთა, ყვიჩორი, უზუნთა, ჯრუჭი**. ტერიტორია საჩხერის ჩრდილო დასავლეთით, რაჭის საზღვარზე მდებარეობს, მისი უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილი გამოირჩევა მთაგორიანი ადგილებით. ადგილებია: ლეჭნარი, გვერდსათიბი, გველებიანის გარემო, ბზებისგორა, ხავსნარის ქედი.

საჩხერის მუნიციპალიტეტებში შემავალ სხვა ტერიტორიულ ერთეულებში - **ჩიხის** თემში (ჩიხა, სხვიტორი, ორღული, დუნთა), **გორისის** თემში (გამოღმა არგვეთი),

საირხის თემში (ჭორვილა), **ჯალაურთის** (მოძვი) თემში და **სარეკის** თემში (ქვემოხევი, ბაჯითი) გაუქმებული სოფლები წარმოდგენილი არაა.

ზემოთ მოყვანილი მასალით შევეცადეთ მოკლედ წარმოგვედგინა საჩხერის მუნიციპალიტეტის ისტორიული ტოპონიმია და მისი ძირითადი მახასიათებლები. ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს ზემო იმერეთის ისტორიული ტოპონიმიით დაინტერესებულ მკვლევარებს.

თავი V

საარქეოლოგიო გეოგრაფია

საქართველოს ადრეული ხანის ისტორიის კვლევის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიას. სწორედ არქეოლოგიური გათხრებისა და დაკვირვებების შედეგად ვლინდება უძველესი ისტორიული პერიოდები საქართველოს ტერიტორიაზე, რაც უდიდესი მნიშვნელობის წყაროა, რომელიც მეტ-ნაკლებად ნათელს ფენს ჩვენი ქვეყნის ისტორიის განვითარებას უძველესი დროიდან (პალეოლითი, ნეოლითი, ენეოლითი და ა.შ.). არქეოლოგიური ძეგლების გეოგრაფიული განფენილობის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია მოვახდინოთ უძველესი ხანის საზოგადოებების საცხოვრებლების რეტროსპექტივა, გავაანალიზოთ მათი საცხოვრებელი პირობები, დავადგინოთ მისი მსგავსებები საქართველოს

ტერიტორიაზე აღმოჩენილ სხვა არქეოლოგიური ძეგლის ინვენტართან და მოვახდინოთ ერთი პოლიტიკური სივრცისა და საზოგადოების ერთიანობის ნივთმტკიცება. აგრეთვე, შევადაროთ იგი შემდეგ არქეოლოგიურ კულტურულ-ქრონოლოგიურ ეტაპებს. ეს ყველაფერი კი საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ ამა თუ იმ დასახლების კავშირები დანარჩენ საქართველოსთან, განვიხილოთ მიგრაციები და სხვ. საჩხერის მუნიციპალიტეტის მაგალითზე იკვეთება ის ფაქტორი, რომ არქეოლოგიური ძეგლები ძირითადად უძველეს საერთაშორისო საქარავნო გზების სიახლოვეს მდებარეობენ, ეს რა თქმა უნდა, შემთხვევითი ფაქტორი არაა.

არქეოლოგიური კვლევის ისტორია. საჩხერის არქეოლოგია განსაკუთრებით ბრინჯაოს ხანის ძეგლებით გამოირჩევა, რომელიც საქართველოს და საერთოდ სამხრეთ კავკასიის ბრინჯაოს ხანის შესწავლაში დიდ როლს თამაშობს. ადგილობრივი ბუნება, ფლორა, ფაუნა, ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელი, კაჟისა და ლითონის საბადოები, საუკეთესო პირობას ქმნიდა აქ ადამიანის დასახლებისათვის.

საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ზედა პალეოლითის დროიდან უცხოვრია ადამიანს. მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური მნიშვნელობის წარმოსაჩენად საირხის ანტიკური ხანის ნაქალაქარის დასახელებაც კი იკმარებდა. თუმცა ის ერთ-ერთია იმ ძვირფას ძეგლებს შორის, რომელიც საჩხერის ისტორიის წიაღიდან ნათელზე გამოვიდა, და ჯერ კიდევ უამრავ ძეგლებს ინახავ საჩხერის მიწის წიაღი. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცდებით წარმოვადგინოთ, როგორც პროფესიონალ არქეოლოგთა მიერ გათხრილი ძეგლები, ისე შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენები მოსახლეობის მიერ, რომლებიც გვაძლევს საშუალებას ვარაუდი გამოვთქვათ თუ რომელ ძეგლებს გააჩნიათ მომავალი გათხრების პერსპექტივა.

საჩხერის არქეოლოგიური ძეგლები ჯერ კიდევ **XIX საუკუნეში** მოხვდა სიძველეთა მკვლევარ **დავით წერეთლის** (აკ. წერეთლის ძმა) ყურადღების ქვეშ. იგი

მრავლად აქვეყნებდა სტატიებს საჩხერეში სამეურნეო და სამშენებლო სამუშაოებისას აღმოჩენილი ნივთების შესახებ იმ დროინდელ გაზეთებში („დროება“, „ივერია“ და ა.შ.).

საჩხერის ტერიტორია არქეოლოგების ყურადღების ქვეშ ჯერ კიდევ 1910 წელს **ექვთიმე თაყაიშვილის** დროს მოექცა, იგი 1910 წელს სამეცნიერო ექსპედიციის ფარგლებში საჩხერეში ჩამოდის. შემდეგი სამეცნიერო ექსპედიცის იყო **ბორის კუფტინის** 1949 წელს, **რ. აბრამიშვილის** ხელმძღვანელობით 1963-1964 წლებში, 1970-იანი წლებში მდინარე ყვირილის ზემო წელის არქეოლოგიურ კვლევაში აქტიურად ჩაება საქართველოს ხელოვნების მუზეუმი აკადემიკოს შ. ამირანაშვილის თაოსნობით მათ გათხარეს და გამოიკვლიეს მოდინახის ნამოსახლარი. ექსპედიციები გააგრძელა **გ. ფხაკაძის** ხელმძღვანელობით შექმნილმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1981-1987 წლებში და ბოლოს ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩენები საირხეში **ჯურხა ნადირაძის** ხელმძღვანელობით 1966 წელს და შემდგომ. ძირითადად სწორედ ამ ექსპედიციების დროს იქნა გამოვლენილი საჩხერის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური ძეგლები. არქეოლოგიური სამუშაოები დროდადრო კვლავ მიმდინარეობს საირხეში, ასევე საჩხერეზე ნავთობსადენის მილის გაყვანის დროს ე.წ. „ნავთობსადენის არქეოლოგიის“ მეშვეობით სოფელ კორბოულთან (გორაძირის მთა) გამოვლინდა ყორღანული სმარხების მთელი წყება.

საჩხერის ტერიტორიაზე მდებარე სოფლები, სადაც გამოვლენილია არქეოლოგიური ძეგლები შემდეგია: ნაჩერქეზევი, ცარციგორა, დუნთა, საირხე, პერევი, ტბეთი, ქვემო ქარძმანი, ქორეთი, საირხე, არგვეთი, დურევი, ჯალაურთა, გორძირი, ხვანი, წმანი (საქორია), და ა.შ.

დავით წერეთლის შემდეგ, როგორც ავღნიშნეთ საჩხერის არქეოლოგიურ ძეგლებს ყურადღება **ექვთიმე თყაიშვილმა** მიაქცია. იგი 1910 წელს იმყოფებოდა ქალაქ საჩხერეში, სოფელ ნაჩერქეზევში. მან მოინახულა შემთხვევითი

არქეოლოგიური აღმოჩენის ადგილი. ექვთიმემ მოახდინა ადგილის არქეოლოგიური დაზვერვა და შეუდგა გათხრებს. გაითხარა ყორღნული ტიპის სმარხები, რომელიც ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. ადგილზე აღმოჩენილ იქნა სპილენძისა დ ბრინჯაოს არტეფაქტები: სპილენძის ცული, სატევრის პირები, ქინძისთავები და სხვ. ექვთიმე თაყაიშვილის დასკვნით აღნიშნული ძეგლი წინ უსწრებს ყობანის კულტურისათვის დამახასიათებელ არქეოლოგიურ ძეგლებს. არქეოლოგიური სამუშაოების დროს აღმოჩენილი მასალები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებშია დაცული.

ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიური მუშაობა საჩხერეში, როგორც ჩანს ნახევრად დაზვერვით ხასიათს ატარებდა. ექვთიმეს შემდეგ მხარის არქეოლოგიით **ბორის კუფტინი** დაინტერესდა. იგი 1936 წელს ჩავიდა საჩხერეში და მოინახულა ის ადგილები, სადაც მან 1910 წელს გათხრები აწარმოა. 1939 წელს ბორის კუფტინი არქეოლოგიურ გათხრებს შეუდგა. იგი საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა, აწყობდა არქეოლოგიურ ექსპედიციებს. მისი განსაკუთრებული დაინტერესება ყვირილის ხეობის ზემო წელი იწვევდა. მან ყვირილის ხეობაში აღმოაჩინა არაერთი განვითარებული ბრინჯაოს ხანის ადამიანის ნამოსახლარები. კუფტინმა საჩხერის ექსპედიციის მასალების ერთი ნაწილის გამოცემა მოასწრო, მეორე ნაწილის შესწავლა დამუშავება კი მას აღარ დასცლდა (გარდაიცვალა).

ბორის კუფტინის შემდეგ საჩხერის არქეოლოგიური კვლევა ოთარ ჯაფარიძემ გააგრძელა. მისი ყურადღების ქვეშ ძირითადად ადრეული ხანის არქეოლოგიური ძეგლები ექცეოდა. მისი არქეოლოგიური მუშაობის შედეგად სოფელ საირხეში გამოვლენილ იქნა ენეოლითური პერიოდის ძეგლები, აგრეთვე ადრე და გვიან ბრინჯაოს ძეგლები.

საჩხერის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური ძეგლების ნამოსახლარები ხშირად რამდენიმე პერიოდის კოლექციებს შეიცავს, ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ეს

ადილები ადრეული ხანებიდანვე უწყვეტად იყო დასახლებული (ქორიძე; 1961: 3-4). საჩხერის არქეოლოგიური კოლექციები გამოირჩევა თავისი სინატიფითა და არქეოლოგიისათვის მეტად მნიშვნელოვანი მახასიათებლებით. ამიტომაც საჩხერის მუნიციპალიტეტის მიმართ არქეოლოგთა ყურადღება ყოველთვის დიდი იყო.

აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საჩხერის მუნიციპალიტეტი მეტად მდიდარია ლითონის წარმოების ადრეული ხანის ძეგლებით და კონკრეტული ეპოქის ესა თუ ის ნივთი არა ერთ და ორ ადგილშია აღმოჩენილი, არამედ რამდენიმე პუნქტში და ძირითადად ნივთები ერთმანეთის იდენტურია, რაც ადასტურებს იმას, რომ აქ კულტურის განვითარების ერთ წრესთან, ერთ საწარმოო რაიონთან გვაქვს საქმე. არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით აქ განვითარებული ყოფილა მესაქონლეობა, საქონელს იყენებდნენ გამწევ ძალადაც. განვითარების მაღალ დონეზეა აყვანილი მეტალურგია, რასაც ადასტურებს საბრძოლო თუ საიუველირო ნაკეთობათა ნაწარმი. ყველაფერი ეს საკმაოდ მაღალი გემოვნებითაა შესრულებული. ეს მიუთითებს იმაზე, რომ საჩხერის ტერიტორიაზე საკმაოდ მაღალი კულტურის მქონე საზოგადოებას უცხოვრია.

მაგალითისათვის გთავაზობთ საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე რამდენიმე ძეგლის აღწერილობას.

მოდინახის ნამოსახლარი და სამაროვანი. მოდინახის ნამოსახლარზე დაფიქსირებულია მტკვარ-არაქსული კულტურის მძლავრი ფენა. აქ ფეოდალური ციხის სამხრეთ ფერდობზე გამოვლენილი იქნა სამი კულტურული ფენა. აქედან მესამე ფენა დათარიღებულია ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით. მეორე ფენა ძვ. წ. VI-IV საუკუნეებით განისაზღვრება. ყველაზე მნიშვნელოვანი, ძველი ფენა, რომელიც მტკვარ-არაქსულ მასალებს შეიცავს არის პირველი ფენა, რომელიც ამ ორი ფენის ქვეშ მდებარეობს. ადგილზე აღმოჩნდა: კერამიკული ნაწარმი, ქვის, რქისა და ძვლისაგან დამზადებული იარაღები. კერამიკა წარმოდგენილია მოზრდილი

ცილინდრული ფორმის ორყურა ჭურჭელით, ქოთნებით, ჯამებით და ა.შ. ეს კერამიკა თავისი ფორმებით, დეკორით მტკვარ-არაქსულია. აღნიშნულ ადგილზე სულ 18 სამარხი გამოვლინდა (ბერიკაშვილი დ. გვ.16, თბ. 2006).

საირხე. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საჩხერის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ჯურხა ნადირაძე) 1966-1968 წლებში სამი სეზონის განმავლობაში, სოფელ საირხეში ვეშაპიძისა და საბადურის გორებზე გაითხარა ძვ. წ. I ათასწლეულის ნამოსახლარი, რომელიც შეიცავდა ელინისტური ხანის მატერიალური და მხატვრული კულტურის ნაშთებს, ხოლო ადგილ სახოველაში _ ლითონის საწარმოო უბანი, სადაც სამი სათავსოსაგან შემდგარი ნაგებობების ნაშთების ადგილას მოპოვებულ იქნა ფერადი ლითონის წარმოებასთან დაკავშირებული საგნები.

საირხეში სხვადასხვა ეპოქის მნიშვნელოვანი მასალების შესწავლით გამოითქვა მოსაზრება, რომ ძვ. წ. VI-I სს. საირხე იყო ზემო იმერეთის პოლიტიკური, სამეურნეო და რელიგიური ცენტრი. საირხე, რომლის არქაული სახელი სარიხედ იკითხებოდა, სოფლის ეკლესიის კედელში ჩატანებულ გვიანფეოდალური ხანის ერთ-ერთ საფლავის ქვაზე, ბერძენი ავტორის კლაუდიოს პტოლემაიოსის ,,გეოგრაფიაში'' დასახელებულ კოლხეთის ქალაქ სარეკეს შეესაბამება. ამ ვარაუდის მტკიცება ძნელია, მაგრამ 1982-86 წლებში მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლები ადასტურებენ, რომ იგი ძველი საქართველოს ერთერთი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო ანტიკურ-ელინისტურ ხანაში.

ახალი არქეოლოგიურ აღმოჩენათა პერსპექტივები. არქეოლოგიური გათხრების ჩატარება ყოველთვის რაიმე საფუძველს ემყარება, შემთხვევით, შეუსწავლელ ადგილებზე დაგეგმილი არქეოლოგიური გათხრები არ წარმოებს. არქეოლოგიურ გათხრებს ძირითდად საფუძვლად უდევს ხოლმე შემთხვევითი აღმოჩენები სამეურნეო თუ სამშენებლო სამუშაოების დროს. საარქეოლოგიო დაზვერვითი ჯგუფი, რომელიც აღმოჩენის ტერიტორიას შეისწავლის დებს დასკვნას,

ღირს თუ არა ამა თუ იმ კონკრეტული ადგილის გათხრა. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით წარმოვადგინოთ საჩხერის იმ ადგილთა ჩამონათვალი სადაც შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენები ხდება, აგრეთვე ის ტერიტორიები, რომლებიც ნასახლარ ადგილებს წარმოადგენენ და არქეოლოგიური კუთხით შესაძლოა საინტერესონი აღმოჩნდნენ. ეს ყველაფერი საშუალებას მოგვცემს წინასწარ განვსაზღვროთ არქეოლოგიურად პერსპექტიული, საინტერესო ადგილები და გათხრების შემთხვევაში არქეოლოგს ქონდეს აღნუსხულ ადგილთა სია, რაც მუშაობას დიდად გაუადვილებს.

როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, საჩხერის ტერიტორიაზე XIX საუკუნეში შემთხვევით აღმოჩენებზე მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის დავით წერეთელი. იგი ერთ-ერთი აღმოჩენის შესახებ საჩხერის ახლოს მდებარე ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე აკეთებს აღწერილობას, რაც აგრეთვე ცნობას გვაძლევს კონკრეტული ადგილის შესახებ: ,,როდესაც ზაბახიძემ ციხის მახლობლად სახლის შენება დაიწყო და საფუძველი გაუთხარა, აღმოჩნდა სასაფლაოები, დაუწყია თხრა და ამოუყრია მკვდრების ძვლები სხვა და სხვა განძით.

ერთ-ერთი მკვდარი ნახა გვირგვინით დამარხული; გვირგვინი დაამტვრია გაუფრთხილებლობით თოხით ამოღების დროს. ზაბახიძემ დაიწყო ჩუმად ოქროების ყიდვა ვაჭრებთან სომეხ და ურიებთან. ერთხელ ზაბახიძეს შვილი გაუხდა ავად. შეშინებულმა შესწირა მკითხავის რჩევით ეკლესიას კვირაცხოვლისას ს. დუნთას ერთი ვგონებ საყვირი იყო დამტვრეული, წინწილი, საჟღარუნებელი ერთი მეორეზე. თვალი ამოვარდნილია გვირგვინიდან. ბრწყინვალე ქვა ცერის ბრჩხილის სიმრგვლეზე მეტია, ალმასი არ არის და სხვა რომელ ძვირფას ქვას ეკუთვნის არ ვიცი. შიგნიდან მოჩანს დახატული სამი მეფე გვირგვინებით (უნდა იყოს რომის მეფეები, როდესაც სამნი ერთად მეფობდნენ). საშუალო მეფე პირდაპირ იყურება და მარჯვნივ და მარცხნივ მეფეები მას შესცქერიან. სამივეს თავ-თავის სახელები უწერიათ ქვეშ. ბერძნულად თუ ლათინური ასოებით, როგორც მახსოვს წავიკითხე მე ლათინურის ასოების

მიმგზავსებით ერთზე სახელი DANIN, ორივე მხრიდან ერთნაირად იკითხება ნახატიც და ნაწერიც“ („დროება“, ნომერი 37, 2-3 გვ. 1875 წ.).

1875 წელსვე დავით წერეთელი დროების 126-ე ნომერში წერს: „მაქსიმე ზაბახიძე შეშინებულა და ერთი ჩინოვნიკისთვის ბეჭედი გადაუცია და ოქროს მონეტები. როგორც ნაწერიდან ჩანს, იულიუს კეისრის დროს მოჭრილი ფული არისო და ეხლა ეს ოქროები გადაუცია ქუთაისის გიმნაზიის ლათინური ენის მასწავლებლისათვის ნაწერის წასაკითხავად“.

დავით წერეთლის მონათხრობის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს გვირგვინი ეკუთვნოდა ადგილობრივ ხელისუფალს, რომელიც რომის იმპერიის პერიოდში მოღვაწეობდა, შეიძლება იმის ვარაუდიც, რომ ეს პიროვნება პირველ ან მეორე ტრიუმვირატის მმართველობის დროს რომში (პირველი ტრიუმვირატი ძვ. წ. 60 წელი - იულიუს კეისარი, მარკუს კრასუსი და გნეუს პომპეუს მაგნუსი. მეორე ტრიუმვირატი ძვ. წ. 43 წელს - ოქტავიანე ავგუსტუსი, მარკუს ანტონიუსი და მარკუს ემილიუს ლეპიდუსი), იყო ადგილობრივი ხელისუფალი. ეს პერიოდი ემთხვევა ანტიკურ ხანას (ძვ. წ. VIII – ჩვ. წ. V საუკუნის შუა წლები) და შესაძლოა ნამოსახლარიც (სასაფლაო ადგილი) საირხის არქეოლოგიური ძეგლის თანადროული იყოს და ვინაიდან აქ საუბარია აღმოჩენილ გვირგვინზე შესაძლოა ანტიკურ ხანაში, საირხისაც და სხვა ამ ტერიტორიების მმართველიც ამ გვირგვინის პატრონი ყოფილიყო, რომელიც საჩხერის განაპირა ფერდობიდან მართავდა თვის საგანმგებლოს. რომლიდან 1 კილომეტრში მდებარეობს საირხის ნაქალაქარიც.

ქვემოთ გთავაზობთ შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების ადგილმდებარეობათა სიას. აგრეთვე რამდენიმე ობიექტის მცირედ არქეოლოგიურ აღწერილობას.

დურევი. სოფელ დურევში, რომელსაც ამჟამად სოფლის სტატუსი არა აქვს, მდებარეობს ადგილი **ნადარბზევი**, რომელიც ნაგებობათა კომპლექსი უნდა

ყოფილიყო. დაახლოებით 3 ჰექტარზე გადაჭიმული ეს ტერიტორია ქვის გალავნით უნდა ყოფილიყო შემოსაზღვრული, რასაც ადგილ-ადგილ შემორჩენილი სწორხაზოვანი ნაშთები მიგვანიშნებენ. გალავნის შიგნით მდებარეობს ე.წ. თამარის წყარო, რომლიდანაც სარწყავი მილის გაყვანისას ადგილობრივებმა აღმოაჩინეს კერმიკის ძველი მილები, რომელიც ნაგებობათა კომპლექსისაკენ მიდის. კომპლექსში შედის ძველი ციხე-კოშკის ნანგრევებიც, სავარაუდოთ აქვე უნდა ყოფილიყო ეკლესიაც, ადგილ-ადგილ შეინიშნება ძველ შენობათა ნანგრევების ნაშთები. აღნიშნულ ტერიტორიის ნაწილს ადგილობრივები სამიწათმოქმედო მეურნეობისათვის იყენებენ, რომლის დროსაც მათ აღმოაჩინეს სხვადასხვა ნივთები: ფაიფურის ნატეხები, კერამიკის სხვადასხვა სახის ნაწარმი, აგრეთვე რკინის წიდები, რომელიც აქ სამჭედლოს, ლითონის გადამამუშავებელ ადგილზე მიუთითებს. აღნიშნული კომპლექსი არქეოლოგიურად შესწავლილი არაა.

ძველი იცქისი. ისევე, როგორც დურევი, ძველი იცქისიც ნასოფლარს წარმოადგენს, დურევისაგან განსხვავებით იცქისის ნასოფლარობა ეკოლოგიური კატასტროფითაა გმოწვეული. ადგილზე აღმოჩენილია ბრინჯაოს ხანის ნივთები. ძველი იცქისის ტერიტორიაზე ფართო არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარებული არაა, მაშინ როდესაც იცქისის ციხის ქვეშ მდებარეობს სავანის კვარცის სილის კარიერი და ციხე ნელ-ნელა ინგრევა. მოცემულ შემთხვევაში, როდესაც სოფელს მეწყერისაგან სრული დნგრევა ელოდება და აგრეთვე სილის კარიერად იქცევა, აღნიშნული ძეგლები სასწრაფო შესწავლას საჭიროებენ.

წმანი. ადგილი საქორია. გაუქმებულ სოფელს წარმოადგენს აგრეთვე სოფელი წმანი, რომელზეც უძველესი ქართლ-იმერეთის დამაკავშირებელი საქარავნო გზა გადადიოდა. ადგილ საქორიაზე მრავლადაა ნანგრევები, მწყემსები, რომლებიც ამ ადგილებზე ხშირად აწყდებიან ადამიანებს, რომლებიც თვითნებურად თხრიან და რაღაცას ეძებენ.

არქეოლოგიური გათხრების მხრივ პერსპექტიულია სხვა ძეგლებიც: სოფელ **ხვანის** ნამოსახლარის შენობათა კომპლექსი (ზემო ხვანი) სადაც ადგილობრივების თქმით რაღაც ჯგუფმა ლითონის დეტექტორის გამოყენებით ოქროს დიდ რაოდენობას მიაკვლია, **შალაურში** მდებარე ადგილი **აკვანეთა,** სადაც მოსახლეობის განცხადებით ნანგრევების კომპლექსის თავზე (აქვეა დანგრეული ბაზილიკა) რამდენიმე აკლდამა აღმოუჩენიათ. ნასახლარები სოფელ **ჭურნალში,** სოფელ **დარყაში** მდებარე **ჭაბუკმთაზე** და ა.შ.

თავი VI

ისტორიული დემოგრაფია

საჩხერის მუნიციპალიტეტის ისტორიული დემოგრაფიის კვლევა, ძველი მასალების არ არსებობის გამო, დაზუსტებით მხოლოდ XIX საუკუნეშია შესაძლებელი. 1886 წლიდან რუსეთის იმპერიაში და შემდგომ XX საუკუნეში სსრკ-ში დაიწყო პერიოდული დემოგრაფიული აღწერები. აღწერები ინფორმაციას გვაწვდის საჩხერის სხვადასხვა სოფელის მოსახლეობის რაოდენობაზე, ეთნიკურ და რელიგიურ შედგენილობაზე და სხვ.

ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა საჩხერის მუნიციპალიტეტის ისსტორიული სოფლები, რომლის დროსაც გამოვლენილ იქნა 60-მდე გაუქმებული სოფელი, რაც დიდი დემოგრაფიული კატასტროფის მაჩვენებელია საჩხერის რაიონში. თითქმის სულ დაცლილია საჩხერის აღმოსავლეთი ნაწილი და ჩრდილოეთის ცენტრალური ტერიტორიები, სოფლების უდიდესი ნაწილი მოსახლეობითურთ საერთოდ გამქრალია, ადგილები კი ძირითადად გაუკაცრიელებული. 60 სოფელში თითოეულში 100 მოსახლეც რომ ვივარაუდოთ წარმოდგენას შეგვიქმნის იმაზე, თუ რაოდენ დიდ დემოგრაფიულ კატასტროფასთან გვაქვს საქმე. ჩვენს მიერ შედგენილ ისტორიულ რუკაზე თუ კი მუნიციპალიტეტის ტერიტორია ძალზედ მჭიდროდაა დასახლებული, დღეისათვის იგი ძალზედ მეჩხერად გამოიყურება, სოფლების რაოდენობა ფაქტიურად განახევრებულია. აქ, რა თქმა უნდა, უნდა ვიგულისხმოთ ისიც, რომ შესაბამისად განახევრებულია საჩხერის მოსახლეობაც. ამ მოვლენების ისტორიულ განვითარებაზე

და მიზეზებზე ჩვენ პოლიტიკურ გეოგრაფიაში ვისაუბრებთ, აქ კი უშუალოდ დემოგრაფიულ სტატისტიკურ მაჩვენებლებებზე შევჩერდებით.

დაბა საჩხერის მოსახლეობაზე, მის ეროვნულ და სარწმუნოებრივ შედგენილობაზე საყურადღებო ცნობებს ვიღებთ 1886 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სტატისტიკური მონაცემებიდან. 1886 წლისათვის საჩხერეში 235 კომლი (ოჯახი) ცხოვრობდა, მოსახლეობის საერთო რაოდენობა კი 1.183 კაცს შეადგენდა (630 კაცი, 533 ქალი). დაბის მოსახლეობის უმრავლესობას ამ დროისათვის ებრაელები წარმოადგენდნენ _ 668 კაცი, შემდეგ სომხები _ 294, ქართველები _ 221. ეროვნული მაჩვენებლების რიცხოვნობის იდენტურია სარწმუნოებრივი შეამადგენლობაც. აღწერაში ცალკეა გამოყოფილი საზოგადოების სოციალური შედგენილობა, რომლის მიხედვითაც დაბაში 114 თავადი ცხოვრობს, სასულიერო წოდების 17. ადგილზე აღწერილია სხვადასხვა დანიშულების 219 შენობა-ნაგებობა და 158 ცხენი.

შედარებისათვის მოვიყვანოთ 1926 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებიც. დაბაში სულ 2.757 კაცი ცხოვრობს, ქართველი _ 1.298, ებრაელი _ 983, შემდეგ გრაფაში მოცემულია სხვა არაქართველ მოსახლეთა რაოდენობა _ 476 კაცი, რომელთაგან ჩვენი ვარაუდით აბსოლიტური უმრავლესობა სომეხი ეროვნების მოქალაქენი უნდა იყვნენ.

არგვეთი. სოფელ არგვეთში ამ დროისათვის 174 კომლი ოჯახი ცხოვრობს. აქედან 649 კაცი, ქალი 566, საერთო რაოდენობა შეადგენს 1215 მოსახლეს. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ეროვნებით ქართველი და მართლმადიდებელი ქრისტიანია. აქ სახლობს 211 თავადი, 12 სასულიერო წოდებიდან. სოფელში სულ 148 შენობა ნაგებობაა აღრიცხული. ასევე 23 ცხენი, 268 ხარი, 134 საზიდარი (ძირითადად ალბათ ურემი).

1926 წლის აღწერით: კომლი - 226, მთლიანი მოსახლეობა - 1191, ქართველი - 1179, სხვა ეროვნების - 12.

დარყა. კომლი - 70; კაცი - 271; ქალი - 253; საერთო რაოდენობა 524. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. დარყაში არც ერთი თავადი არ ცხოვრობს, სასულიერო წოდებიდან - 5 კაცია აღრიცხული. ადგილზე 72 სახლია, ცხენი - 23, 114 ხარი და 57 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 64, მთლიანი მოსახლეობა - 386, მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობა ქართველი.

დურევი. კომლი - 56; კაცი - 209; ქალი - 206; საერთო რაოდენობა 415. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. დურევში არც ერთი თავადი არ ცხოვრობს, არც სასულიერო წოდებიდან არის ვინმე აღრიცხული. ადგილზე 62 სახლია, ცხენი - 15, 112 ხარი და 56 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 89, მთლიანი მოსახლეობა - 421, მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობა ქართველი.

იტავაზა. კომლი - 41; კაცი - 177; ქალი - 115; საერთო რაოდენობა 292. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. იტავაზაში არც ერთი თავადი არ ცხოვრობს, არც სასულიერო წოდებიდან არის ვინმე აღრიცხული. ადგილზე 42 სახლია, ცხენი - 6, 78 ხარი და 39 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 87, მთლიანი მოსახლეობა - 480, მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობა ქართველი.

იცქისი. კომლი - 21; კაცი - 84; ქალი - 87; საერთო რაოდენობა 171. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. იცქისში არც ერთი თავადი არ ცხოვრობს, არც სასულიერო წოდებიდან არის ვინმე აღრიცხული. ადგილზე 20 სახლია, ცხენი - 1, 38 ხარი და 19 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 44, მთლიანი მოსახლეობა - 231, ქართველი - 230, სხვა ეროვნების - 1.

მახათაური. კომლი - 72; კაცი - 271; ქალი - 243; საერთო რაოდენობა 514. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. მახათაურში არც ერთი თავადი არ ცხოვრობს, არც სასულიერო წოდებიდან არის ვინმე აღრიცხული. ადგილზე 77 სახლია, ცხენი - 4, 132 ხარი და 66 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 125, მთლიანი მოსახლეობა - 672, ქართველი - 671, სხვა ეროვნების - 1.

სავანე.კომლი - 137; კაცი - 440; ქალი - 402; საერთო რაოდენობა 842. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია.თავადი 144, სასულიერო წოდებიდან არავინ არაა აღრიცხული. ადგილზე 119 სახლია, ცხენი - 15, 194 ხარი და 97 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 221, მთლიანი მოსახლეობა - 1166, ქართველი - 1153, სხვა ეროვნების - 13.

სპეთი. კომლი - 102; კაცი - 379; ქალი - 339; საერთო რაოდენობა 718. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. სპეთში არცერთი თავადი არ ცხოვრობს, არც სასულიერო წოდებიდან არის ვინმე აღრიცხული. ადგილზე 188 სახლია, ცხენი - 23, 204 ხარი და 102 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 195, მთლიანი მოსახლეობა - 1026, ქართველი - 1013, სხვა ეროვნების - 13.

ცხამი. კომლი - 51; კაცი - 257; ქალი - 210; საერთო რაოდენობა 467. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. ცხამში არცერთი თავადი არ ცხოვრობს, სასულიერო წოდებიდან - 4. ადგილზე 55 სახლია, ცხენი - 26, 110 ხარი და 55 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 109, მთლიანი მოსახლეობა - 619. . მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

შალაური. კომლი - 54; კაცი - 170; ქალი - 167; საერთო რაოდენობა 337. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. თავადი - 22, სასულიერო წოდებიდან არავინ არაა აღრიცხული. ადგილზე 50 სახლია, ცხენი - 5, 90 ხარი და 40 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 72, მთლიანი მოსახლეობა - 357. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

ეთო. კომლი - 30; კაცი - 102; ქალი - 75; საერთო რაოდენობა 177. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. ეთოში თავადი არ ცხოვრობს, არც სასულიერო წოდებიდან არის ვინმე აღრიცხული. ადგილზე 33 სახლია, ცხენი - 1, 54 ხარი და 27 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 46, მთლიანი მოსახლეობა - 191. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

ეხვევი. კომლი - 28; კაცი - 86; ქალი - 80; საერთო რაოდენობა 166. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. ეხვევში თავადი არ ცხოვრობს, არც სასულიერო წოდებიდან არის ვინმე აღრიცხული. ადგილზე 30 სახლია, ცხენი - 2, 44 ხარი და 22 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 31, მთლიანი მოსახლეობა - 149. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

ჯალაურთა. კომლი - 150; კაცი - 581; ქალი - 508; საერთო რაოდენობა 1089. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. თავადი და აზნაური- 38, სასულიერო წოდებიდან - 25. ადგილზე 164 სახლია, ცხენი - 48, 398 ხარი და 198 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 66, მთლიანი მოსახლეობა - 398. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

კორბოული. კომლი - 471; კაცი - 2124; ქალი - 1874; საერთო რაოდენობა 3998. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. თავადი და აზნაური - 39, სასულიერო წოდებიდან - 12. ადგილზე 539 სახლია, ცხენი - 195, 1014 ხარი და 701 საზიდარი.

მოძვი. კომლი - 75; კაცი - 341; ქალი - 308; საერთო რაოდენობა 649. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. თავადი და აზნაური - 19, სასულიერო წოდებიდან არავინ არაა აღრიცხული. ადგილზე 75 სახლია, ცხენი - 35, 232 ხარი და 116 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 122, მთლიანი მოსახლეობა - 631. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

ჩონთო. კომლი - 19; კაცი - 91; ქალი - 86; საერთო რაოდენობა 177. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. ჩონთოში თავადი არ ცხოვრობს, არც სასულიერო წოდებიდან არის ვინმე აღრიცხული. ადგილზე 102 სახლია, ცხენი - 40, 240 ხარი და 130 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 142, მთლიანი მოსახლეობა - 634. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

ღოდორა. კომლი - 67; კაცი - 316; ქალი - 269; საერთო რაოდენობა 585. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. ღოდორაში თავადი არ ცხოვრობს, არც სასულიერო წოდებიდან არის ვინმე აღრიცხული. ადგილზე 55 სახლია, ცხენი - 32, 158 ხარი და 79 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 81, მთლიანი მოსახლეობა - 462. ქართველი - 460, სხვა ეროვნების - 2.

ლიჩი. კომლი - 168; კაცი - 638; ქალი - 548; საერთო რაოდენობა 1186. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. ლიჩში თავადისა და აზნაურის წოდებიდან არავინ არ ცხოვრობს, სასულიერო წოდებიდან - 12. ადგილზე 171 სახლია, ცხენი - 64, 198 ხარი და 99 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 252, მთლიანი მოსახლეობა - 1129. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

ხვანი. კომლი - 33; კაცი - 138; ქალი - 123; საერთო რაოდენობა 261. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. ხვანში თავადისა და აზნაურის წოდებიდან არავინ არ ცხოვრობს, სასულიერო წოდებიდან - 16. ადგილზე 50 სახლია, ცხენი - 14, 90 ხარი და 45 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 78, მთლიანი მოსახლეობა - 408. ქართველი - 407, სხვა ეროვნების - 1.

წმანი. კომლი - 30; კაცი - 178; ქალი - 156; საერთო რაოდენობა 334. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. წმანში თავადი არ ცხოვრობს, არც სასულიერო წოდებიდან არის ვინმე აღრიცხული. ადგილზე 43 სახლია, ცხენი - 28, 96 ხარი და 48 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 79, მთლიანი მოსახლეობა - 415. ქართველი - 413, სხვა ეროვნების - 2.

ჭალოვანი. კომლი - 63; კაცი - 394; ქალი - 346; საერთო რაოდენობა 740. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. ჭალოვანში თავადი არ ცხოვრობს, არც სასულიერო წოდებიდან არის ვინმე აღრიცხული. ადგილზე 72 სახლია, ცხენი - 47, 164 ხარი და 82 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 129, მთლიანი მოსახლეობა - 829. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

ბაჯითი. კომლი - 82; კაცი - 306; ქალი - 274; საერთო რაოდენობა 580. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. თავადი - 18, სასულიერო წოდებიდან - 18. ადგილზე 72 სახლია, ცხენი - 17, 50 ხარი და 43 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 153, მთლიანი მოსახლეობა - 849. ქართველი - 843, სხვა ეროვნების - 6.

დუნთა. კომლი - 48; კაცი - 156; ქალი - 119; საერთო რაოდენობა 275. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. დუნთაში თავადი არ ცხოვრობს, არც სასულიერო წოდებიდან არის ვინმე აღრიცხული. ადგილზე 49 სახლია, ცხენი - 1, 36 ხარი და 35 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 99, მთლიანი მოსახლეობა - 539. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

ქვემოხევი. კომლი - 10; კაცი - 60; ქალი - 59; საერთო რაოდენობა 119. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. ქვემოხევში თავადი არ ცხოვრობს, არც სასულიერო წოდებიდან არის ვინმე აღრიცხული. ადგილზე 10 სახლია, ცხენი - 3, 9 ხარი და 9 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 25, მთლიანი მოსახლეობა - 164. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

მოხვა. კომლი - 64; კაცი - 300; ქალი - 283; საერთო რაოდენობა 583. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია.თავადი და აზნაური არ ცხოვრობს, სასულიერო წოდებიდან - 21. ადგილზე 65 სახლია, ცხენი - 15, 32 ხარი და 32 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 114, მთლიანი მოსახლეობა - 669. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

ნაჩერქეზევი. კომლი - 4; კაცი - 16; ქალი - 9; საერთო რაოდენობა 25. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. თავადი და აზნაური - 10, სასულიერო წოდებიდან არავინ არაა აღრიცხული. ადგილზე 2 სახლია, ცხენი - არაა აღრიცხული, 2 ხარი და 2 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 17, მთლიანი მოსახლეობა - 90. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

ორღული. კომლი - 84; კაცი - 300; ქალი - 290; საერთო რაოდენობა590. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. თავადი და აზნაური - 76, სასულიერო წოდებიდან არავინ არაა აღრიცხული. ადგილზე 76 სახლია, ცხენი - 5, 71 ხარი და 71 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 172, მთლიანი მოსახლეობა - 915. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

სარეკი. კომლი - 141; კაცი - 534; ქალი - 519; საერთო რაოდენობა 1053. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. თავადი და აზნაური არ სახლობს, სასულიერო წოდებიდან - 15. ადგილზე 141 სახლია, ცხენი - 19, 144 ხარი და 144 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 238, მთლიანი მოსახლეობა - 1201. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

სხვიტორი. კომლი - 64; კაცი - 272; ქალი - 257; საერთო რაოდენობა 529. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. თავადი და აზნაური არ სახლობს, სასულიერო წოდებიდან - 25. ადგილზე 55 სახლია, ცხენი - 6, 49 ხარი და 48 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 146, მთლიანი მოსახლეობა - 792. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

თედელეთი. კომლი - 28; კაცი - 110; ქალი - 117; საერთო რაოდენობა 227. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ოსები, რომელთაგან ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანია. თედელეთში თავადი არ ცხოვრობს, არც სასულიერო წოდებიდან არის ვინმე აღრიცხული. ადგილზე 25 სახლია, ცხენი - 17, 28 ხარი და 28 საზიდარი.

ჭალა. კომლი - 194; კაცი - 625; ქალი - 564; საერთო რაოდენობა 1189. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. თავადი და აზნაური - 378, სასულიერო წოდებიდან არავინ არაა აღრიცხული. ადგილზე 126 სახლია, 29 - ცხენი, 81 ხარი და 81 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 90, მთლიანი მოსახლეობა - 401. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

ჩიხა. კომლი - 133; კაცი - 447; ქალი - 415; საერთო რაოდენობა 862. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. თავადი და აზნაური - 33, სასულიერო წოდებიდან - 94. ადგილზე 115 სახლია, 6 - ცხენი, 104 ხარი და 98 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 245, მთლიანი მოსახლეობა - 1284. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

გორისა. კომლი - 105; კაცი - 422; ქალი - 408; საერთორაოდენობა830. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. თავადი და აზნაური - 72, სასულიერო წოდებიდან - 19. ადგილზე 89 სახლია, 23 - ცხენი, 119 ხარიდა 56 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 173, მთლიანი მოსახლეობა - 816. ქართველი - 815, სხვა ეროვნების - 1.

ივანწმინდა. კომლი - 45; კაცი - 192; ქალი - 166; საერთო რაოდენობა 358. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია.

თავადი და აზნაური - 103, სასულიერო წოდებიდან - 11. ადგილზე 20 სახლია, ცხენი არ ყავთ, 65 ხარი და 30 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 62, მთლიანი მოსახლეობა - 339. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

კალვათა. კომლი - 29; კაცი - 116; ქალი - 126; საერთო რაოდენობა 242. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. თავადი და აზნაური - 35, სასულიერო წოდებიდან არავინ არაა აღრიცხული.. ადგილზე 24 სახლია, 9 - ცხენი, 68 ხარი და 17 საზიდარი (1926 წლის აღწერაში აღარ ფიგურირებს).

ქორეთი. კომლი - 172; კაცი - 616; ქალი - 551; საერთო რაოდენობა 1167. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. თავადი და აზნაური - 27, სასულიერო წოდებიდან - 6. ადგილზე 166 სახლია, 33 - ცხენი, 280 ხარი და 140 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 259, მთლიანი მოსახლეობა - 1256. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

მერჯევი. კომლი - 133; კაცი - 512; ქალი - 440; საერთო რაოდენობა 952. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. თავადი და აზნაური არაა აღრიცხული. სასულიერო წოდებიდან - 5. ადგილზე 128 სახლია, 38 - ცხენი, 189 ხარი და 67 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 265, მთლიანი მოსახლეობა - 1385. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

პასიეთი. კომლი - 1; კაცი - 2; ქალი - 2; საერთო რაოდენობა 4. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია.

1926 წლის აღწერით: კომლი - 7, მთლიანი მოსახლეობა - 38. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

საირხე. კომლი - 121; კაცი - 462; ქალი - 397; საერთო რაოდენობა 859. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. თავადი და აზნაური - 103. სასულიერო წოდებიდან - 20. ადგილზე 95 სახლია, 7 - ცხენი, 180 ხარი და 50 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 220, მთლიანი მოსახლეობა - 1187. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

ჭორვილა. კომლი - 162; კაცი - 571; ქალი - 482; საერთო რაოდენობა 1053. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანია. თავადი და აზნაური - 196. სასულიერო წოდებიდან - 11. ადგილზე 123 სახლია, 30 - ცხენი, 160 ხარი და 80 საზიდარი.

1926 წლის აღწერით: კომლი - 223, მთლიანი მოსახლეობა - 1059. მოსახლეობის სრული უმრავლესობა ქართველია.

1926 წლის აღწერით საჩხერის შიდა ადმინისტრაციულ დაყოფვაში ცვლილებებია და გაჩნდნენ რიგი სოფლის სტატუსის მქონე დასახლებები, რომელიც ადრეც არსებობდნენ მაგრამ სტატუსი არ ჰქონდათ: ბახიოთი, ოტრია, ურუნა, ძირი, ჯვარი, გოგოლაძეები, კაპანაძეები, მაჭარაშვილები, ნიგვზარა, სისვაძეები, შომახეთი, კვერეთი, უზუნთა, ცხომარეთი, ყვიჩორი, დავაეთი, დრბო, პერევი, საკოხია, ღონა. ორად (ზემო და ქვემო) გაიყო: ჭალვანი და ლიჩი. აგრეთვე 1886 წელთან შედარებით შეცვლილია მუნიციპალიტეტის საზღვრებიც, მასში აღარ შედის თედელეთი, რომელიც ადრინდელ აღწერაში იხსენიება. თედელეთთან ერთად საჩხერეს ჩამოაშორეს რიგი სოფლები: ქარძმანი, წოისი, ჯალაბეთი, სინაგური, ხახიეთი, ფათკუჯინა, ხაფალგომი და სხვ. იმის გამო, რომ აქ ოსი მოსახლეობა ჩამოესახლა და უმრავლესობაში მოვიდნენ უმეტეს ადგილებში, ეს სოფლები არასამართლიანად, ხელოვნურად მიაკუთვნეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ ოლქს.

თავი VII

ეთნიკურ-რელიგიური შედგენილობა

საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ისტორიულ წარსულში ძირითად მოსახლეობას ყოველთვის ქართველები წარმოადგენდნენ. მცირე ეთნიკური ჯგუფები XVIII საუკუნემდე მხოლოდ საქალაქო პუნქტში გვხვდებიან. აქ ძირითადად სახლობდნენ ებრაელები და ეწეოდნენ ვაჭრობას. შედარებით გვიან ჩნდებიან სომხები.

საჩხერის ტერიტორიაზე გვიან ფეოდალურ ხანაში ორი საქალაქო პუნქტი უნდა ყოფილიყო. XVI საუკუნემდე ასეთად უნდა ვივარაუდოთ თანამედროვე სოფელ სავანის მიმდებარე ტერიტორია, უფრო გვიანდელი კი დაბა საჩხერეში. როგორც ჩვენს ხელთ არსებული წყაროებიდან ირკვევა თავდაპირველად ებრაელები აბაშიძეების სათავადო სახლის ყმები უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო შემდეგ წერეთლების მიერ საქალაქო დასახლებად ქცეულ საჩხერეში უნდა გადასულიყვნენ, როდესაც წერეთლები აბაშიძეებს მამულების დიდ ნაწილს ართმევენ და მხარეში ყველაზე დიდ ფეოდალურ სახლად იქცევიან. ამ ვარაუდის საშუალებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ ისევე როგორც საჩხერეში, სავანეშიც ერთმანეთის გვერდითაა ძველი სინაგოგის ნანგრევები და ეკლესიები. ებრაელები როგორც ცნობილია, ძველად ისეთ პუნქტებში სახლობდნენ, სადაც საქალაქო ცხოვრება განვითარებული იყო, რადგან მათ ძირითად საქმიანობას ვაჭრობა წარმოადგენდა. სავანის დაწინაურებულ მდგომარეობაზე ძველად (ერთიანი საქართველოს დაშლამდე) მიუთითებს ისიც, რომ სწორედ აქაა აშენებული ყველაზე უფრო დიდი, არქიტექტურულად დახვეწილი ნატიფი ნაგებობები. ესენია წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია, და მეორე – გუმბათოვანი ეკლესია, რომელიც საჩხერეში ამ პერიოდისათვის ერთადერთ გუმბათოვან ნაგებობას წარმოადგენს. ამასთანავე აღნიშნული ადგილი მდებარეობს საჩხერეზე გამავალ ერთ–

ერთ საერთაშორისო გზის მონაკვეთთან ახლოს (მდ ყვირილის მარცხენა სანაპირო) ვაკე ადგილი, მდინარის პირი, საერთაშორისო გზა, მართლაც რომ ხელსაყრელი ადგილი იქნებოდა აქ საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის. შემდეგში საჩხერის დაწინაურებლობა განაპირობა პოლიტიკურმა ფაქტორმა, იმან, რომ საჩხერე ხელში იგდეს წერეთლებმა და დიდად შეავიწროვეს საბაშიძეო. ერთ გეოგრაფიულ არეალში ერთმანეთის მოსაზღვრე ორი ქალაქი სავაჭრო–სახელოსნო პუნქტებად ძველ საქართველოში ვერ იარსებებდნენ, ამიტომ წერეთლების გაძლიერებამ საჩხერის დაწინაურება გამოიწვია, სავანე კი დაამცრო.

სოფელ არგვეთში, სავანესთან ახლოს სააგურე თიხის დიდი მარაგები დღესაცაა, უწინ ისტორიულ პერიოდში, გადმოცემით სომხები სავანეში ცხოვრებულან და ამ კერამიკული თიხის საბადოს ამუშავებდნენ და აგურს აწარმოებდნენ. გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, ჩვენ საჩხერეზე ადრეულ ქალაქად სავანის ტერიტორია მიგვაჩნია. საჩხერის ებრაელებსა და სომხებზე მასალები უხვად გვაქვს XIX საუკუნიდან.

ისევე როგორც XIX საუკუნის საქართველოს თითქმის ყველა საქალაქო პუნქტი, დაბა საჩხერეც მულტიკულტურულ დასახლებას წარმოადგენდა, სადაც ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანად თანაცხოვრობდა სამი ძირითადი ეთნიკური ჯგუფი: ქართველები, ებრაელები და სომხები.

სომხური და ებრაული ეთნიკური ჯგუფების არსებობას დაბა საჩხერეში ადასტურებს XVIII საუკუნის ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი თავის ნაშრომში ,,აღწერა სამეფოსა საქართველოისა”: ,,კუალად ჯრუჭის შესართავს ზეით, ყვირილის სამხრით კიდეზედ, არს საჩხერე. მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი (ებრაელები _ ვ.კ.) ვაჭრნი და ვაჭრობენ” (ბაგრატიონი; 1973: 760).

სომხები აქ XVIII საუკუნეში სოლომონ I-მა დაასახლა ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარების მიზნით. დაბა საჩხერეში მცირე რაოდენობით

ჩასახლებული სომხები XIX საუკუნიდან რუსეთის მთავრობის კოლონიალური პოლიტიკის საყრდენად იქცნენ, ზოგიერთი ეთნიკურად ქართველი ადგილობრივი მოსახლე მრავალგვარი შეღავათების დაპირებით სომხური წესით მონათლეს, რჯულის შეცვლის გამო მათ სომხებად მოიხსენიებდნენ, თუმცა ადგილობრივების წილი გასომხებულებში მეტად მცირე იყო, რადგან სიდუხჭირის მიუხედავად ადგილობრივებს ეთაკილებოდათ რჯულის შეცვლა და გასომხება. უმთავრესი მიზეზი რის გამოც ქართველები სომხურად ეწერებოდნენ თავისუფალი ვაჭრობის საშუალება იყო, ვაჭრობა ამ დროს თითქმის მთლიანად სომხებისა და ებრაელების ხელშია. საჩხერელი სომხების ეკონომიკურმა წარმატებამ მოიზიდა სხვადასხვა ქართული რაიონების სომხური მოსახლეობის ნაწილი და ისინი ნელ-ნელა დაბაში დამკვიდრდნენ და დაესახლნენ. მათ შორის ძირითადად გრიგორიანულად მონათლული ქართველები იყვნენ. ამგვარად შეიქმნა სომხური კომპაქტური დასახლება დაბა საჩხერეში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველად, საქართველოში, უმეტეს შემთხვევაში სარწმუნეობა ეროვნებასთან იყო გათანაბრებული, შესაბამისად გრიგორიანულად მონათლული საჩხერლები სომხებად იწოდებოდნენ, ისევე როგორც სამცხე-ჯავახეთის ეთნიკურად ქართველი, კათოლიკე მოსახლეობა – ფრანგად. დემოგრაფიული პროცესის ამგვარ განვითარებას ცხადყოფს საჩხერის მუნიციპალური არქივის საკომლო აღწერები. გრიგორიანული წესით მონათლული ქართველი სომხურ გვარს კი არ იღებდა არამედ იცვლებოდა გვარის ბოლოსართი (მაგ. ძე-სა და შვილზე დაბოლოებები იცვლებოდა–ოვით), იყო შემთხვევები როდესაც ტერტერა (სომეხი სასულიერო პირი) მათ გრიგორიანული წესით მონათვლის შემდგომ სრულიად ახალი სომხური გვარით წერდა. სომეხად ჩაწერილი გვარების სემანტიკურ შედგენილობაში მეტ-ნაკლები სიზუსტით იკვეთება სომხური და ქართული ფუძეები და ისიც თუ რა რაოდენობის საჩხერელი გვარი დაეწერა სომეხად და რა რაოდენობის იყო აქ სხვა რაიონებიდან მოსული გრიგორიანელი ქართველი, გვარების სემანტიკის

გარდა ეთნიკური სომხობა თუ ქართველობა კარგად ჩანს აქ დასახელებული პიროვნებების წინაპრების სახელებშიც. სწორედ ამიტომ იყო, რომ საჩხერელ გრიგორიანელთა უმეტესობამ სომხური არ იცოდა, თუმცა აქ მყოფი სომეხი სასულიერო პირი (ტერტერა) მეტრიკულ ჩანაწერებს სომხურად აკეთებდა, რასაც თბილისის ცენტრალურ არქივში დაცული მასალებიც ადასტურებს.

დაბა საჩხერეში მცხოვრები სომხური გვარები შემდეგი იყო: ბეგჩიანცი, გრიგორიანცი, კორკოტოვი, ანასოვი, პაროიანცი, ოვანოვი, კაჭკაჭოვი, კალოევი, ყაზაროვი, ხვთისიევი, ტინტილოზოვი, ასატუროვი, მირიანოვი, აბოიანცი, ხაზაროვი, პაპიჯანოვი, სიმონგულოვი. კულიჯანოვი, ბეგალოვი, აუშტროვი, პეტროსოვი დ სხვ. (კეკენაძე; 2016: 51). აქ დასახელებულ გვარებს შორის ქართული ფუძე აშკარად იკვეთება გვარში ხვთისიევი _ ხვთისი ანუ _ ღვთისი, ღმერთისი, ღვთის შვილი. იგივე შეიძლება ითქვას კაჭკაჭოვზე, რომლის ფუძეც აშკარად კაჭკაჭია, ოვი კი მას ხელოვნურად აქვს დამატებული. აღსანიშნავია, რომ შემდეგში იმ გვარების უმრავლესმა ნაწილმა, რომელთა წინაპარიც სომეხად დაიწერა, თავიანთი ძველი ქართული გვარები დაიბრუნეს და კვლავ მართლმადიდებლური აღმსარებლობის გახდნენ. ოფიციალურად სარწმუნოების და გვარების შეცვლის მიუხედავად ისინი უმეტესად მართლმადიდებლები იყვნენ, რადგან არც ენა იცოდნენ სომხური, მათი მღვდელი და დიაკონი მათთვის გაუგებარ ენაზე ქადაგებდნენ.

ებრაელები სომხებისაგან განსხვავებით დაბის ბევრად უფრო ძველ მოსახლეობას წარმოადგენდნენ. ებრაელების საჩხერეში დასახლებაზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის 1885 წლის ჟურნალ ,,მწყემსის" ერთ-ერთი ნომერი, აქ ჩვენ ვკითხულობთ: ,,საჩხერეში მთელი ვაჭრობა ებრაელებისა და სომხების ხელშია, ქრისტიანებს - კი სულ უმცირესი ადგილი უჭირავსთ. ერთ წერეთელთაგანს უწინდელს დროში უყიდნია ერთი ებრაელი, მოუყვანია საჩხერეში და დაუსახლებია. დღეს - კი აქ ებრაელები რამდენიმე ასი მოსახლე იქნება. იმათი ბეგარა ბტონის წინაშე ისა ყოფილა,

რომ, როდესაც თავად წერეთლებს ვინმე ძღვენს მიართმევდა, ან რაიმე ღონისძიებით ასიამოვნებდა, მაშინვე გაატანდა რომელსამე ვაჭარ ებრაელთან მოურავს და შეუთვლიდა: ,,შაბათა, ამ კაცს ერთი კარგი საჩოხე, როგორც თვითონ ამოირჩიოს, გადაუჭერი და გაატანეო!“ ამ გვარ საჩოხეს შეიძლება წელიწადში რამდენჯერმე გადააჭრევინებდნენ, რომელიც თითქმის ყოველ ბეგარას აღემატებოდა. სხვა ბეგარისაგან ებრაელები თითქმის სულ თავისუფალნი ყოფილან” (,,მწყემსი” 1885, #13). ვინაიდან წერეთლების სჩხერეში დასახლებას ავტორთა უმრავლესობა XVI საუკუნეს მიაკუთვნებს, სავარაუდოა, რომ ებრაელებიც საჩხერეში XVI საუკუნის შემდეგ დასახლებულან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ებრაელების გვარების უმეტესობას ქართული დაბოლოება ჰქონდათ, თუმცა ვხვდებით გადაუკეთებელ გვარებსაც, მაგ. ბეხორაშვალოი, პერლოვი და სხვ.

დაბა საჩხერეში ცხოვრობდნენ შემდეგი ებრაული გვარები: ნანიკაშვილი, წვენწიშვილი, კიკოზაშვილი, ხოჯაშვილი, ხანუკოვი, ბინიაშვილი, შიმშელაშვილი, ხუნდიაშვილი, ხიხანაშვილი, სეფიშვილი, დათიაშვილი, ცოციაშვილი, კაკიაშვილი, ბეხორაშვილი, ელიკიშვილი, შალელაშვილი, თეთრუაშვილი, იოსებაშვილი, ჯანაშვილი, ელიაშვილი, კიკოზშვილი, პერლოვი, იოსებაშვილი, ლელუჩაშვილი, მოძღვრიშვილი, ტორიკაშვილი, ბაზაშვილი, ამშიკაშვილი, შათაშვილი, ხოტოველი, ხიხინაშვილი, ელიკიშვილი, ბინიაშვილი, ხუნდიაშვილი, ტორიკაშვილი.

დღეისათვის საჩხერეში ეთნიკურად ებრაელი მოსახლეობა თითქმის აღარ დარჩა, ისინი 70-80-იან წლებში ახლად შექმნილ ისრაელის სახელმწიფოში ემიგრირდნენ.

თავი VIII

პოლიტიკური გეოგრაფია

არგვეთის საერისთაო. ისტორიულად საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ,,ზემო მხარში“ ანუ ზემო იმერეთში შედიოდა, თუმცა ამ ტერმინით იგი არა ძველთაგან, არამედ გვიან ფეოდალურ ხანიდან მოიხსენიება. ,,ზემო მხარამდე“ საჩხერის ტერიტორიას, ისევე, როგორც მთელ აღმოსავლეთ იმერეთს ვიდრე ფერსათ–რიონამდე არგვეთს, იგივე მარგვეთს უწოდებდნენ, რომელიც საერისთავოს ანუ პოლიტიკურ–ადმინისტრაციულ დანაყოფს წარმოადგენდა. ქართლის ცხოვრების ერთ–ერთი ნუსხის ავტორი ლეონტი მროველი შემდეგნაირად მოგვიხაზავს არგვეთის საერისთავოს საზღვრებს: აღმოსავლეთით – ლიხის ქედამდე, დასავლეთით – მდინარე რიონამდე, ჩრდილოეთით რაჭის მთებამდე (ისე, რომ იგი რაჭა–ლეჩხუმს თავის საზღვრებში იტოვებდა), სამხრეთით – ეს სასაზღვრო ზოლი ფერსათის მთებამდე უწვდენდა. ისტორიულ გეოგრაფ კ. ხარაძის აზრით, ამავე არეალში იყო მოქცეული მდინარე ხანისწყლის ხეობაც და შესაძლოა ელინისტური ხანის ,,ვანის ქვეყანაც“ (ხარაძე; 2003: 226). როგორც ვხედავთ არგვეთის საერისთავოში უწინ ოკრიბაც შედიოდა, მაგრამ შემდეგ ის გამოეყო არგვეთს და ცალკე გეოგრაფიულ–პოლიტიკურ არეალად ჩამოყალიბდა (გეოგრაფიული ტერმინი ოკრიბა პირველად XI საუკუნიდან

იხსენიება) ისევე როგორც შემდეგში ზემო მხარი, ვაკე და სამოქალაქო. ისტორიული ტრადიციით ვახტანგ გორგასლის დროს V საუკუნეში არგვეთი რაჭა–ლეჩხუმსაც (თაკვერი) მოიცავდა, ხოლო შემდგომ გამოეყო არგვეთს და ცალკე გავიდა. რაჭას თავისი ერისთავი განაგებდა და იგი არგვეთს ჩამოშორდა. ვითარების ამგვარმა განვითარებამ საბოლოოდ არგვეთის საზღვრები მხოლოდ ,,ზემო მხარით“, ანუ ზემო იმერეთით შემოიფარგლა (ქ.ც. 1955: 24).

როგორც უკვე ვთქვით არგვეთი დღევანდელი იმერეთის აღმოსავლეთ მხარეზე, მათ შორის საჩხერის ტერიტორიაზეც ვრცელდებოდა, დასავლეთ ნაწილის აღმნიშვნელ ტერმინად კი დავით აღმაშენებლის დროიდან მაინც - სამოქალაქო შემოდის. მოვუხმოთ ისტორიულ წყაროს: ,,დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა“ (ქ.ც. 1955: 319).

VIII საუკუნის ავტორი ჯუანშერი დასავლეთ საქართველოს უკვე ლეონტი მროველისაგან სრულიად სხვაგვარი დაყოფით გვთავაზობს, როდესაც იგი ჩამოგვითვლის დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ მხარეებს: ეგრისს, სუანეთს, თაკუერს, არგვეთსა და გურიას (ქ.ც. 1955: 241). როგორც ვხედავთ არც აქაა სადმე დასახელებული იმერეთი. ამდენად, ჩნდება ახალი ეთნოგრაფიული ტერმინები, ზემო მხარი საჩხერითურთ კი არგვეთში რჩება. ტერმინი იმერეთი დასავლეთ საქართველოს აღმნიშვნელად მხოლოდ XI საუკუნიდან ჩნდება (დავით აღმაშენებლის დროს).

როგორც უკვე აღინიშნა, საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ადმინისტრაციულად ჯერ კიდევ ფარნავაზის დროიდან არგვეთის საერისთავოს შემადგენლობაში შედის, ეს ფაქტი აღიარებულია საქართველოს ისტორიის უძველეს საკითხებზე მომუშავე ყველა მეცნიერის მიერ. სწორედ არგვეთის საზღვრებშია მოცემული მუნიციპალიტეტის თანამედროვე ტერიტორია ისტორიულ ატლასებშიც.

იგივეს გადმოგვცემენ ძველი ქართველი ავტორებიც: ლეონტი მროველი, ჯუანშერი, ვახუშტი ბაგრატიონი.

,,ქართლის ცხოვრების" საისტორიო კრებულში, **ლეონტი მროველი,** არგვეთის საერისთავოს შექმნას მეფე ფარნავაზს მიაწერს: "ერთი გაგზავნა მარგვის ერისთავად და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუ[რ]მადე [ეგრისისა], რიონს ზემოთ და ამანვე ფარნავაზ აღაშენა ორნი ციხენი შორაპანი და დიმნა" [ქ.ც. 1955:24].

ლეონტი მროველისეულ ისტორიულ კონცეფციას გარკვეულწილად ეხმიანება **ჯუანშერიც,** რომელიც ამ საგამგეო ერთეულს იმავე გეოგრაფიულ არეალში ათავსებს, როგორც ლეონტი მროველი, მაგრამ განსხვავებით, მას წარმოადგენს უფრო დიდ ადმინისტრაციულ ოლქად. ჯუანშერის თანახმად, ვახტანგ გორგასლის მიერ ამ კუთხის ერისთავად დადგენილი ბაკური ერთდროულად არგვეთისა და თაკვერის მფლობელია (ქც. 1955:185).

არგვეთის საზღვრებს **ვახუშტი ბაგრატიონი** ასე წარმოგვიდგენს: ,, ხოლო რაჭის სამხრით არს, მთას იქით, არგვეთი ანუ მარგვეთი, რომელი იწოდა ქვეყნის ნაყოფიერებისაგან და მრგველობისა მუშაკობისთვის - მრგველნი მუნებურნი და არა აღმომფხურელნი. ხოლო საზღვარი არგვეთისა არს: აღმოსვლით ქართლის საზღვარი, ლიხის მთის დასავლის კერძო; სამხრით ფერსათი, მერმე, ხარაგეულს ქვეით, მდინარე ძირულა და, შორაპანს ქუეით წყალწითელმდე ყვირილა;“ (ბაგრატიონი; 1997: 744).

ფარნავაზის გარდაცვალების შემდეგ ეს ტერიტორია დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბებული კოლხეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილია. II საუკუნის I ნახევარში კი იგი კვლავ ქართლის სამეფოს შემადგენელ ნაწილად გვევლინება.

მეფე ფარნავაზის მეფობისა და მის დროინდელი საქართველოს შესახებ საისტორიო წყაროები ძალზედ მწირია. მასალების სიმცირე, განსაკუთრებით

განვიცდით ძველი ქალაქებისა და ხუროთმოძღვრული ძეგლების განლაგების თაობაზე და ა.შ. ამ ისტორიული სიცარიელის ამოვსებაში დიდ დახმარება, გვიწევს არქეოლოგია. საჩხერის საარქეოლოგიო გეოგრაფიაზე, არქეოლოგიის მნიშვნელობაზე ისტორიისათვის, ჩვენ ვრცლად ვსაუბრობთ შესაბამის თავში.

ზემო იმერეთის არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებს, რომ ახ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში აღნიშნული პერიოდის საზოგადოება განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა. ამის დასტურია მოდინახეს, საირხის, იცქისის, ჩიხის გვიან ანანტიკური ხანის სამარხები, რომლებშიც გამოვლენილია ოქრომჭედლობის, და იარაღის არაერთი ბრწყინვალე ნიმუში, რაც აშკარად მიუთითებს მათ მფლობელთა დიდ ეკონომიკურ შესაძლებლობებზე.

ადრეული შუა საუკუნეები, V და განსაკუთრებით, VI საუკუნე მოვლენებით დატვირთული პერიოდია როგორც ქართლის, ასევე ეგრისისის ისტორიაში. ეს არის გამოჩენილი მეფეების, ვახტანგ გორგასლის, გუბაზ I-ისა და გუბაზ II-ის მოღვაწეობის ხანა. VI საუკუნე ქართლში სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა და მისი ხელახალი აღდგენის ეპოქაა, ხოლო იმავე ხანების ეგრისში მძვინვარებს ,,დიდი ომიანობა“. სამწუხაროდ არც ქართული და არც უცხოური წყაროები კონკრეტულად ამ დროის არგვეთზე არაფერს გადმოგვცემენ.

VII საუკუნის 50-იან წლებში საქართველოში ლაშქრობენ არაბები. მოდინახეს სამაროვანი, ჯიეთისა და იცქისის ნამოსახლარი ფენები სწორედ აღნიშნული მოვლენების თანადროულია და საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ ძეგლების შემოქმედი საზოგადოება აქტიურად იყო ჩაბმული ხსენებული პერიოდის ისტორიულ მოვლენებში.

VIII საუკუნის 80–იან წლებში აფხაზეთის ერისთავმა ლეონმა გააერთიანა მთელი დასავლეთ საქართველო და მას აფხაზეთის სამეფო უწოდა, არგვეთიც ამ პოლიტიკურ ერთეულში მოექცა.

ჩიხის საერისთავო. განვითარებული შუა საუკუნეების ზემო იმერეთი ნამდვილად წარმოადგენდა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფეოდის, არგვეთის საერისთავოს ნაწილს და აქვე მდებარეობდა ერისთავის რეზიდენციაც. ,,მატიანე ქართლისაში“ მოხსენიებული ჩიხის საერისთავო. აღნიშნულ ისტორიულ წყაროში უკვე აღარაა ნახსენები ლეონტი მროველისა და ჯუანშერისეული არგვეთის საერისთავო და გხვდება ,,ერისთავი ჩიხისა“. სრულიად აშკარაა, რომ ,,ერისთავი ჩიხისა“, რა თქმა უნდა, საერისთავოს გულისხმობს. ამ საერისთავოს მოხსენიება უკავშირდება აფხაზთა მეფეების ქართლას: ,,მას ჟამსა გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, ძმა თეოდოსესი და დემეტრესი, ძე ლეონისი. დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დემეტრესი. და ვითარ გარდაიცვალა გიორგი, აფხაზთა მეფე, დარჩა ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატ, რომელი იცნობების ექსორიაქმნილობით. და ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა.“ [ქც. 1955: 258]. როგორც მოხმობილი ციტატიდან ჩანს, "ერისთავი ჩიხისა" სულ ორჯერ მოიხსენიება ქართულ საისტორიო მწერლობაში. ნ. ბერძენიშვილი ეჭვობდა, ხომ არ იგულისხმებოდა ამ შემთხვევაში "ჩიხის ერისთავი" ქართლის ერისთავად (ბერძენიშვილი; 1975: 354). თუ ჩიხა ქართლის საერისთავო იყო, მაშინ ცხადია, რომ ამ პერიოდის ზემო იმერეთიც, შესაბამისად ქართლის ფარგლებში იქნებოდა.

არქეოლოგიური თვალსაზრისით სოფელი ჩიხა თითქმის შეუსწავლელია და აქ მხოლოდ XX საუკუნის 70-იან წლებში ჩაატარა ჯ. ნადირაძემ მცირე მასშტაბის სადაზვერვო სამუშაოები. სოფლის ეკლესიის სამხრეთით, ადგილ ,,გობინარში“ დადასტურდა ადრე ანტიკური და ელინისტური ხანის მატერიალური კულტურის შემცველი ფენების უაღრესად მწირი ნაშთები. გამოვლინდა წითლად მოხატული და წითლად შეღებილი კერამიკის მცირე ფრაგმენტები. (ნადირაძე; 1990: 135-136). ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევდა, რომ ჩიხა შემდეგ დროინდელი საჩხერის მაგივრობას სწევდა [ბერძენიშვილი; 1966: 31]. ამ მოსაზრებით ჩიხა და საჩხერე შესაძლებელია,

ერთი და იგივე გეოგრაფიული პუნქტი ყოფილიყო. ასეთ ვარაუდს მხარს უნდა უჭერდეს მოდინახეს სამაროვნის მონაცემებიც, რადგანაც იგი საჩხერისა და ჩიხის მიდამოებში შუა საუკუნეების, ჯერჯერობით, ერთადერთი გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლია.

ჯ. ნადირაძე მიუთითებდა მოდინახეს სამაროვანზე და აღნიშნავდა, რომ გვიანანტიკური ხანის დასაწყისიდან არგვეთის საერისთავოს ცენტრი მდ. ყვირილის მარჯვენა ნაპირზე უნდა არსებულიყო და ამ ქვეყნის გამგებელთა რეზიდენცია, ისევე, როგორც ნეკროპოლი, საძებნი იყო ქ. საჩხერის ტერიტორიაზე. მკვლევარი ძველი ქართული ენის ნორმებიდან გამომდინარე, არ გამორიცხავდა შედარებით გვიან გაჩენილ ტოპონიმ საჩხერის ჩიხასთან დაკავშირებასაც (ნადირაძე; 1975: 76). თუ ეს მოსაზრება სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ ცხადი ხდება, რომ სწორედ მოდინახეს ნეკროპოლიდან ეყრება საფუძველი შუა საუკუნეების ჩიხის (საჩხერის) საერისთავოს. საჩხერეს გაცილებით მოხერხებული სტრატეგიული მდებარეობა უკავია ვიდრე ჩიხას. საჩხერესთან თავს იყრის სასიცოცხლო მნიშვნელობის გზები, რომლებსაც ყოველთვის დიდი დატვირთვა ჰქონდათ და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

როგორც ჯ. ნადირაძის არქეოლოგიურმა შესწავლამ აჩვენა, VI-VII საუკუნეები წარმოადგენს ამ სამოსახლოს აღმავლობის პერიოდს. ათვისებულია თითქმის მთელი გორა და კულტურული ფენების სისქე 2 მ-ს აღწევს. ამ რეალობიდან გამომდინარე, არქეოლოგიურ ლიტერატურაში გამოითქვა ვარაუდი, რომ შესაძლოა ამ ეპოქის იცქისის ციხე წარმოადგენდა მდ. ყვირილის ზემო წელზე არსებულ მთავარ საფორტიფიკაციო ნაგებობას და აკონტროლებდა შიდა ქართლის მთიანეთსა და ბარში მიმავალ გზებს (მახარაძე; 2005: 40).

საჩხერის ძველი ისტორიის კვლევაში, მოდინახესა და ჩიხასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ დროის იცქისის ციხესაც. იცქისის ციხის მიმდებარე

ტერიტორიის განსაკუთრებულ დაწინაურებულობაზე მიანიშნებს ხუროთმოძღვრების ძეგლები, რომელთა შორის ისტორიული მნიშვნელობით აშკარად გამოირჩევა სავანის წმ. გიორგის სახელობის დარბაზული ეკლესია. ტაძრის ფასადები მდიდრულად არის დეკორირებული და იგი XI საუკუნის არქიტექტურის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. ტაძრის კედლებზე შემორჩენილია ისტორიული ხასიათის რამდენიმე წარწერა, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამხრეთის კარიბჭის ტიმპანის წარწერას, საიდანაც ირკვევა, რომ ეკლესია მეფე ბაგრატ IV-ის ზეობის ხანაში, 1046 წელს აუგია გიორგი ერისთავთერისთავს. აქვე ფიქსირებულია ერისთავთერისთავის გარდაცვლილი მშობლების გულზვიადისა და მარიამის, ძმის და შვილის, გოლიათის სახელები (სილოგავა; 1980: 59). დედოფალი მარიამი და მისი შვილები გიორგი და ხურსი მოიხსენიებიან ქორეთის ღვთაების ეკლესიის 1000 წლით დათარიღებულ წარწერაშიც, რომელიც შეისწავლადა გამოაქვეყნა გ. გაფრინდაშვილმა (გაფრინდაშვილი; 1970: 54-61). მანვე მართებულად დაუკავშირა ერთმანეთს სავანისა და ქორეთის ეკლესიათა ქტიტორები და მიიჩნია, რომ სავანის ეკლესიის წარწერის გიორგი ერისთავთ ერისთავის ძმის სახელი იყო ხურსი.

ამრიგად, სავანის ეკლესიის მაშენებელია გიორგი ერისთავთერისთავი. იგი ძლიერი ფეოდალური სახლის წარმომადგენელია და უეჭველია ისიც, რომ ეს საგვარეულო დიდ მამულებთან ერთად ფლობდა ქართლში გადამავალ გზებს და ეწეოდა ფართო აღმშენებლობით საქმიანობას. იცქისის ციხისა და სავანის წმ. გიორგის ეკლესიის არსებობა კარგად თანხვდება ერთმანეთს და გამორიცხული არ არის, რომ ამ ძლიერი ფეოდალური სახლის რეზიდენცია სწორედ იცქისის ციხე ყოფილიყო.

X საუკუნეში შეიქმნა ერთიანი საქართველოს სამეფო, არგვეთიც პოლიტიკურად რა თქმა უნდა, მისი ნაწილი იყო.

1329 წელს მეფე გიორგი ბრწყინვალე აერთიანებს მონღოლთაგან განადგურებამდე მიყვანილ ქვეყანას, იბრუნებს დასავლეთ საქართველოსაც, მათ შორის არგვეთის საერისთავოსაც.

XV საუკუნეში ერთიანი საქართველო საბოლოოდ დაიშალა და მის ნანგრევებზე ქართული სამეფო–სამთავროები ჩამოყალიბდა (ხარაძე; 2005: 227). საჩხერის ტერიტორიის ნაწილი ამ დროისათვის ქართლს რჩება, ნაწილი კი იმერეთის სამეფოში შედის. საჩხერის მუნიციპალიტეტის თანამედროვე ტერიტორიაზე ყალიბდება ორი სათავადო – საწერეთლო და საababაშიძეო, აგრეთვე აქ მდებარეობდა როგორც სამეფო და საუფლისწულო მამულები, აგრეთვე საეკლესიო სოფლები. ამაზე ვრცლად ქვემოთ, სათავადოებისა და სამეფო დომენის განხილვისას ვისაუბრებთ.

თავი IX

სათავადოები

სათავადოები. იმერეთის საერისთავო სისტემა ჩამოყალიბებას იწყებს ჯერ კიდევ **ფარნავაზის** დროიდან (არგვეთის საერისთავო), ერთიანობის რღვევის შემდგომ ძირითადად სწორედ აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმოიქმნა ცალკეული სათავადო. სისტემა ძალზე დიდ ცვლილებებს განიცდის მისი არსებობის ბოლომდე (XIX საუკუნის II ნახევარი). სათავადოები იმერეთში ფაქტობრივად დასრულებულ სახეს იღებს XV

საუკუნეში; ამ დროს ერთიანი საქართველო იშლება და ქვეყანა რამდენიმე სამეფო–სამთავროდ ნაწილდება. სწორედ ამ დროიდან იწყება სათავადოთა განსაკუთრებული ზრდა იმერეთში.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე XV-XIX საუკუნეებში არსებობდა იმერეთის სამეფოში შემავალი სათავადო ფეოდალური სისტემა. თანამედროვე მუნიციპალიტეტის საზღვრებში ორი სათავადო სახლი იყო წარმოდგენილი – **საწერეთლო** და **სააბაშიძეო,** რომელთა განლაგების მიახლოებითი რეტროსპექტივაც რუკაზეა წარმოდგენილი. აღნიშნულ საზღვრებში მნიშვნელოვანი ცვლილება მხოლოდ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ხდება, როდესაც გაძლიერებული წერეთელთა საგვარეულო სააბაშიძეო ფეოდალურ სახლს ართმევს სოფელ ლიჩს, მახათაურს, სავანეს, ქორეთსა და ღოდორას მიმდგომი მხარეებითურთ, ნაშრომში დართულ რუკაზე სასაზღვრო ხაზი წარმოდგენილია XVIII-XIX საუკუნეების მდგომარეობით.

სათავადოების საზღვრების კარტოგრაფირებისას წავაწყდით ერთ მცირე გაუგებრობას: მოგვექცია თუ არა თანამედროვე სოფლების: **პერევი**, **ჯრია**, **ქარძმანი**, **თედელეთი**, **ჯალაბეთი**, **ხახიეთი**, **ჭოისის** ტერიტორიები სააბაშიძეო მამულში, რომლის მამულებსაც ეს ტერიტორიები უშუალოდ ემიჯნება. აღნიშნული სოფლებიდან არცერთი არ ჩანს ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ეს სოფლები მაშინ არ არსებულა. ტერიტორიის კუთვნილების შესახებ არც ჩვენ მიერ მიკვლეული ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ რამეს. აღსანიშნავია, რომ ამ ტერიტორიის სააბაშიძეო მამულში შეყვანა გადაგვაწყვეტინა იმ ფაქტორმაც, რომ აღმოსავლეთით მის მოსაზღვრე შიდა ქართლის სათავადოს – სამაჩაბლოს შემადგენლობაში ეს სოფლები და ტერიტორია არ მოიხსენიება. გეოგრაფიული არეალის მიხედვითაც ეს ტერიტორია უფრო მეტად საჩხერის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის, მათ ჯავის რაიონის სოფლებიდან მკვეთრად გამოყოფენ მთები:

სირხლაბირტი, ალხაშენთი, რიბისი, ბილიურთა, კარდანახუმი, რუსთავი. ეს სოფლები გეოგრაფიულად უშუალოდ ებმის საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას (ადრინდელ საბაშიძეოს).

ზემოთ მოყვანილ წყაროთა დაყრდნობით და პირადი დაკვირვებების შედეგად მოვახდინეთ XV-XIX საუკუნეების თანამედროვე საჩხერის მუნიციპალიეტის ტერიტორიაზე მდებარე სათავადოების რეტროსპექტული კარტოგრაფირება.

1810 წელს რუსეთის იმპერიამ იმერეთის სამეფო დაიპყრო და გააუქმა, სამეფოსთან ერთად არსებობას წყვეტს სათავადო სისტემის მმართველობის ძველი სახე (სოსელია; ტ. II, 1981:203).

საწერეთლო. ერთ–ერთ უმსხვილეს და ძლიერ სათავადოს წარმოადგენდა **საწერეთლო**, რომელიც დაახლოებით XVI საუკუნეში ყალიბდება. წერეთლების სათავადო განლაგებული იყო ზემო იმერეთში. ის ძირითადად მოიცავდა თანამედროვე **საჩხერისა** და **ჭიათურის** მუნიციპალიტეტებს, აგრეთვე **თერჯოლის** (ძევრი), **ონის, ამბროლაურის**, **ქარელის**, **ხაშურის** მუნიციპალიტეტების მცირე ნაწილსაც. აღნიშნული საზღვრები და სათავადოს განლაგების არეალი საჩხერეში წარმოდგენილია რუკაზე.

წერეთლები აგრეთვე ფლობდნენ ყმა–მამულებსაც: **ჩიხას**, **დიდწიფელას**, **ოფჩას**, **დარკვეთს**, **საკურწეს**, **კაცხს**, **წინსოფელს**, და სხვა. წერეთლებს ეკუთვნოდათ: მთა ხიხათა, ,,სანადირო მთა“, სოფელი როკითის ნაწილი.

საწერეთლოს საზღვრები იყო: ჩრდილოეთით **რაჭის საერისთავო**, სამხრეთით მდინარე **ძირულა**, აღმოსავლეთით **ლიხის ქედი**, დასავლეთით **ჭიათურის** წყლამდე.

XV-XIX საუკუნის საქართველოს სათავადოებს შორის, ისე საფუძვლიანად არაფერია შესწავლილი, როგორც წერეთელთა ფეოდალური სახლის ისტორია. უპირველესი წვლილი ამაში ისტორიკოს ოლღა სოსელიას მიუძღვის.

წერეთლები იმერეთის ძირძველი მოსახლენი არ ყოფილან, ამ მოსაზრებას სათავადოს ისტორიაზე მომუშავე ყველა მკვლევარი ერთხმად იზიარებს. ეტიმოლოგიურად გვარ წერეთელის შემცველი ტოპონიმები მრავლადაა საინგილოსა და ქართლში, რაც მკვლევარებს იმის დასკვნის საშუალებას აძლევთ, რომ წერეთლები საინგილოდან გადმოსულან ქართლში, აქედან კი იმერეთში. წერეთლები ქართლიდან იმერეთში თემურ–ლენგის შემოსევების შემდეგ უნდა გადმოსულიყვნენ.

,,საწერეთლო", როგორც წერეთელთა მფლობელობაში არსებული მამულის აღმნიშვნელი XVI საუკუნიდან ჩანს საჩხერის თანამედროვე ტერიტორიაზე.

წერეთლები ქართლის სამეფოს მოსაზღვრე, მონაპირე სათავადოს წარმოადგენდნენ. XVI საუკუნის მიწურულში ქართლის მეფე სიმონის იმერეთში ლაშქრობის დროს ისინი მის მხარეზე იბრძვიან. საწერეთლო ჩანს ვახტანგ V შაჰნავაზის მეფობისას (1658–1675) ქართლის მეფის ვასალია და არა იმერეთის.

წერეთელები მტრულ განწყობილებაში იმყოფებოდნენ გიორგი სააკაძესთან მისი მოურავობის პერიოდში. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: ,,კვალად ეთქვა მუქარა ქველის წერეთელს მოურავისა. მოუხდა მოურავი, მოსწვა მამული მისი; წარმოსულს მოურავს ეწია ქველი წერეთელი და ბრძოდეს ურთიერთსა. არამედ მოურავმან განაწონნა სამნი ისარნი მკერდსა და ილტვოდა ქველი, ხოლო მოურავი მოვიდა გამარჯვებული" (ბაგრატიონი; 1913: 67).

წერეთლები განსაკუთრებით XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ძლიერდებიან და იმერეთში ყველაზე ძლევამოსილ სათავადოდ იქცევიან [სოსელია; 1947: 252–254].

სააბაშიძეო. საabაშიძეო, იქმნება XV საუკუნეში; მასში ძირითადად შედიოდა თანამედროვე **ზესტაფონის**, **ხარაგაულის**, **წყალტუბოს**, **თერჯოლისა** და **ჭიათურის** მუნიციპალიტეტების სოფლები. საabაშიძეო ტერიტორიულად ორად იყო გაყოფილი, მისი მეორე ნაწილი საჩხერეში მდებარეობდა, რომლის საზღვრებიც რუკაზე მკვეთრადაა გამოყოფილი. საabაშიძეოს საზღვარი: ჩრდილოეთით **რაჭის**

საერისთავომდე, სამხრეთით მდინარე **ძირულამდე**, აღმოსავლეთით **ლიხის ქედამდე**, დასავლეთით **არგვეთა–ჩხარამდე**. აბაშიძეების ხელში იყო: **შორაპნის**, **შროშის**, **ჭალატყის**, **ცუცხვათის** ციხესიმაგრეები.

საჩხერის მუნიციპალიტეტის თანამედროვე ტერიტორიაზე XV საუკუნიდანვე ყალიბდება აბაშიძეთა ფეოდალური გვარის სათავადო - სააბაშიძეო, ცენტრით სოფელ ჭალაში. აბაშიძეებს ჭალაშივე გააჩნდათ სასახლე, ციხე, კარის ეკლესია და საძვალე.

აბაშიძეები საჩხერეში XVIII საუკუნემდე დიდძალ მამულებს ფლობდნენ და თითქმის ტერიტორიის 60% მათ საგამგეოს წარმოადგენდა. XVI საუკუნიდან მათ მეზობლად წერეთელთა სათავადოს ჩამოყალიბების შემდეგ ისინი ნელ-ნელა კარგავენ თავიანთ მამულებს და შედარებით სუსტდებიან.

XVIII საუკუნიდან მოყოლებული კი აბაშიძეები მხოლოდ საჩხერის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიას ფლობენ. მათ საგამგეო მამულს ჩრდილოეთიდან რაჭის ქედი ესაზღვრებოდა შემდეგი მთებით: საბვი, ფხონი, პეპელეთი, დაღვერილა, სირხლაბირტი, რიბისი, ალხაშენდა; აღმოსავლეთით: ობოლისი, კარდანახუმი, რუსთავი; სამხრეთით: მთა პერანგა, ლოხონი, შახარადეტი; დასავლეთით: დიდგორა, დიდი ცხეპარი, პატარა ცხეპარი, წიფლარი. ამ ორთოგრაფიულ დანაყოფებს შორის არსებობდა სააბაშიძეოს ფეოდის საჩხერის მონაკვეთი, ცენტრით სოფელ ჭალაში. იგი მოიცავდა შემდეგ სოფლებს: დრბო, ღონა, ორღული, ტყემალაური, ბაცქიური, პანისური, ჭლეები, პერევი, ზასხლეთი, ცხეპრისძირი, დავაეთი, ხახიეთი, თედელეთი, სინაგური, ჯალაბეთი, ფათკუჯინა, ხაფალგომი, ძირისჭალა, ხელდახეული, სადარნო, ტბეთი, ქარძმანი, წოისი, ლოხოისა, სარბეთი, დარყა, საკოხია, ძვ. იცქისი, ველები, ჭურნალი, ჯრია, ჭაბუკმთა.

აბაშიძეთა წარმოშობის შესახებ არსებობს რამდენიმე ვერსია, ერთი ვერსიის მიხედვით ისინი საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალიდან არია, სადაც მათ გვარს

საფუძველი ეყრება, ხოლო მეორე ვერსიით ისინი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ სარგვეშითად არიან.

აბაშიძეთა ჭალიდან წარმოშობა, როგორც ჩანს ძველად უფრო სარწმუნოდ მიაჩნდათ, ამ თვალსაზრისს ზურგს აბაიძეთა გვარის შესახებ არსებული ლეგენდაც უმაგრებს, რომელიც გადმოგვცემს მურვან ყრუს გადასვლას აფხაზეთში და მის ბრძოლას არჩილ მეფესთან, იგი მურვან ყრუს ლაშქარში ასახელებს აბაშს: ,, რიცხვთა ამათ შინა ყრმა ვინმე ბეგისა შთამომავლობისა დაშთა მუნ, რომელსაც მეფეი არჩილ უყოფდა პატივსა და ზრდიდა თვის თანა, ხოლო შემდგომად ამისა ნადირობას შინა ძესა მეფისა არჩილისასა იოანეს ზედა შეახლტა მგელი განსაბრძნავად და მაშინ აბაშმან აღმოიწოდა ხმალი და მით მოკლა მგელი იგი. და განარინა ძეი მეფისა და ამისა ჯილდოდ უბოძა მეფემან არჩილ თავადობა და გვარად მისცა აბაშის ძეობა და მიუბოძა მამული, ჭალასა და ზოსიათ ხევსა შინა დ სხვანიცა მასთან მყოფნი აბაშნი მიიღო აზნაურობისა ხარისხითა და დაასახლა ჭალას, რომელნიცა იწოდებიან ჭალელ აბაშიძეებად“ (ახუაშვილი; 2010: 128). აღნიშნული ცნობა მრავლად შეიცავს ანაქრონიზმებსა და შეუსაბამობას, მაგრმ ჩვენ ამ წყაროს ცალსახად ლეენდად აღვიქვავთ და ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ იმაზე, რომ აბაშიძეთა პირვანდელ სამკვიდროდ სოფელი ჭალა ფიგურირებს, რაც რა თქმა უნდა შემთხვევითი არაა და ეს წარსულში ნამდვილ ცნობიდან, რომ აბაშიძეები ჭალიდან არიან, უნდა მოდიოდეს. აქვე აღსანიშნავია აქ დასახელებული მეორე ტოპონიმი - ზოსიათ ხევი, აღნიშნულის მსგავსი სახელწოდება ქვია ჭალის ჩრდილოეთით მდებარე ქედს ერწოს ტბასთან - ზოსწვერი, მსგავსება აშკარაა. ჩვენი აზრით აბაშიძეთა წარმოშობის ადგილი სწორედ ჭალა უნდა იყოს. ამასვე მოწმობს საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპიგრაფიკულ მასალებში ნახსენები უძველესი წყაროებიც.

ვახუშტი ბაგრატიონი იმერეთის ,,თავართა გუართათვი“-აში წერს: ,, აბაშიძე, ფალავანდიშვილი და ამირეჯიბი ამათ ერთობასა შინა აქუნდათ მამულნი იმერეთსა და

ქართლსა შინა და შემდგომად განყოფისა სამეფოსა ერთი ძმა იქით და ერთი ძმა აქეთ დაშთნენ, ვითარცა აჩენს მამულნი და სიგელნი მათნი“ (ქც. ტ.IV, 1973: 35). ვახუშტის ციტატა ეხმაურება ძველ ისტორიულ სინამდვილეს, როდესაც იმერეთის აღმოსავლეთი ნაწილი ფალავანდიშვილებსა და აბაშიძეებს ეპყრათ, ხოლო მათ ქართლის მხარეს ამირეჯიბები საზღვრავდნენ.

თავი X

იმერეთის მეფის დომენი საჩხერეში

XV საუკუნეში საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა. იმერეთის სამეფოს ტერიტორიაზე ძველი საერისთავოების ადგილზე ჩნდება ახლი ფეოდალური მფლობელობის სისტემა - სათავადოები. სათავადოებს სვადასხვა გვარები მემკვიდრეობით ფლობდნენ, ზოგიერთ სათავადოს შიდა საქმეებში მეფისგან სრული შეუვალობა ჰქონდა მინიჭებული, რაც უმეტესად გადასახადისაგან სრულ განთავისუფლებას გულისხმობდა. მაგალითად, სწორედ ასეთი სათავადო იყო ,,ზემო მხარში“ მდებარე საწერეთლო.

თავადების სამფლობელოები მართალია ხშირდ ერთ მთლიან გეოგრაფიულ არაელს კრავდა, მაგრამ ამ სათავადოებში იმერეთის მეფეებს თავიანთი მამულები ჰქონდათ. მამულების ფლობა ხშირად მთლიან სოფელზე ვრცელდებოდა, ანდა სოფლის გარკვეული მონაკვეთი მეფის უშუალო მფლობელობაში შედიოდა. მეფეს ამგვარად გაბნეულ სოფლებში თავისი აზნაური, ან უბრალოდ სამეფო გლეხები ჰყავდა, რომლებიც მეფის სასარგებლოდ სხვადასხვა სახის გამოსაღებს იხდიდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად იმერეთში ესა თუ ის სოფელი ერთდროულად მოიცავდა: სამეფო, საუფლისწულო, სათავადო და სამონასტრო მიწებს.

საჩხერეში მდებარე სათავადოებში (საწერეთლო, სააბაშიძეო) მეფის დომენი მეტად მცირე იყო, მეფეს აქ სულ რამდენიმე სოფელი და მამული ეკავა. ხშირი იყო მეფის მხრიდან თავისი კუთვნილი მამულის ჩუქება აზნაურზე, ეკლესია-მონასტერზე. ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც მეფე ნაჩუქარ მამულებს მიზეზთა გამო უკან იბრუნებდა.

სოლომონ I-ის მეფობის პერიოდში საჩხერის ტერიტორიაზე მდებარე სათავადოებიდან სამეფო დომენს მთლიანად წარმოადგენდა სოფლები: შალაური, ლიჩი, ღოდორა. აღნიშნული სოფლების მფლობელობა, გვიანდელ ხანებში, ძალზე ხშირად მონცვლეობდა მეფესა და თავადებს შორის.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ მეფის მფლობელობაში იყო სხვადსხვა სოფელში მდებარე მამულები. საჩხერის ტერიტორიაზე მეფეს მამულები ჰქონდა სოფელ ქორეთში დ თვით დაბა საჩხერეში, სადაც მეფე ხოდაბუნების (საბატონო ყანა) დიდ ნაწილს ფლობდა (აბესაძე; 1973: 11, 12, 36).

XVIII საუკუნის მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი [ტ.1, 1962: 301] თავის აღწერილობებში წერს, რომ იმერეთის მეფეს დიდძალი მამულები აქვს სააბაშიძეოში, და თან იმდენად დიდი, რომ იგი სააბაშიძეოს ნახევარს უდრის. ჩვენი დაკვირვებით სააბაშიძეოში მეფე მხლოდ სოფელ ლიჩს, შალაურსა და ღოდორას ფლობს, სხვა სამეფო დომენი თანამედროვე საჩხერის მუნიციპლიტეტის ტერიტორიაზე გნფენილ სააბაშიძეოში არ მდებარეობდა. გიულდენშტედტთან დასახელებული დიდძალი ტერიტორიები, ჩვენი აზრით იმერეთის ცენტრალურ ნაწილში მდებარე საბაძიძეოს ტერიტორიას მოიცავდა.

1762 წელს სამეფო მფლობელობაში არსებულ სოფელ შალაურს მეფე აზნურ აბდუშელიშვილთა გვარს უწყალობებს, რომელიც ამ პერიოდისათვის სააბაშიძეოს ტერიტორიაში შედიოდა. სოფლის ბოძება სულაც არ გულისხმობდა მათ შეუვალობას, ისინი უბრალოდ სამეფო აზნაურებად იქცნენ. 1798 წელს მეფე სოლომონ II შალაურს საწერეთლოს თავადებს, ქაიხოსროსა და როსტომს ჩუქნის, საწერეთლო ამ დროისათვის აბაშიძეთა მამულების მითვისების ხარჯზე საკმაოდ გადიდებულია. ამიერიდან 67 წლის განმავლობაში (ბატონყმობის გაუქმებამდე) აღნინული სოფელი საწერეთლოს შემადგენლობაშია. სამეფო მამულები კვლავ რჩებოდა სოფელ

ქორეთში, აგრეთვე საჩხერის შემოგარენში მდებარე ადგილ ხოდაბუნებზე (აბესაძე; 1973: 13).

როგორც შ. ბურჯანაძის მიერ გამოცემულ იმერეთის სამეფოს ისტორიული დოკუმენტებიდან ირკვევა, XVII საუკუნის II ნახევრამდე ლიჩი და ღოდორა (ისტორიული ხეფინისხევი) სამეფო მამულებს წარმოადგენდნენ, ხოლო ამის შემდეგ მეფეს ეს სოფლები აბაშიძეთა სგვარეულო სახლისათვის გადაუცია, რომლის საზღვრებშიც მდებრეობდა კიდეც აღნიშნული სოფლები (ბურჯანაძე; 1958: 14, 32). როგორც კავკასიის არქეოლოგიური კომისიის მიერ გამოცემულ აქტებში მოცემულ დოკუმენტიდან ირკვევა, მეფეს სოფლები აბაშიძეებისათვის ისევ წაურთმევია, რაც დგინდება 1805 წელს სოლომონ II-ის მიერ ზურაბ და პაპუნა წერეთლებისადმი ბოძებულ წყალობის წიგნში მოცემული წყროდან (აქტები, ტ. VI: 825).

როგორც ვხედავთ XIX საუკუნეში საჩხერეში მდებარე სამეფო დომენის უმეტეს ნაწილ წერეთლები იკავებდნენ.

ხეფინიხევი. ხეფინიხევი, როგორც უკვე ავღნიშნეთ საჩხერის მონაკვეთის ძირულის ხეობის ზემო წელის სოფლებს აერთიანებდა, მისი მდებარეობა ჩვენ რუკაზე გვაქვს გამოსახული, რომელიც ადგილზე, საველე სამუშაოების დროს მოვხაზეთ. IX-XIII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების კრებულში (1984) ჩვენ მივაკვლიეთ სიგელს, რომელიც გაცემულია 1266 წელს მეფე დავით ნარინის მიერ. მეფე ხეფინიხეველებს და წაქველებს ათავისუფლებს ყოველგვარი გადასახადისაგან და მათ შეუვალობას ანიჭებს: ...,, შეუვალი ვქენით და გამოვიყვანეთ ყოვლისა შესავლისაგან: სახელმწიფოისა, საერისთავთ–ერისთვოისა და სახელისუფალოისა“ (გვ.167).

XIII საუკუნის შემდეგ ხეფინიხევი იხსენიება XVIII საუკუნეში, როგორც მეფე ერეკლე II-ის სამეფო დომენი, რომელსაც იგი აბაშიძეებს ჩუქნის, ამგვარად ექცევა ხეფინიხევი იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში.

თავი XI

საფორტიფიკაციო ქსელი

ყოველი ისტორიული პროვინციისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა თავდაცვითი ნაგებობების არსებობა, რომელიც ომიანობისას მოსახლეობის თავშესაფარი უნდა გამხდარიყო. ციხესიმაგრეები ყველა ფეოდალურ სახლს ჰქონდა. სწორედ ის იყო მისი სიძლიერის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი გარანტი. ციხესიმაგრეები ხშირად ხეობათა საზღვრის ჩამკეტებად გვევლინება, ზოგჯერაც სასაზღვრო და შიდა ციხეებად. ციხეებთან ერთად არსებობდა მცირე კოშკები, რომელიც უმეტესად საგუშაგო–სათვალთვალო ფუნქციას ასრულებდნენ და მტრის შემოსვლის შემთხვევაში ცეცხლის ანთებით ნიშანს აძლევდნენ დანარჩენ კოშკებსა და ციხესიმაგრეებს, რომლებიც თავის მხრივ ანთებდნენ სასიგნალო კოცონს და მთელ გაყოლებაზე არსებულ მსგავს ნაგებობების საშუალებით მოსახლეობა უმალვე იტყობდა მტრის შემოსვლას მხარეში.

ჩვენ საველე სამუშაოების დროს უშუალოდ მოვინახულეთ თითქმის ყველა ციხე და სათვალთვალო კოშკი, დავადგინეთ მათი კავშირი ერთმანეთთან და წარმოდგენილ რუკაზე გავაფორმეთ კარტოგრაფიულად.

საჩხერის მუნიციპალიტეტი საფორტიფიკაციო ნაგებობებით მეტად მდიდარია, ადგილზე ვხვდებით როგორც დიდ ციხესიმაგრეებს აგრეთვე მცირე ზომის სასიგნალო კოშკებსაც.

მოდინახის ციხე აშენებულია ქალაქ საჩხერეში და უმნიშვნელოვანეს საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენს მთელს ამ მხარეში.

ციხის აშენების შესახებ წყაროები მწირია, რასაც ავსებს არქეოლოგიური აღმოჩენები აღნიშნულ ციხეზე. რატომღაც სამეცნიერო წრეებში მიღებულია აზრი, რომლის მიხედვითაც მოდინახის ციხესიმაგრე XVIII საუკუნეშია აშენებული, და არავინ ცდილობს ჩაუღრმავდეს საკითხს, დაადგინოს ისტორიულ წყაროთა და არქეოლოგიურ მონაცემების დაყრდნობით ისტორიული სინამდვილე.

მოდინახის ციხის აგების თაობაზე საჩხერეზე გამომავალი ყველა წიგნის ავტორი ტირაჟირებს ლეგენდას, რომელიც მოდინახის ციხის აშენებას XVIII საუკუნის მოღვაწეს პაპუნა წერეთელს უკავშირებს. ჩვენ მივაკვლიეთ ამ ლეგენდის პირველ წყაროს XIX საუკუნეში გამომავალ გაზეთ ივერიაში, სადაც სტატიის ავტორი ლამაზ ლეგენდას გვთავაზობს მოდინახის აშენებაზე. როგორც ჩანს ეს სტატია წაუკითხავს საჩხერელ მკვლევარ მიხეილ გოგატიშვილს და გამოუყენებია თავის სტატიაში, რომელიც შემდეგ აქტიურად აუტაციათ გ. დვალაშვილს, ვ. წერეთელს და ა.შ. ისე, რომ მოდინახის აშენების ნამდვილი ისტორიის კვლევა აზრად არავის მოსვლია. მაშინ, როდესაც უამრავი სიგელია დაცული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, აგრეთვე ოლღა სოსელიას დისერტაციაში საწერეთლოზე, სადაც მეცნიერი მოკლედ საუბრობს მოდინახის ციხის აშენებაზე. აგრეთვე, ისტორიულ დოკუმენტთა კრებულებში ჩვენ წავაწყდით ინფორმაციებს აღნოიშნულ ციხის თაობაზე, რომელმაც სამეცნიერო სივრცეში ტირაჟირებული ლეგენდისაგან აბსოლიტურად განსხვავებული შედეგი მოგვცა ციხის აშენებისა და ისტორიის თაობაზე. დიდი დახმარება გაგვიწია აგრეთვე შ. ამირანაშვილისა და ჯურხა ნადირაძის არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა ციხის

თაობაზე. ინფორმაციების შეჯერების შედეგად ჩვენ შევეცადეთ ციხის ნამდვილი ისტორიის დაწერას. აღსანიშნავია, რომ ასეთივე სიცრუეს ტირაჟირებს ადგილობრივი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და საჩხერეზე არსებული გამოცემები ე.წ. თოდაძეების ციხის თაობაზე, რომელთაც ისიც ვერ გაურჩევიათ, რომ ამ ციხეს არა თოდაძეების ციხე, არამედ თევზაძის ციხე ჰქვია.

მოდინახის ციხესიმაგრე აშენებულია ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში. იგი თავდაპირველად ფალავანდიშვილთა საგვარეულოს მფლობელობაშია, რომელსაც ეკუთვნის სოფელი დუნთა მოდინახითურთ. XVII საუკუნეში ციხეს სისხლის ფასში იღებენ წულუკიძეები, რომელიც თავის მხრივ მას წერეთლებზე ჰყიდის. ასე, რომ ციხის აშენების ლეგენდისეული მონათხრობი არანაირად არ ჯდება ისტორიულ სინამდვილესთან.

მოდინახის ციხის მოპირდაპირე ფერდობზე, ქალაქ საჩხერეში მდებარეობს კიდევ ერთი ციხე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში თევზაძის ციხის სახელწოდებითაა შესული.

საჩხერის ციხეების აღწერილობაზე და აგების პერიოდებზე ჩვენ აღარ შევჩერდებით და წარმოვადგენთ მათ სასიგნალო ქსელს მტრის შემოსევის შემთხვევაში.

საჩხერის მუნიციპალიტეტის უკიდურეს სამხრეთ ნაწილს აკონტროლებდა ნასოფლარ წმანის კოშკი, რომელიც აკონტროლებდა დედაბერას გადმოსასვლელით ქართლიდან საჩხერის მიმართულებით გადმომავალ გზას. წმანის ციხე–კოშკი უყურებს ხვანის ციხეს, რომელიც თავის მხრივ აკონტროლებს მდ. ძირულის ხეობის ზემო წელს, იგი უნდა ყოფილიყო ქართლ–იმერეთის სამეფოების საზღვრის ჩამკეტი. ხვანის ციხე უყურებს სოფელ ნიგვზარაში მდებარე სამთელას (სანთელას) ციხეს, რომელიც იმერეთის სამეფოს სასაზღვრო ციხე უნდა ყოფილიყო ამ მხარეში. მტრის შემოსევის შემთხვევაში ხვანის ციხის გუშაგს შეეძლო სასიგნალო კოცონის მეშვეობით

სამთელასათვის მტრის შემოსევა ეცნობებინა. სამთელას ციხე ნიშანს აძლევდა გორისის სასიგნალო კოშკს, რომელიც თავის მხრივ მტრის შემოსევას აცნობებდა ჭორვილის, დურევისა და იცქისის ციხეებს. იცქისის ციხე ნიშანს აძლევდა ჭალის ციხეებს სატიტესა და დრბოში. გორისისა და იცქისის ციხეებიდან გარკვევით მოსჩანს მოდინახისა და თევზაძის ციხეები, რომლებიც თავის მხრივ ჩიხის ციხეს აძლევდნენ ნიშანს.

მუნიციპალიტეტის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში საფორტიფიკაციო ნაგებობები მეტად მწირია და მხოლოდ სოფელ ჯალაბეთში მდებარე ციხით შემოიფარგლება, რომელიც დანარჩენ ციხეებს სასიგნალო თვალსაზრისით მოწყვეტილია. ჩვენი ვარაუდით, სასიგნალო კოშკები უნდა ვეძიოთ აგრეთვე ჭაბუკმთისა და ტბეთის ნამოსახლარებზე, სადაც ნამოსახლართა ნანგრევების სიუხვეა. ამ ტერიტორიებზე ციხეების არსებობის შემთხვევაში ჯალაბეთის ციხე საერთო საფორტიფიკაციო ნაგებობათა სასიგნალო ქსელში ჩამბული აღმოჩნდება. ციხე–კოშკების არსებობა აგრეთვე სავარაუდებელია საჩხერის ჩრდილო–დასავლეთით მდებარე საუფლისწულოს ტერიტორიაზეც.

თავი XII

საეკლესიო გეოგრაფია

ისტორიული გეოგრაფიის საკვლევ საკითხთაგან ერთ-ერთი საეკლესიო გეოგრაფიაცაა, რომელიც სწავლობს საეპისკოპოსოების, ეკლესია-მონასტრების გეოგრაფიულ განფენილობას და მოპოვებულ მასალებს ეკლესიის ძველი ისტორიის კვლევაში მეტად მნიშვნელოვან დამხმარე მასალად აქცევს. ცალკეული გეოგრაფიული არეალის საეკლესიო გეოგრაფიის შესწავლა დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ეკლესიის ძველი ისტორიის კომპლექსური კვლევისათვის.

წარსულში მუდმივმა საომარმა მოქმედებებმა, მიგრაციულმა პროცესებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხის თავისებური განვითარება გამოიწვია. ჩვენთვის

უცნობი მრავალი ეკლესია-მონასტერი, რომელიც ერთ დროს დიდი სასულიერო ცენტრები უნდა ყოფილიყო დავიწყებას მიეცა და ნაეკლესიარად იქცა. ნელ-ნელა ნაეკლესიარის ნაშთებიც ქრება და უკვალოდ აღიგავება საეკლესიო ისტორიის მოწმე ამა თუ იმ კუთხეში. საეკლესიო გეოგრაფია თავის თავში გულისხმობს ნაეკლესიარების მიკვლევას ისტორიული წყაროებისა და საველე სამუშაოების საშუალებით, აგრეთვე, მათ აღწერილობასა და ფიქსირებას რუკაზე. ჩვენ სწორედ მსგავსი სამუშაოები ჩავატარეთ საჩხერის მუნიციპალიტეტში. კვლევისას ჩვენს მიერ გამოვლენილი იქნა მრავალი სიახლე, მაგალითად ჭალის, ქორეთის და სხვ. მონასტრები უძველეს დროში, აღნიშნულ მონასტრებს სამეცნიერო ლიტერატურა არ იცნობს, ისინი არც ისტორიულ რუკებზეა დატანილი, მაშინ როდესაც ჯრუჭის ცნობილი მონასტერი XI საუკუნის ისტორიულ რუკაზე დატანილია, ხოლო დანარჩენი სამი არა. მიზეზი ამისა შეიძლება ვეძიოთ არაკომპლექსურ კვლევაში საეკლესიო ისტორიის კუთხით, მაგალითად პალეოგრაფიულ ტექსტთა გაუთვალისწინებულობაში, ჩვენ სწორედ ეკლესიათა ლაპიდრალური წარწერებიდან შევიტყვეთ, რომ ამა თუ იმ სოფელში ადრე მონასტერი არსებობდა. აგრეთვე გამოვლინდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფლებსა და ნასოფლარებში არსებული მრავალი ნაეკლესიარი ადგილი, რის შემდეგადაც მოხდა მათი ფიქსირება კარტოგრაფიულ გამოსახულებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაეკლესიარი ადგილების გამოვლენამ ჩვენ დიდი დახმარება გაგვიწია ძველ მოსახლეობის გეოგრაფიაში, ნასოფლართა გამოვლენაში. ნაეკლესიარების კვლევა ნათელს ხდის მრავალ ფაქტორს. მაგალითად, ეპარქიათა ადგილმდებარეობას, რომელიც პოლიტიკურ ისტორიას დიდ თვალსაჩინოებას სძენს. ასევე ეკლესიათა და ნაეკლესიართა კარტოგრაფიული გაფორმება მიუთითებს, რომ აქ ძველად მოსახლეობა არსებულა. მაგალითად, საველე სამუშაოებისას ჩვენ აღვნუსხეთ მრავალი ეკლესიის ნაშთი, რომლებიც ამ ადგილებში ძველ ნასოფლარებზე მიუთითებს. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ეკლესიის ნაშთების უმრავლესი ნაწილი ჩვენს მიერ

მიკვლეულ ნასოფლარ ადგილებში მდებარეობენ, რაც ხაზს უსვავს იმ ფაქტს, რომ ეკლესიათა დანგრევა სწორედ მოსახლეობის გასახლებებმა გამოიწვია. ისტორიულ–გეოგრაფიულ აღწერილობასთან ერთად, ჩვენ ეკლესიები და ნაეკლესიარი ადგილები სხვადასხვა კატეგორიებად დავიტანეთ რუკაზე. რაც თვალსაჩინოებას სძენს მუნიციპალიტეტის საეკლესიო გეოგრაფიას და პირიქით, წყაროს და ორიენტაციის საფუძველს წარმოადგენს არქეოლოგებისათვის.

ჩვენს მიერ აგრეთვე მიკვლეულ იქნა ჯერ სრულიად გამოკვლეული ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის კათედრალური ტაძრის აშენების შესახებ არსებული დოკუმენტები, რომელიც პირად კოლექციაშია დაცული, ეს მასალები ქვემოთაა წარმოდგენილი და წარმოადგენს სამეცნიერო სიახლეს.

საეკლესიო გეოგრაფიის კვლევისას ასევე შედგა ჯრუჭის მონასტრის მამულების მფლობელობაში არსებული ტერიტორიების ცალკე კარტოგრაფიული გამოსახულება, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს სამეცნიერო სიახლეს.

საეკლესიო გეოგრაფიის კვლევისას ჩვენ შევისწავლეთ იმერეთის საეკლესიო საბუთები, გამოცემული სხვადასხვა ავტორის მიერ საჩხერის მუნიციპალიტეტში მდებარე ეკლესიათა შესახებ. მასალები მეტად მწირ ინფორმაციას გადმოგვცემენ, მიკვლეული საბუთები თითქმის მთლიანად ჯრუჭის მონასტერს აღწერს და დანარჩენ ეკლესია–მონასტერზე დუმს.

არგვეთის იგივე მარგვეთის საერისთაოს ტერიტორიული მდებარეობისა და ისტორიის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი პოლიტიკურ გეოგრაფიის შესაბამის თავში. ახლა კი შევჩერდებით მარგვეთის უძველეს ეპარქიაზე, რომელიც, რა თქმა უნდა, ტერიტორიულად არგვეთის საერისთაოს უნდა ემთხვეოდეს.

ეკლესია–მონასტრები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკლესია–მონასტრების ნაგებობები XI საუკუნიდან მოყოლებული შემონახული გვაქვს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ უფრო ადრეულ ხანებში ეკლესია არ არსებობდა. ტერიტორიაზე

არსებობს 60–მდე ეკლესია, ძირითადად ბაზილიკური, დარბაზული ნაგებობები. გუმბათოვანი ტაძარი ძველ დროში მხოლოდ ერთი იყო სოფელ სავანეში – XI საუკუნის. ხოლო XIX საუკუნეში მას კიდევ რამდენიმე ნაგებობა ემატება.

ისტორიული წყაროები, სამეცნიერო ლიტერატურა და ისტორიული კარტოგრაფია საჩხერის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთ მონასტერს, ჯრუჭს იცნობს, მაშინ, როდესაც მათი რიცხვი სამია. კვლევისას ჩვენ ყურადღება მივაქციეთ ტაძრებზე არსებულ ეპიგრაფიკულ მასალებს, რომლის კვლევის საფუძველზეც დავადგინეთ, რომ მონასტერი საჩხერეში არსებობდა სოფელ ქორეთსა და ჭალაში. აღნიშნულ მონასტრებზე ჩვენ სხვა ინფორმაციას ვერ მივაკვლიეთ. ჯრუჭის მონასტრის მამულები ჩვენ კარტოგრაფიულად გავაფორმეთ, ამიტომ მასზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით, ვინაიდან იგი ნათლად ჩანს კარტოგრაფიულ გამოსახულებაზე.

ნაეკლესიარი ადგილები საჩხერის მუნიციპალიტეტში. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გვხვდება მრავალი ეკლესიის ნაშთი, რომელთა რიცხვიც დაახლოებით 30–ს აღწევს. ჩვენ მოვახდინეთ ნაეკლესიარი ადგილების ფიქსაცია, რომელიც გავაფორმეთ კარტოგრაფიულად. ნაეკლესიარების ადგილზე მონახულებისას მოვახდინეთ მათი აზომვა, ნაშთების ზუსტი აღწერილობა და ფოტოგადაღება.

მართლმადიდებლური ეკლესიები ქალაქ საჩხერეში. ქალაქ **საჩხერეში** მდებარე, ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარი, მუნიციპალურ ცენტრში დღეისათვის ერთადერთია, სადაც ღვთისმსახურება აღევლინება. თუმცა, ადრეულ პერიოდში (XIX საუკუნე, XX საუკუნის დასაწყისი) დაბაში მოქმედებდა ღვთისმშობლის მიძინების მცირე ეკლესია, რომელიც ხით იყო ნაგები, შემკული ხის თაღით, კრამიტის სახურავით. დაბის სიახლოვეს იყო თავად წერეთლების კარის ეკლესიებიც, რომელთაგან ერთ-ერთი მთავარანგელოზის ეკლესია, უშუალოდ დაბაში იყო აგებული, თუმცა მასში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ღვთისმსახურება

არ აღევლინებოდა. ეს ორი ეკლესია ერთმანეთისაგან დაახლოებით 6-7 მეტრშია განლაგებული. აღნიშნული ეკლესია სამსონ ქუთათელაძის ძალისხმევით ამჟამად რესტავრირებულია. დანარჩენი წერეთელთა სასახლის კარის ეკლესიებიდან არცერთი არაა შემორჩენილი, ვიცით მხოლოდ მათი ადგილმდებარეობა: თანამედროვე ქ. საჩხერის II საშუალო სკოლის ტერიტორია, ყოფილი ფოსტის ტერიტორია სადაც ახლა მინი საფეხბრთო მოედანია განთავსებული.

ღვთისმშობლის მიძინების მართლმადიდებლური ეკლესიის აშენების თარიღი უცნობია, მაგრამ შემორჩენილი გვაქვს ეკლესიის მღვდელმსახურების სია 1848 წლიდან, რაც მიუთითებს იმაზე, რომ 1848 წელს მაინც დაბაში ეკლესია არსებულა. ჩვენთვის ცნობილია ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის ღვთისმსახურთა სია, რომელიც ქუთაისის ეროვნულ არქივშია დაცული და გამოქვეყნებული მერაბ კეზევაძის (2008 წ.) მიერ, ესენია: 1848-1862 – აბრამიშვილი სიმონ ალექსის ძე, 1864-1911 აბრამიშვილი ეპიფანე სვიმონის ძე, 1911-1915 ტყემალაძე ლუკა თევდორეს ძე. როგორც თბილისის ცენტრალურ ეროვნულ არქივში დაცული საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის საბუთებიდან ჩანს ეკლესია მოქმედებს 1920 წელსაც (მეტრიკული ჩანაწერები ნაწარმოებია 1888-1920 წლებში). 1910 წელში დაბაში გხსნილმა საკმაოდ დიდმა წმინდა ნინოს ეკლესიამ, რომელიც მრევლის მოთხოვნებს სრულიად აკმაყოფილებდა ნელ-ნელა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში ღვთისმსახურების შეწყვეტა გამოიწვია. საარქივო დოკუმენტებში დაცული არ არის მასალები, რომლითაც დავადგენდით თუ რა ბედი ეწია ამის შემდგომ ეკლესიას.

სომხურ-გრიგორიანული ღვთისმშობლის ეკლესია დაბა საჩხერეში დიდი ხნის განმავლობაში მოქმედებდა. მის არსებობას ადასტურებენ XIX საუკუნის ჟურნალ-გაზეთებიც (მაგ. ზემოთ დასახელებული 1885 წლის ჟურნალი ,,მწყემსი”), რომლებიც მეტ-ნაკლებად აღწერენ დაბას და მის მოსახლეობას. თბილისის სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია მასალები ეკლესიის მრევლის შესახებ,

მეტრიკული ჩანაწერები 1886-1919 წლებშია ნაწარმოები. აღნიშნული ეკლესია საკმაოდ დიდი იყო, სიმაღლით ორსართულიანი სახლისა, ხისავე პატარა გუმბათით. იგი თანამედროვე ბესიკ ქუთათელაძის ქუჩის შუაგულში, მოდინახის დამრეცი ფერდობის ძირში მდებარეობდა. მთავარანგელოზის ეკლესიისა და ღვთისმშობლის მიძინების ტაძრების სიახლოვეს.

სავარაუდოდ კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ ისევე, როგორც საჩხერის სხვა ეკლესიებში ღვთისმსახურება აქაც უნდა შეწყვეტილიყო. ტაძრის არქიტექტურა ნათლად ჩანს 1949 წელს გადაღებულ ფოტოსურათში. მოგვიანებით საბჭოთა პერიოდშივე ტაძარი ხანძარს გაუნადგურებია. დღეისათვის იქ მცირე ნიშია აგებული.

ებრაული სინაგოგა საჩხერეში სამი იყო, ერთი მდებარეობდა ქუთათელაძის ქუჩის ბოლოსაკენ ებრაელების კომპაქტურ დასახლებაში, რომლის რეაბილიტაცია 2012 წელს რაბი შემუელ ფანიკაშვილის თაოსნობით მოხდა და დღეისათვის კაპიტალურ შენობას წარმოადგენს, თუმცა ქალაქში ებრაული მოსახლეობის არ არსებობის გამო უფუნქციოა. მეორე სინაგოგა თანამედროვე აკაკი წერეთლის ქუჩაზე ე.წ. დამწვრების უბნის ბოლოსაკენ მდებარეობდა, დღეისათვის აღნიშნული სინაგოგის მხოლოდ ნანგრევებიღაა შემორჩენილი. მესამე კი აკაკი წერეთლის ქუჩაზე მდინარე ჩიხურის პირას (ნაგებობა ხის იყო) აღსანიშნავია, რომ აკაკი წერეთლის ქუჩის შუაგულში არსებობდა სპეციალური შენობა სადც ხახამი ებრაელებისათვის შინაურ ფრინველებსა და ცხოველებს კლავდა, ხახამი ებრაული რელიგიური ტრადიციის მცოდნე პირი იყო, რომელსაც აგრეთვე შეეძლო რელიგიურ სასამართლოში მიეღო მონაწილეობა, აგრეთვე ესწავლებინა რელიგიურ სასწავლებელში. ებრაელები საჩხერეში სამ თემად მოსახლეობდნენ და სამივე თემს საკუთარი სინაგოგა ჰქონდა.

მიკროტოპონიმი - საქარის სამოსახლო. ადგილს, სადაც დღეს აშენებულია ქალაქ საჩხერის წმ. ნინოს სახელობის საკათედრო ტძარი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე

საქარს უწოდებდნენ. ტერიტორია მოიცავდა არა მარტო თანამედროვე ეკლესიის ეზოს, არამედ მის მიმდებარე ტერიტორიასაც, რომელიც სხვადასხვა პირის ხელში იყო. მისი საზღვრის აღმოსავლეთი ხაზი თანამედროვე სტადიონიდან ებრაელების უბნამდე გრძელდებოდა (თანამედროვე მუხრან მაჭავარინისა და აკაკი წერეთლის ქუჩებს შორისი ტერიტორია). ამ ტერიტორიაზე 1919 წლის დოკუმენტი (დოკუმენტი დაცულია პირად კოლექციაში) ეკლესიის მომიჯნავე პირებად ასახელებს თედორე კალმახელიძის და ვასილი დურმიშიძის მიწებს. დასავლეთით საქარის ტერიტორია თანამედროვე ბესიკ ქუთათელაძის ქუჩის დასაწყისიდან იწყებოდა.

იგივე 1919 წლის დოკუმენტი დასავლეთით ეკლესიის მომიჯნავედ ვასილი ტაბატაძის კარმიდამოს ასახელებს. ჩრდილოეთით აღნიშნული ტერიტორია ვრცელდებოდა ისევ და ისევ თანამედროვე ბესიკ ქუთათელაძის ქუჩამდე (ეწ. ავლაბარი). 1919 წლის აღმასრულებელ საბუთში ჩრდილოეთით მომიჯნავე საკარმიდამოები ეკუთვნოდათ: კონსტანტინე წულუკიძეს, ბრეგვაძეს, ჭიღლაძესა და გაბაძეს (სამწუხაროდ ამ პირების სახელები დოკუმენტში დასახელებული არა არის). სამხრეთით აღნიშნული ტერიტორია თანამეედროვე კონსტანტინე ლესელიძის ქუჩის დასაწყისამდე ვრცელდებოდა. 1919 წლის დოკუმენტი ამ ტერიტორიის მოსაზღვრეებად ასახელებს ისევ ვასილი ტაბატაძის ნაკვეთს და პარმენ ჩაჩანიძის კარმიდამოს.

საქარის მიწის ნაკვეთი დასახელებულია 1913 წლის 13 მაისით დათარიღებულ ნასყიდობის წერილში, რომლის მიხედვით დაბა საჩხერეში მცხოვრებმა მატრონა ბეჟანის ასულმა წერეთელმა გლეხ კარპოზი ამბაკოს ძე კაპანაძეს მიყიდა მიწის ნაკვეთი - საქარის ადგილი.

საჩხერის წმ. ნინოს ეკლესიის მშენებლობის შესახებ 1900-იან წლებში, არც თბილისის საისტორიო ცენტრალურ არქივში და არც საჩხერის ადგილობრივ მუნიციპალურ არქივში ცნობები დაცული არ არის. მე მივაკვლიე კერძო

მფლობელობაში არსებულ 1906 წლის ტაძრის აშენებისათვის საგანგებოდ შექმნილი კომიტეტის მიერ შემუშავებულ ორიგინალ ისტორიულ დოკუმენტებს ტაძრის მშენებლობის დაწყების თაობაზე. რომელიც სრული სახით არასოდეს გამოცემულა. აღნიშნულ თემატიკაზე მეტად მდიდარ ცნობებს მივაკვლიე XIX-XX საუკუნეების ჟურნალ-გაზეთებშიც.

საჩხერის წმინდა ნინოს ეკლესიის აშენების საკითხი იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად-უსამღვდელოესის ლეონიდის დროს. დაბა საჩხერეში ეკლესიის აშენების საკითხი XIX საუკუნის ადგილობრივ საზოგადოებაში ჯერ კიდევ 1870 წელს დამდგარა, მაგრამ მისი აშენება ქვემოთ დასახელებულ მიზეზთა გამო გაურკვეველი ხნით გადადებულა თავადებს შორის წარმოებული დავის გამო, აღნიშნულ პრობლემაზე ჩვენ მივაკვლიეთ სტატია 1885 წლის ჟურნალ ,,მწყემსში“, სადაც ზუსტად ამ პრობლემაზეა საუბარი: ,,საჩხერლებს არა აქვსთ საზოგადო არც სკოლა და არც ეკლესია. სხვა სოფლებში კი მშვენიერი ქვიტკირის ეკლესიები და სკოლებია გამართული. რომ კითხო საჩხერლებს, თუ რათ ჩამორჩენიან იგინი სხვა სოფლის მაცხოვრებლებს უკან, ამაზე თავადები გიპასუხებენ: ,,ჩვენ შეძლება გვაქვს, ამისთვის საჩხერეში არც გაგვიზდია შვილები და არც გავზდითო, ეკლესია თვითეულს ჩვენგანს საკუთარი სახლის აქვსო”. თუმცა გარადა ერთს გარდა არცერთ სასახლის ეკლესიაში კი არ იწირება. ვაჭრები ამბობენ (ებრაელი და სომეხი ვაჭრები – ვ.კ.) ჩვენი ხელობა ვაჭრობა არის და ჩვენ ხელობაზედ უნდა გავზარდოთ ჩვენი შვილებიცაო.” სომხებს და ებრაელებს კი აქვთ თაავიანთი ეკლესიები. საჩხერეში 15 წლის წინათ დაიწყეს მშვენიერ გეგმაზე ეკლესია, ააშენეს რამოდენიმე საჟენი კიდეც; მაგრამ განსვენებული თთ. ნესტორ, ალექსნდრე და მიხეილ წერეთლების ერთი მეორესთან უთანხმოების გამო შეჩერდა ეკლესიის შენება და დღეს ამ ეკლესიის შენებაზე არა ვინა ფიქრობს. თთ. წერეთლების ახალგაზრდობაში ზოგნი უმაღლეს სასწავლებელში და ზოგნი საშუალოში სწავლა მიღებულნი არიან; ამიტომ ესენი გონებით და ზნეობით

ვალდებულნი არიან, რომ მათ იქონიონ ზედ გავლენა როგორც თავიანთ ნათესავებზედ, აგრეთვე საჩხერის საზოგადოებაზედ და ააშენებიონ მათ გონების და ზნეობის ტაძარნი – ეკლესია და სკოლა" (ჟურნალი ,,მწყემსი" 1885, №13). ტაძრის შენება თავად წერეთლებს შორის დაწყებული დავის გამო შეწყვეტილა, დავა მიმდინარეობდა 1870-1896 წლებში, რომლის დროსაც 1870 წელს დაწყებულ ეკლესიას არაფერი მიმატებია.

გთავაზობთ 1900 წლის ჟურნალ ,,მწყემსში" დაბეჭდილ სტატიას, სადაც ასახულია ეპისკოპოს ლეონიდის ჩამოსვლა დაბა საჩხერეში ეკლესიის მშენებლობის გაგრძელებაზე საკითხის აღძვრა. სტატიაში ვკითხულობთ: ,,მათი მეუფება 26 მწიფობისთვეს, საღამოს 7 საათზე მიბრძანდა დ. საჩხერესს, საჩხერის ნოტარიუსის და ორ-კლასიანი სამრევლო სკოლის მზრუნველის ბ. დიმიტრი აბაშიძის სახლში. რვა საათზე მათი მეუფების წინაშე წარსადგენ აქაური ორ-კლასიანი სამრევლო სკოლის მმართველი და მასწავლებლები და მიიღეს ლოცვა-კურთხევა. სკოლის მმართველის და მასწავლებლებისაგან მათმა მეუფებამ გამოიკითხა სკოლის საქმე: რამდენი ბავშვი სწავლობს სკოლაში, რას იხდიან სწავლის ქირას, რა საშუალებით ინახება სკოლა და სხ. მეორე დღეს, დილის რვა საათზე მათი მეუფება სკოლაში შებრძანდა და აუარებელი საზოგადოების თანდასწრებით, დაუწყო ორივე კლასებში ბავშვებს ყოველ საგნებში გამოცდა. ბავშვების ყოველ საგნებში მშვენიერმა პასუხმა და მგალობელთა გუნდის ქართულ-რუსულმა გალობამ მათი მეუფება დიდად ასიამოვნა და მადლობა გამოუცხადა როგორც მასწავლებლებს, ისე სკოლის მზრუნველს.

დაბა საჩხერეში მათმა მეუფებამ ყურადღება მიაქცია იმ სამწუხარო მოვლენას, რომ ამ დაბაში ერთი რიგიანი ეკლესია არ ჰქონებიათ სახელ განთქმულ თავად წერეთლებს. მართალია ამ წერეთლების მამა-პაპათ ჰქონდათ სასახლის ეკლესიები, მაგრამ დღეს ამ ეკლესიებში წირვა-ლოცვა აღარ სრულდება; ამ თავადების წინაპარნი დიდ მამულებს სწირავდნენ ეკლესიებს და მონასტრებს, მაგრამ დღეს დიდებულ

წინაპართა შვილნი ცდილობენ მათ მამა-პაპათაგან შეწირული ადგილების უკანვე დაბრუნებას. რა არის ამის მიზეზი? ის, რომ ჩვენს ხალხში აღარ არი ძველებური ცხოველი სარწმუნეობა და ხალხიც ამიტომ გამოიცვალა. კაი ხანია, რაც საჩხერეში გარდაიცვალა ერთი დიდებული თავადი, რომელსაც მილლიონის საცხოვრებელი დარჩა. ეს თვადი ითვლებოდა საქართველოში წ.-კით. გამავც. საზ. (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების – ვ.კ.) დამაარსებელ წევრად, მაგრამ მას ამ საზოგადოებისათვის ერთი კაპეიკი არ დაუტოვებია. აქვე გარდაიცვალა ერთი ფრიად მდიდარი თავადი, რომელიც ამავე დაბაში დაასაფლავეს იმმ იმედით, რომ შემდეგ მის სასაფლაოზე ეკლესია აეგოთ, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მიცვალებულის გვამი ამოიღეს სასაფლაოდამ და დაასაფლავეს ჯრუჭის მონასტერში, რადგან მიცვალებულის სასაფლაოზე დაპირებული ეკლესიის აშენება ვერ შეძლეს". (ჟურნალი ,,მწყემსი" 1900წ. #21). როგორც სტატიიდან შეგვიძლია დავასკვნათ საჩხერეში შეწყვეტილი ეკლესიის აშენების გაგრძელებას არავინ ფიქრობდა. რა თქმა უნდა ეპისკოპოს ლეონიდეს ვიზიტი და მისი წუხილი ეკლესიის აშენების თაობაზე რაღაც შედეგს გამოიღებდა, თუმცა ფაქტია, რომ მისი აშენებისათვის 1905 წლამდე რეალური მოქმედება არავის დაუწყია.

1900-იანი წლებიდან, როდესაც ქართველები დაბაში უკვე საკმაოდ მომრავლდნენ, (ბატონყმობის რღვევის შემდეგ) დაბის ქართველ მოსახლეობაში კვლავ გაჩნდა სურვილი აეგოთ ქვის დიდი გუმბათიანი ტაძარი, რომელიც დააკმაყოფილებდა ადგილობრივ მართმადიდებლურ მრევლს. აღსანიშნავია, რომ ტაძრის მშენებლობაში, მოსახლეობის ყველა სოციალური ფენა იღებდა მონაწილეობას. ეკლესიის აშენების მიზნით 1905 წელს შეიქმნა საზოგადოებრივი კომიტეტი, რომელიც კურირებდა ეკლესიისათვის საჭირო თანხების მოზიდვასა და აშენებას. ეკლესიის აშენება 1906 წლის 12 იანვარს დაბა საჩხერეში გამჩდარმა დიდმა ხანძარმა შეაფერხა, რომლის დროსაც დაიწვა ცენტრალური ქუჩაზე (ახლანდელი ქუთათელაძისა და წერეთლის ქუჩების ნაწილი) განთავსებული სახლები, დუქნები და სხვა შენობა ნაგებობები, ხანძარმა

თითქმის ყველაფერი გაანადგურა, მათ შორის ის საბუთებიც, რომელიც ადგილობრივ საეკლესიო კომიტეტს ტაძრის მშენებლობისათვის ქონდა გამზადებული. 1906 წელსვე, ხანძრის შედეგების აღმოფხვრის შემდეგ, დღის წესრიგში ახალი დებულებების მიღება დადგა.

ადგილობრივ კომიტეტს კოორდინაცია გააჩნდა იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძესთან, რომელმაც ამ საქმეში თავისი წარმომადგენელი ფილიპე გრიგოლის ძე მგალობლიშვილი ჩართო. 1906 წლის 13 მარტს საორგანიზაციო კომიტეტის სხდომას სწორედ ფილიპე მგალობლიშვილი თავმჯდომარეობდა.

კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: ,,1906 წელს მარტის 13 დღესა, ჩვენ დაბა საჩხერეში ახლად აშენებულ წმინდა ნინო მოციქულთსწორ ქართველთა განმანათლებელის ეკლესიის შემავალნი მრევლნი: თავადნი, აზნაურნი, მოქალაქენი და გლეხნი შევიკრიბენით მოსალაპარაკებლად შესახებ ამ ეკლესიის შენობის და რადგან ამავე წლის 12 იანვარს, როდესაც დაბა საჩხერეში მოსპობილ იქნენ ცეცხლით მრავალნი დუქნები და სადგომი სახლები, დაიწვნენ აგრეთვე ყველა წიგნები და საბუთები, შედგენილნი შესახებ ზემოხსენებულ ეკლესიის აშენებისა, ამისათვისაც ჩვენ იმერეთის ეპისკოპოსის მიერ ამ საგანზე მზრუნველ პირად დანიშნულის კოლეჟსკის სოვეტნიკის ფილიპე გრიგოლის შე მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით ერთი ხმად ვისურვეთ და დავადგინეთ: 1.კომიტეტის წევრებად აღმოვირჩიეთ იგივე პირნი რომლებიც იყვნენ ამორჩეულნი თანახმად საზოგადო მრევლთა განჩინებისა, დადგენილის ჩვენ მიერ თერთმეტ აპრილს 1904 წლისა და დამტკიცებულის ოცს იმავე აპრილს იმერეთის ეპისკოპოსის მიერ. შახელდობრ ზემოთხსენებული მგალობლიშვილი, კოლეჟსკის რეგისტრატორი დიმიტრი ივანეს ძე აბაშიძე, მღვდელი ეპიფანე სიმონიეს ძე აბრამიშვილი, დიმიტრი ხოჯას ძე ქებაძე, ივანე პავლეს ძე ნოზაძე, ანტონ ნიკოლოზის ძე თუშიშვილი, მერაბა ნიკოლოზის ძე კაპანაძე, ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე გაჩეჩილაძე, უფლისა მიქელის ძე გრძელიშვილი, რომლებთაც

ეძლევა სრული უფლება: შეუკრან ოსტატს ბერძენს გიორგი კარაიან ოღლს ხელახალი პირობის წერილი მასზედ, რათამცა მოთავებული იქმნეს მის მიერ დაწყებული შენობა ზემოხსენებულ ეკლესიისა, მიიღონ ამ ეკლესიის მრევლთაგან უკვე შეწერილნი მათზე და ჯერ შემოუტანელნი ფულები შემდეგ ვადაზე: ერთი მესამედი პირველ ივნისამდე, მეორე მესამედი პირველ ოქტომბრამდე, ამავე წლისა და მესამე მესამედი პირველ თებერვლამდი მომავალი 1907 წლისა. 2. სასაფლაო ადგილი სახელდობრ საქარი, რომელზედაც შენდება ზემოთხსენებული ეკლესია, უნდა იქნას განაწილებული იმ პირებთა შორის, რომლების საშუალებით იქნება აშენებული ეკლესია და მოწყობილი, შედარებით მათგან მიღებული ფულებისა, ამისათვისაც აღკრძალულია და არავის გარეშე პირთაგანს, გაურჩევლად წოდებისა და ღირსებისა, არა აქვს უფლება დამარხოს თავისი მიცვალებული ამ სასაფლაო ადგილში კომიტეტის ნებადაურთველად., ხოლო იმ შემთხვევაში უკეთუ ვინმე ჩუმათ, თავისი ნებით ან ძალით დამარხავს მიცვალებულს მაშინ მას გადახდება სასაფლაოს ფასი არანაკლები ხუთი თუმნისა და ამ ეკლესიის სასარგებლოდ. 3. უკეთუ ვინმე ჩვენ ამ ეკლესიის მრევლთაგანი განიდრკება და არ შემოიტანს დანიშნულს ვადებზე მისგან ხვედრ ფულებს, მაშინ მას გადახდება შემოუტანელი ფულები სამსარჯლოს წესით ერთი-ორად, ხოლო იმ შემთხვევაშიუკეთუ ვინმეს ჩვენგანს აღმოუჩნდება გადაცემული სხვა გარეშე პირზე ყოველი მისი ქონება და არ შემოიტანს მისგან ხვედრ ფულებს, მაშინ ის ითვლება გამორიცხულად ჩვენი საზოგადოებიდან და არავითარი ნაწილი ამ სასაფლაოს ადგილისა არ მიეცემა. 4. კომიტეტს სრული უფლება ეძლევა იხმაროს ამ ეკლესიის საშენებლად უსასყიდლოდ სილა საკირე ქვა და საშენი ქვა, რამოდენიც დასჭირდება თუ სავარგისი აღმოჩნდეს რომელიმე ამ ეკლესიის შესავალ მრევლის ადგილში ასე რომ არავის ჩვენგანს არ ექნება უფლება მოითხოვოს არენდის ფული იმ მასალისა, რომელიც მოხმარდება ამ ეკლესიის საშენებლად. 5. Gგანხილულ, კანონიერად ცნობილ და დამტკიცებულ იქმნენ კომიტეტის მიერ წარმოდგენილნი ანგარიში შემოსავალ-გასავლის ფულისა 1904 და

1905 წლებისა და გაწერილობითი ფურცელი შემოსატანი ფულებისა. 6. კომიტეტს და აგრეთვე კომიტეტის მიერ დანიშნულ პირთ უფლება ეძლევა დაარბიოს, ესე იგი წამოიღოს რაიმე ნივთი იმ პირისაგან, რომელიც არ შემოიტანს დანიშნულ ვადაზე მისგან ხვედრ ფულს და გაყიდის საჯარო ვაჭრობით ერთი თვის შემდეგ ამ ეკლესიის სასარგებლოდ.

საჩხერის მოსახლეობის გაერთიანებამ სასურველი შედეგი გამოიღო, წმ. ნინოს ტაძრის მშენებლობა 1910 წელს საბოლოოდ დასრულდა.

დასკვნა

სადოქტორო ნაშრომის გაშუქებით, ჩვენ შევეცადეთ მოგვეხდინა საჩხერის მუნიციპალიტეტის ისტორიული გეოგრაფიის სისტემური კვლევა. შესაბამისი ლიტერატურის, ისტორიული წყაროებისა და საარქივო მასალის დამუშავების შემდეგ ჩვენ ადგილზე საველე სამუშაოების ჩატარების მეშვეობით რიგი სიახლეები შევძინეთ მუნიციპალიტეტის ისტორიულ–გეოგრაფიული განვითარების მრავალ საკითხს. შესაბამისი ანალიზისა და პირადი დაკვირვებების შემდეგ ჩვენ შევეცადეთ მოგვეხდინა ნაშრომის კარტოგრაფიული გაფორმება, რომელიც ამომწურავად წარმოაჩენს საჩხერის მუნიციპალიტეტის ისტორიულ გეოგრაფიას. რუკაზე რეტროსპექტული კარტოგრაფირების გზით დატანილია: სოფელი, ნასოფლარი, მიკროტოპონიმი, სათავადოების ცენტრი, ჯრუჭის მონასტრის მამული, ციხესიმაგრე, სათვალთვალო კოშკი, თავადისა და აზნაურის სასახლე, არქეოლოგიური ძეგლი, ეკლესია, ნაეკლესიარი, სომხურ–გრიგორიანული ეკლესია, სინაგოგა, გზა, ისტორიული გზა, სათავადოების საზღვრები სხვადასხვა პერიოდებში, ქართლისა და იმერეთის სამეფოების საზღვარი, საუფლისწულოს საზღვარი, ხეფინიხევი, უღელტეხილები (როგორც მოქმედი ისე ისტორიული), ტბები, მთები, მღვიმეები, სასარგებლო წიაღისეული, ბანლეოლოგიური კურორტები, ჰიდროგრაფიული ქსელი.

დაგროვილმა მასალამ შესაძლებლობა მოგვცა შეგვედგინა სამეცნიერო ნაშრომი და მეტი თვალსაჩინოებისათვის დაგვერთო შესაბამისი რუკები, რაც გარკვეულწილად შევძელით კიდეც.

ნაშრომის პირველ თავში წარმოდგენილია საჩხერის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა და მისი გავლენა ადგილობრივი ტერიტორიის ისტორიულ განვითარებაზე. ყურადღება გამახვილებულია გეოგრაფიული მდებარეობა (ოროგრაფიული ბარიერები) რამდენად მოქმედებდა მხარის თავდაცვის უნარიანობაზე, რა იყო ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები; როგორი იყო გეოგრაფიული მდებარეობის გავლენა ეკონომიკაზე და სხვ.

მეორე თავში განხილულია იმერეთისა და ქართლის სამეფოების საზღვარი საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ყურადღება გამახვილებულია საზღვრების ცვლილებაზე სხვადასხვა საუკუნეებში. აღნიშნული ნაკვლევი გაფორმებულია კარტოგრაფიულად.

მესამე თავში ფართოდაა მიმოხილული მუნიციპალიტეტის ისტორიული გზები, უღელტეხილები, სარკინიგზო ტრანსპორტი. გარდა უშუალოდ ისტორიული გზების მიმოხილვისა, ჩვენ შევეცადეთ შეგვეთავაზებია სხვადასხვა საგზაო მონაკვეთის და უღელტეხილის აღდგენის პერსპექტივები, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილების გამარტივებას. კვლევაში წარმოდგენილი მასალები დავიტანეთ რუკაზე თანამედროვე გზებთან ერთად.

მეოთხე თავში შევეცადეთ წარმოგვედგინა ადგილობრივი ტოპონიმები, ყურადღება გავამახვილეთ არა მარტო სოფლებისა და ნასოფლარების სახელწოდებებზე, არამედ მიკროტოპონიმიაზეც. შევეცაქდეთ ცალ-ცალკე წარმოგვედგინა როგორც უშუალოდ ქალაქ საჩხერის ტოპონიმია, ასევე თითოეული სასოფლო თემის ცალ-ცალკე. გამოვლენილი ნასოფლარები და მიკროტოპონიმები დავიტანეთ ისტორიულ რუკაზე.

მეხუთე თავში მიმოვიხილეთ ადგილობრივი ტერიტორიის საარქეოლოგიო გეოგრაფია, რაც შეიძლება ითქვას ისტორიულ გეოგრაფიაში პირველი მცდელობაა მომხდარიყო მხარის როგორც წარსული არქეოლოგიური კვლევების გაფორმება კარტოგრაფიულად, არამედ ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების ადგილებიც რუკაზე. ამის საშუალება მოგვცა ადგილზე ჩვენს მიერ უშუალოდ ჩატარებულმა კვლევებმა. ჩვენი ნაშრომი და კარტოგრაფიული გამოსახულება დიდად დაეხმარება მუნიციპალიტეტის არქეოლოგიის შემდეგი შესწავლით დაინტერესებულ არქეოლოგებს, რომელთაც უკვე მონიშნული აქვთ პერსპექტიული ადგილები გასათხრელად.

მეექვსე თავში წარმოდგენილია საკვლევი რეგიონის ისტორიული დემოგრაფია, მოსახლეობის რაოდენობრივი და ეთნიკური ცვლილებები შესაბამის საარქივო მასალაზე დაყრდნობით.

მეშვიდე თავში ფართოდაა მიმოხილული ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკურ-რელიგიური შემადგენლობა. წარმოდგენილია აქ მოსახლე ებრაელებისა და სომხების ჩამოსახლების პერიოდები და გვარები; განხილულია მათი რელიგიური აღმსარებლობა და ნაგებობების მდებარეობები.

მერვე თავი უშუალოდ შეეხება პოლიტიკურ გეოგრაფიას, მხარის ადმინისტრაციულ კუთვნილებას სხვადასხვა საუკუნეებში და სხვ.

მეცხრე თავში მიმოხილულია ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდგომი პერიოდი. წერეთელთა და აბაშიძეთა სათავადოები, რომლებიც მდებარეობდნენ საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ჩვენ შევეცადეთ მათი გეოგრაფიული განფენილობა წარმოგვედგინა რუკაზე, აქ ჩვენ წარმოვადგინეთ არა მარტო საჩხერის მუნიციპალიტეტის, არამედ მთლიანი იმერეთის საერთო სურათი.

მეათე თავი ეთმობა უშუალოდ იმერეთის მეფის პირად დომენს საჩხერის მუნიციპალიტეტში, იმას, რომ ამ მხარეში არა მარტო თავადების უშუალო

მფლობელობაში იყო ტერიტორია, არამედ მამულების ნაწილს ფლობდა უშუალოდ მეფე და უფლისწულები. აღნიშნული კვლევა გაფორმებულია კარტოგრაფიულადაც.

მეთერთმეტე თავი დათმობილი აქვს ოსიანობასა და ლეკიანობას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ოსების შემოსევები მეტად მტკივნეული მოვლენა იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რაც გეოგრაფიულ სახელწოდებებშიაც ჩანს. ჩვენ შევეცადეთ მათი გადმოსასვლელი ადგილების და საცხოვრებელი ადგილების დადგენას.

მეთორმეტე თავში ფართოდაა წარმოდგენილი აჯანყებების გეოგრაფია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ყველაზე დიდ და ტრაგიკულ აჯანყებას საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რომელიც 1918 წლის ივნის-აგვისტოში მიმდინარეობდა. შესაბამის საარქივო მონაცემებსა და იმ დროინდელი ჟურნალ-გაზეთებზე დაყრდნობით ჩვენ შევეცადეთ თითქმის ყოველდღიური სიცხადით აღგვედგინა მიმდინარე პროცესები.

მეცამეტე თავში წარმოდგენილია ადგილობრივი ციხე-სიმაგრეებისა და სათვალთვალო კოშკების განლაგება და ურთიერთ კავშირი, თუ როგორ ხდებოდა მუნიციპალიტეტის თავდაცვა მტრის შემოსევისას და როგორ ანიშნებდნენ ციხეები ერთმანეთს მომხდურის გადაადგილებას.

მეთოთხმეტე თავში შევეცადეთ წარმოგვედგინა ეკლესიებისა და ნაეკლესიარი ადგილების განლაგების სპეციფიკა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. წარმოვადგინეთ ჩვენს მიერ მიკვლეული ისტორიული დოკუმენტები. მოპოვებული მასალები გავაფორმეთ კარტოგრაფიულად.

კვლევაში მოცემული მასალები დიდ დახმარებას გაუწევს ზემო იმერეთის ისტორიული გეოგრაფიით დაინტერესებულ მკვლევარებს.

სადოქტორო ნაშრომში წარმოდგენილი მასალები გამოქვეყნებულია 15-მდე სხვადასხვა შრომათა კრებულსა და სამ მონოგრაფიაში, აგრეთვე საჩხერის

მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით დაბეჭდილია საჩხერის მუნიციპალიტეტის ისტორიული რუკაც 500–იანი ტირაჟით.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

I. საარქივო მასალები

1. საჩხერის მუნიციპალური არქივი, საკომლო აღწერები. ფონდი 13, აღწერა 1.
2. საჩხერის მუნიციპალური არქივი, საკომლო აღწერები. ფონდი 13, აღწერა 2.
3. საჩხერის მუნიციპალური არქივი, საკომლო აღწერები. ფონდი 13, აღწერა 5.
4. საჩხერის მუნიციპალური არქივი, საკომლო აღწერები. ფონდი 13, აღწერა 6.
5. საჩხერის მუნიციპალური არქივი, საკომლო აღწერები. ფონდი 13, აღწერა 3.
6. საჩხერის მუნიციპალური არქივი, საკომლო აღწერები. ფონდი 14, აღწერა 1.
7. საჩხერის მუნიციპალური არქივი, საკომლო აღწერები. ფონდი 14, აღწერა 6.
8. საჩხერის მუნიციპალური არქივი, საკომლო აღწერები. ფონდი 31, აღწერა 20.
9. საჩხერის მუნიციპალური არქივი, საკომლო აღწერები. ფონდი 31, აღწერა 53.
10. საჩხერის მუნიციპალური არქივი, საკომლო აღწერები. ფონდი 31, აღწერა 8.

11. საჩხერის მუნიციპალური არქივი, საკომლო აღწერები. ფონდი 33, აღწერა 2.

12. საჩხერის მუნიციპალური არქივი, საკომლო აღწერები. ფონდი 33, აღწერა 3.

13. საჩხერის მუნიციპალური არქივი, საკომლო აღწერები. ფონდი 39, აღწერა 1.

14. საჩხერის მუნიციპალური არქივი, საკომლო აღწერები. ფონდი 39, აღწერა 2.

15. საჩხერის მუნიციპალური არქივი, საკომლო აღწერები. ფონდი 39, აღწერა 3.

16. საჩხერის მუნიციპალური არქივი, საკომლო აღწერები. ფონდი 52, აღწერა 6.

17. საჩხერის მუნიციპალური არქივი, საკომლო აღწერები. ფონდი 52, აღწერა 7.

18. საჩხერის მუნიციპალური არქივი, საკომლო აღწერები. ფონდი 69, აღწერა 1.

19. საჩხერის მუნიციპალური არქივი, საკომლო აღწერები. ფონდი 72, აღწერა 1.

II. პრესის მასალები (ჟურნალ-გაზეთები)

1. გაზეთი ,,საქართველო“ 1918 წელი, 19 ივლისი, N 142.

2. გაზეთი ,,საქართველო“ 1918 წელი, 8 აგვისტო, N 155.

3. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წელი, 25 ივლისი, N 1.

4. . გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წელი, 26 ივლისი, N 2.

5. გაზეთი ,,სახალხო საქმე“, 1918 წელი, 20 მარტი, N: 201.

6. გაზეთი ,,სახალხო საქმე“, 1918 წელი, 10 ივლისი, N 277.

7. გაზეთი ,,სახალხო საქმე“, 1918 წელი, 22 ივლისი, N 289.

8. გაზეთი ,,სახალხო საქმე“, 1918 წელი, 26 ივლისი, N 290.

9. გაზეთი ,,სახალხო საქმე“, 1918 წელი, 18 აგვისტო, N 307.

10. გაზეთი ,,სახალხო საქმე“, 1918 წელი, 17 ივლისი, N 284.

11. გაზეთი ,,სოციალ დემოკრატი“, 1918 წელი, 13 მაისი, N 312.

12. გაზეთი ,,სოციალ დემოკრატი“, 1918 წელი, 16 მაისი, N 315.

13. გაზეთი ,,სოციალ დემოკრატი“, 1918 წელი, 13 ივნისი, N 358.

14. გაზეთი ,,სოციალ დემოკრატი“, 1918 წელი, 17 ივნისი, N 362.

15. გაზეთი ,,სოციალ დემოკრატი“, 1918 წელი, 23 ივნისი, N 368.

16. გაზეთი ,,ხალხის მეგობარი“, 1918 წლელი, 24 ივლისი N 215.

17. გაზეთი ,,ხალხის მეგობარი“, 1918 წელი, 12 ივლისი, N 205.

18. გაზეთი ,,ხალხის მეგობარი“, 1918 წელი, 13 ივლისი, N 206.

19. გაზეთი ,,ხალხის მეგობარი“, 1918 წელი, 11 ივლისი, N 204.

20. გაზეთი ,,ხალხის მეგობარი“, 1918 წელი, 20 ივლისი, N 212.

21. გაზეთი ,,ხალხის მეგობარი“, 1918 წელი, 26 ივლისი, N 217.

22. გაზეთი ,,ხალხის მეგობარი“, 1918 წელი, 23 ივლისი, N 214.

23. გაზეთი ,,ხალხის მეგობარი“, 1918 წელი, 27 ივლისი, N 218.

24. გაზეთი ,,ხალხის მეგობარი“, 1918 წელი, 18 ივლისი, N 210.

25. გაზეთი ,,ხალხის მეგობარი“, 1918 წელი, 14 ივლისი, N 207.

26. გაზეთი ,,ხალხის მეგობარი“, 1918 წელი, 25 ივლისი, N 216.

27. გაზეთი ,,ხალხის მეგობარი“, 1918 წელი, 28 ივლისი, N 219.

28. გაზეთი ,,ხალხის მეგობარი“, 1918 წელი, 11 ივნისი, N 232.

29. გაზეთი ,,ხალხის მეგობარი“, 1918 წელი, 17 ივნისი, N 138.

30. გაზეთი ,,ხალხის მეგობარი“, 1918 წელი, 19 ივნისი, N 140.

31. გაზეთი ,,ხალხის მეგობარი“, 1918 წელი, 20 ივნისი, N 141.

32. გაზეთი ,,ხალხის მეგობარი“, 1918 წელი, 23 ივნისი, N 143.

33. გაზეთი ,,ხალხის მეგობარი“, 1918 წელი, 25 ივნისი, N 145.

34. გაზეთი ,,ხალხის მეგობარი“, 1918 წელი, 26 ივნისი, N 146.

35. გაზეთი ,,ხალხის მეგობარი“, 1918 წელი, 1 ივლისი, N 151.

სამეცნიერო ლიტერატურა

1. **აბესაძე რ.** იმერეთის სამეფო დომენი XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში. დისერტაცია. თბილისი, 1973.

2. **ანთაძე კ**. ზემო იმერეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი (უძველესი დროიდან 1921 წლამდე). - ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები. 1959 წ. ტომი XI. ,,საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

3. **ანთაძე კ.** ქვემო იმერეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი (უძველესი დროიდან 1921 წლამდე). - ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები. 1960 წ. ტომი XIII. ,,საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა".

4. **ალექსი იავლევის** 1650-1652 წლების იმერეთის სამეფოშიელჩობის საანგარიშო აღწერილობა. თბილისი, 1969.

5. **ახუაშვილი** ი. აბაშიძეები. თბილისი 2010.

6. **ბაგრატიონი ვ.** საქართველოს გეოგრაფია. ,,მეცნიერება", თბილისი, 1997.

7. **ბაგრატიონი ვ.** საქართველოს ატლასი. თბილისი 1997.

8. ბაქრაძე დ. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, 1987.

9. **ბერძენიშვილი ნ.** საქართველოს ისტორიის საკითხები. ტომი I. ისტორიული გეოგრაფია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი 1964.

10. **ბერძენიშვილი ნ.** საქართველოს ისტორიის საკითხები. ტომი VIII. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი 1975.

11. **ბერძენიშვილი ნ.** გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. გამომცემლობა ,,მეცნიერება". თბილისი 1966.

12. **გაბაშვილი ტ.** იმერეთის რუკა 1737 წელი (ხელნაწრი, მოსკოვის ცენტრალური სამხედრო ისტორიული არქივი).

13. **გამბა უ.ფ.** მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ტომი პირველი. თბ. 1987.

14. **გაფრინდაშვილი გ.** 1000 წლის წარწერა ქორეთის ეკლესიაზე, ძეგლის მეგობარი ნომერი 21. თბილისი 1970 .

15. **გველესიანი გ.** ზემო იმერეთის ზოგადი ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება. ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები. ტომი XI. თბ. 1959.

16. **გეგეშიძე მ.** ქართული ხალხური ტრანსპორტის ისტორიიდან. თბილისი, 1959.

17. **გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში.** ტომი I. თბილისი, 1962.

18. **დროება.** 1875, ნომერი 37.

19. **თბილისის სახელმწიფო ეროვნული არქივი.** საქართველო–იმერეთის სინოდალური კანტორის მეტრიკული წიგნები.

20. **Карта кавкаского края** XIX-XX, 1905.

21. **კაკაბაძე ვ**. ქვემო იმერეთის იმერეთის მრეწველობის განვითარება და განლაგება. ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები. ტომი XIII. თბილისი, 1960.

22. კვეზერელი-კოპაძე ნ. ნაოსნობა საქართველოში. თბილისი. 1987.

23. **კეკენაძე ვ.** იმერეთის ისტორიული გზები. თბილისი 2013.

24. **კეკენაძე ვ.** იმერეთის სათავადოების რეტროსპექტული კარტოგრაფირება თბილისი. 2014.

25. **კეკენაძე ვ., კაციტაძე თ.** ანტისამთავრობო აჯანყება საჩხერეში (1918 წლის ივნისი–აგვისტო). თბილისი, 2014.

26. **კეკენაძე ვ.** დაბა საჩხერის ეთნიკურ–რელიგიური შედგენილობის სტატისტიკური კვლევის ანალიზი 1935 წელს. თბილისი 2015.

27. **კეკენაძე ვ.** საჩხერის მუნიციპალიტეტის ისტორიული ტოპონიმია გზები, სათავადოები. საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული

უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა, შრომათა კრებული ტ. VII, თბილისი, 2017.

28. **კეკენაძე ვ.** საჩხერის მუნიციპალიტეტის ისტორიული ტოპონიმია. ონომასტიკის ლაბორატორიის შრომათა კრებული. თბილისი, 2017.

29. **კეზევაძე მ.** ეგზარქოსობის დროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები, ქუთისი, 2008 .

30. **მახარაძე გ., გაგოშიძე გ., ლომთაძე გ., ბერიკაშვილი დ., კაპანაძე ნ.,** არქეოლოგიური გათხრები იცქისის ციხეზე. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, IX, თბილისი, 2005.

31. **მუშკუდიანი ქ.** იმერეთის ეპარქიის სამრევლო ეკლესიები. საჩხერის საწინამძღვრო ოლქი XIX-XX ს. დასაწყისი. თბილისი 2009.

32. **მწყემსი.** 1885, ნომერი 13.

33. **ნადირაძე ჯ.** ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი, 1975.

34. **ნადირაძე ე.** ხალხური ქვით ხუროობა იმერეთში. თბილისი 2001.

35. **საქართველოს ისტორიის საბუთები,** თბილისი 1983.

36. **საქართველოს სსრ ტოპონიმია. ტ. I. თბილისი** 1987.

37. **საჩხერის მუნიციპალური არქივი,** საკომლო აღწერები.

38. **სოსელია ო.** ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ–პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები) II. თბილისი 1981.

39. **სილოგავა ვ**. დასავლეთ საქართველოს წარწერები (IX-XIII) ნაკვ. I. თბილისი, 1980.

40. **ხარაძე კ**. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. თბილისი, 2003.

41. **ჯავახიშვილი ივ.** ქართველი ერის ისტორია. ტომი II, 1983.

42. **ქართლის ცხოვრება** . თბილისი, 1955.

43. **ქორიძე დ.** საჩხერის რაიონის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი 1961.

44. **ხარაძე კ.** საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. თბილისი, 2005.

45. **ჯავახიშვილი ივ.** საქართველოს რუკა, 1923.

46. **ჯავახიშვილი ალ.** საქართველოს რუკა 1931–1932.

47. **ღვინიანიძე თ., შარაშიძე მ.,** 1960.

48. **ღვიანიანიძე თ., შარაშიძე მ., კვერენჩხილაძე რ.** 1959.

49. 1886 წლის რუსეთის იმპერიის აღწერა.

50. 1926 წლის სსრკ მოსახლეობის აღწერა.

დანართი